

გია (გიორგი) ფოცხვერია  
ჯემალ ფოცხვერია

**ლონდონი — ჩვენი  
ბედისწერა**



*წიგნი ეძღვნება ჩვენი ძმის — ენგუზ იაშვილის  
და მისი მეუღლის — თამარ (თამარიკო)  
ბოჭორიშვილის ნათელ ხსოვნას.  
ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს მათი სულები!  
ლიანა იაშვილი  
ჯემალ ფოცხვერია*



ენგუზ იაშვილი დაიბადა 1944 წელს, დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. 1979 წლიდან 2012 წლამდე მუშაობდა თბილისის 1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმად.

თამარ ბოჭორიშვილი დაიბადა 1954 წელს. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა თბილისის სეპსისის ცენტრში, მამამისთან აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილთან, განყოფილების გამგედ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.



გია (გიორგი) ფოცხვერია  
ჯემალ ფოცხვერია

# ლონდონი ჩვენი ბედისწერა

თბილისი  
2013

რედაქტორები: დავით აბულაძე,  
ეკატერინე ჭკადუა

ყდის დიზაინი: კახაბერ (დავით) ფოცხვერია,  
ნატო გოგოლაძე

იდეის ავტორი: ჯემალ ფოცხვერია

## **გია (გიორგი) ფოცხვერია**

წიგნში შესულია ავტორისეული ლექსებისა და კინოსცენარების თარგმანები ინგლისური და რუსული ენებიდან.

1. ავტორისეული ლექსების თარგმანი ინგლისურიდან ენიდან ეკუთვნის პოეტ თინათინ მღვდლიაშვილს.

2. კინოსცენარების თარგმანი ეკუთვნის მწერალ ლარისა ხვთისიაშვილს.

3. ავტორისეული ლექსების თარგმანი რუსული ენიდან ეკუთვნის პოეტ დალილა ბედიანიძეს.

## **ჯემალ ფოცხვერია**

1. ავტორისეული ლექსების თარგმანი რუსული ენიდან ეკუთვნის პოეტ დალილა ბედიანიძეს.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ქალბატონებს, პოეტებს — თინათინ მღვდლიაშვილსა და დალილა ბედიანიძეს, მწერალს — ლარისა ხვთისიაშვილს იმ დიდი ღვაწლისა და დახმარებისთვის, რაც მათ გამოიჩინეს ამ წიგნის შექმნისათვის.

ჩემი აზრით, თავის შრომაში ჩააქსოვეს მთელი თავისი ნიჭი და მონდომება, რათა ჩემი და გიას ნაწარმოებები ახალი, განუმეორებელი სტილით აჟღერებულიყო ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაზე.

*ჯემალ ფოცხვერია*

თბილისი 15.VII.2013



„...ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რათა უკანასკნელი პატივი ვცეთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შვილს, ერის გამორჩეულ პატრიოტს, გულმართალ ადამიანს, ჩვენი მრევლის ღირსეულ შვილს, გიორგი ფოცხვერიას ხსოვნას...  
...ამინ, ღმერთო, გაანათლე და ნათელში ამყოფე მისი სული...“

*(ამონარიდი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კათალიკოსის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ს პარაკლისიდან, რომელიც მან წარმოთქვა გიორგი ფოცხვერიას ნეშტის წესის აგების დროს, სიონის საკათედრო ტაძარში 2006 წლის 4 აპრილს)*



„ვერ მივაჭედე სულს სახელური,  
რომ გამოაღოს ყველამ კარივით“  
*ოთარ ჭილაძე*

## ეპიტაფია ჩემს საფლავზე

თქვენ ცრუობთ და თვალთმაქცობთ  
ბრწყინვალე მარმარილოს ქვებო! აყალბებთ  
ფაქტებს... რითაც შეცდომაში შგყავთ  
ხალხი...

მე ვიცი, მე უბრალოდ დარწმუნებული  
ვარ...

რომ დიდი სიყვარული ჩემს გულში  
ყოველთვის ებრძოდა და ებრძვის  
ჩემს დიდ სიყვარულს...

თქვენ იტყუებით თქვენი ბრწყინვალეებით,  
რომ მე ვიყავი ცივი და გულგრილი...

*ვია (ვიორჯი) ფოცხვერია*

## მამები და შვილები...

მონატრებულო მამავ! მე შემიძლია ძალიან გულუხვი ვიყო, იმიტომ რომ შენ მყავხარ... შენ, ვისაც ასე გიყვარვარ და შენ, რომელიც ცდილობ, რომ ვიცხოვრო შენი ოცნების სინდისით...

შენ, ვისაც ასე ვლალატობ, ვისაც ასე ვერ გამოვადექი... შენ, თავად დამალულო გენიოსო, მაგრამ ასე ნამუს-სინდისიანო, შენ, რომელიც ყოველთვის ცდებოდა და ეძებდა არარსებულ გენიას ჩემში — გია ფოცხვერიაში... მაგრამ...

ბატონო გენერალო... ალბათ, ისევ გატკენთ გულს... თქვენ მე გამზარდეთ ღირსების მატარებელ არისტოკრატ შვილად, და დარწმუნებული იყავით იმაშიც, რომ ცოდვილად, თუმცა გაირდებით, ღირსეულად გავასწორებ ჩემს ვალებს მტრებთან...

...მე შემიძლია ძალიან გულუხვი ვიყო, შენ ცდილობ, რომ არ იყო... იმიტომ, რომ მე გყავარ...

გკოცნი, ჩემო მამიკო. მაპატიე, თუ რამე განყენინე მე შტერმა,

*შენი ვია*

**P.S.**

შეიძლება „ნავდივარ“ მამა და მაპატიე...

## **გამარჯობა, ჩემო გია.**

დღეს უკვე 2013 წლის თებერვალია. მე და დედა მოსკოვში დავბრუნდით, თითქმის შვიდი თვე დაყავით თბილისში. ღმერთმა მომცა ძალა და შევასრულე ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი ნატვრა — გამოვეცი შენი ლიტერატურული მემკვიდრეობის უკანასკნელი აკორდი, შენი ლექსები, ნოველები, კინოსცენარები ინგლისურ ენაზე. უფალო ღმერთო, დიდი მადლობა, რომ ამის საშუალება მომეცია... ვფიქრობ, ჩემო გია, შენ რომ გაგიხარებოდა ისეთი მიძღვნა გამომივიდა ამ წიგნისა... მივუძღვენი მათ, ვინც შენ ყველაზე მეტად გიყვარდა (რა თქმა უნდა შენი ოჯახის შემდეგ)... შენს მრავალრიცხოვან მეგობრებსა და ნათლულებს. გუმანით ვგრძნობ, რომ შენი წმინდა სული ციდან მომინონებდა ამ გადაწყვეტილებას. როგორც ადრე გითხარი, 2012 წელი ძალიან შედეგიანი გამოდგა — ივნისში გამოვიდა ჩვენი რუსული ლექსების კრებულები, მიძღვნილი შენი სულიერი მამის მიტროპოლიტ ანტონის ნათელი ხსოვნისადმი.

აი, ახლა უკვე აგვისტო დადგა, შენი და ჩემი დაბადების თვე და თითქმის დასასრულს მიუახლოვდა შენი ინგლისურენოვანი წიგნის — „ლონდონი ჩემი ბედისწერისა“ და რუსული ლექსების ქართული თარგმანების გამოცემა. სულ მალე ქართულ ენაზე აჟღერდება შენი რუსული და ინგლისური ლექსები, კინოსცენარები, ნოველები. გამოსაცემად ვამზადებ აგრეთვე ჩემი რუსული ლექსების ქართულ ენაზე თარგმანს... ასე რომ, ღმერთმა უწყის, რა მადლევს იმის ძალას, რომ შენი წასვლის შემდეგ ჩემი და შენი ავტორობით თითქმის 13-14 წიგნი უკვე გამოიცა. ასე მგონია, ცოტას რომ „შევისვენებ“, ღმერთის ნყალობით, სამუშაოს ისევ განვაგრძობ, რათა შენი ლიტერატურული მემკვიდრეობა ბოლომდე დავამუშავო და გამოვცე. ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი, თუკი ღმერთი და განგება ამის ძალას მომცემს.

ამ ჩვენს საერთო საქმეში მართლაც, რომ ღვთისნიერი ხალხი დამიდგა გვერდში. კინოსცენარები და მოთხრობები

თარგმნა დედაშენის ბავშვობის მეგობარმა და ნათესავმა დეიდა ლარისა ხვთისიაშვილმა, ინგლისური ლექსები ქალბატონმა თინათინ მღვდლიაშვილმა, უნიჭიერესმა ქართველმა პოეტმა, რომელმაც თავის პოეზიაში გააცოცხლა ქართველი ხალხისა და მართლმადიდებლური ეკლესიის სათაყვანებელი წმინდანები. რუსული ლექსების თარგმანი ეკუთვნის ქართული თანამედროვე პოეზიის ღირსეულ წარმომადგენელს, ქალბატონ დალილა ბედიანიძეს.

მუშაობის პერიოდში ეს თბილი და გულისხმიერი ქალბატონები მიყვებოდნენ, თუ რა სულიერ მღელვარებას განიცდიდნენ შენი ლექსების თარგმნისას. დარწმუნებული ვარ, მათ გულეშიც ჩაიღვარა ის მძაფრი ემოცია, რასაც შენ გრძნობდი ლექსების წერისას. დამიჯერე შვილო, ამ ხალხის თანადგომა შენი წიგნის გამოცემისას, სრულებით არ მიმაჩნია შემთხვევით მოვლენად, რამეთუ ისინი, თავიანთი განცდებით, ემოციებით, სულიერი თუ მორალური წყობით ახლოსმდგომნი არიან შენთან — როგორც უუბრალო ადამიანები, როგორც პოეტები და როგორც ჩვენი მართმადიდებლობის ერთ-ერთი მრევლთაგანნი...

ამის ნათელი დადასტურებაა, ჩემო გია, ამ სულიერად ლამაზი და კეთილშობილი ქალბატონების შენდამი მიძღვნილი ჩანახატები და ლექსები. არ იფიქრო შვილო, თითქოს მე მეთხოვოს მათთვის რამე, ან თუნდაც ისე გავკადნიერებულებიყავი, რომ ამ ამაყი ქალბატონებისთვის შემეთავაზებინა რაიმე წინასწარი დაკვეთა... ამას ვერ გავბედავდი და ვერც ვაკადრებდი მათ... ეს ლექსები მათი სულის ამოძახილია, მათი გულის ნაზრევია, რომელიც შენ მოგიძღვნეს.

ჩემო გია, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც შენ წახვედი ჩვენგან. ბევრი საყვარელი ადამიანი დაკვარგეთ მას შემდეგ... მალე ერთი წელი გავა რაც ამ ცხოვრებიდან წავიდა შენი და ჩვენი საყვარელი ადამიანი ბიძაშენი — ენგუზ იაშვილი... იშვიათი ადამიანი, იმ ადამიანებს შორის, რომელიც სიკეთესა და გულისხმიერებას იტევს მხოლოდ. ეს კეთილშობილებით, მადლიერების გრ-

ძნობით აღსავსე კაცი, სულ იმაზე ფიქრობდა, რომ თავისი ცხოვრების წესით იმ ხალხის გვერდით ყოფილიყო, ვინც უყვარდა... ჩვენ კი მის საყვარელ ადამიანებს შორის ხომ პირველები ვიყავით...

აღბათ, დამეთანხმები, ჩემო გია, რომ ბიძაშენისა და დედაშენის და-ძმობა რალაც არაჩვეულებრივად თბილი და თითქმის ფანატიზმამდე ასულ ურთიერთობას ჰგავდა... ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს დალოცვილ საქართველოში ასეთი და-ძმობა ხშირი იყოს... იქნებ, სწორედ ამასია ჩვენი შველა — ოჯახური სიმტკიცისა და ურთიერთგაგებისა, რომელიც ესოდენ გვაკლია ქართველებს.

გახსოვს, მისაყვედურე, რატომ მიმალავდით ჩემი საყვარელი ბიცოლის, თამარ ბოჭორიშვილის გარდაცვალებასო. შვილო, ეს დედაშენის იდეა იყო, უნდოდა, გული არ ეტკინა შენტვის. მახსოვს, რა გახარებული იყავი თამარის წარმატებებით მეცნიერებაში, გეამაყებოდა, რომ ასეთი სახელოვანი ბიცოლა მყავსო.

ეჰ, სამწუხაროა, რომ დაგვაკლდა, ჩემო გია, მისი ყურადღება, მისი განუმეორებელი იუმორი. რომ იცოდე, როგორ ცდილობდა ბიძაშენი, ჩემს და დედაშენის გამოყვანას იმ დეპრესიიდან, რაც შენმა წასვლამ მოგვეგვარა... ყველა ღონეს ხმარობდა, გვერდში ამოგვედგომოდა და შეემსუბუქებინა ჩვენი მდგომარეობა... ღმერთმა აცხოვნოს და გაანათლოს, შვილო, მისი და მისი მეუღლის თამარის ნათელი სული. იმედი მაქვს, ახლა თქვენი სულები იქ, მაღლა, ცაში გაერთიანდნენ და ერთად ლოცულობთ ჩვენზე — მინიერ, ცოდვილ ადამიანებზე... ერთხელ, საუბარში ბიძაშენმა მითხრა: „ჩემო ჯემალ, დიდ საქმეს აკეთებ, შენს შვილს „ლიტერატურული მემორიალი“ დაუდგი, ღვთის ნაკარნახევ საქმეს შეეჭიდე და იმედია მისივე წყალობით, დაასრულებო“.

კარგი ნათქვამია, არა? მართალია, ვირტუალური, სივრცითი გამოთქმაა, მაგრამ თუ ოდნავ მაინც შეეფერება სინამდვილეს, მაშინ ჩემს თავს ამ უბედურ ყოფაშიც კი „ბედნიერად“ ჩავთვლიდი. ჩემს გვემასა და უარყოფით ემო-

ციებს პირადად ჩემი პიროვნების მიმართ ის ამძაფრებს, შვილო, რომ ყოველივე ეს შენი სიკვდილის შემდეგ მოხდა. რა?.. რა მიშლიდა ხელს, რომ ყოველივე ეს შენს სიცოცხლეში მომეფიქრებინა და გამეკეთებინა?.. ვინ იცის... იქნებ ამით მაინც ამოგდგომოდი მხარში მორალურად, ამით მაინც გამემხნევებინე და იქნებ გადამერჩინე კიდევც... ეჰ, რა ვიცი ასეთი ფანტასტიკური აზრები ხშირად მომდის თავში, მაგრამ ახლა ხომ ყველაფერი გვიანია...

ჰო... დავაგვიანე...

შენმა წასვლამ კი ძალა მომცა და ჩემი წიგნებიც კი დამანერინა. იმას, რასაც ყმანვილობაში გპირდებოდი, რეალობად ვაქციე. თანაც, ვფირობ, ამით, ალბათ, ყველა „ხანდაზმულ მწერალს“ გადავაჭარბე (67 წლის ასაკში დავინწყე წერა... ხუთი წიგნის ავტორი ვარ.) და ესეც მხოლოდ შენი დამსახურება, ჩემო ბიჭო... ჩემო გია...

როცა ასეთ წერილებს გწერ, ასე მგონია, შენ, როგორც ცოცხალ ადამიანს ისე გესაუბრები: ასე მემართებოდა მაშინაც, როცა ჩემს წერილებს ნავუძმდვარებდი ხოლმე ყველა შენს წიგნს და ასეა ახლაც... მართალი გითხრა, მომწონს კიდევ ჩვენი ასეთი ურთიერთობა — ეპისტოლარული ურთიერთობა, რომელიც სიმშვიდეს მგვრის... რასაკვირველია, ეს თავის მოტყუებაა, რადგან ჩემს წერილებზე პასუხს ვერასოდეს მივიღებ...

ამ წერილით კი მინდა გთხოვო, ჩემო გია, რომ შენი ინგლისურენოვანი წიგნის „ლონდონი ჩემი ბედისწერა“ ქართული თარგმანი შენი და ჩვენი საყვარელი ადამიანის, ბიძაშენის — ენგუზ იაშვილისა და მისი მეუღლის თამარ (თამრიკო) ბოჭორიშვილის ნათელ ხსოვნას მივუძღვნა...

შვილო, ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს შენი, ბიძაშენისა და ქალბატონ თამარის ნათელი სულები...

\*

ჩვენი გიას წიგნები განთავსებულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ჩვენი ქვეყნის პროვინციების ბიბლიოთეკებში, რუსეთის ფედერაციის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნეკრასოვის, მაქსიმ გორკისა და სხვა სახელოვან

ნიგნსაცავებში. აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის აღიარების დამადასტურებელია ის, რომ საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გიას ნაწარმოებები შეიყვანა ქართველ მწერალთა ნუსხაში.

მხოლოდ შვილის სიკვდილის შემდეგ მომცა ღმერთმა ის ძალა, რომ მისთვის ვირტუალური მემორიალი დაგვედგა... ამაში ცოდვა მიგვიძღვის მის წინაშე... მხოლოდ ღმერთია ჩვენი მიმტევებელი. დღემდე ვლოცულობთ...

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ მეუფე ზენონს, მამაო დოროთეს, გიას უახლოეს მეგობრებს — ქალბატონ მაკა ბაქრაძესა და კახა აბაშიძეს დახმარებისა და თანადგომისთვის.

# წიგნიდან „ლონდონი — ჩემი ბედისწერა“

თარგმნა *თინათინ მღვდლიაშვილმა*

## ჩემი სახლი

ეს ჩემი სახლია და  
ჩემი ძმაკაცების...  
იგი ნაგებია  
დიდი აღტაცებით.

მაშ, შეევსათ სადღეგრძელო  
ჩვენი გოგონების,  
თუმცა ენაგბილწაობთ,  
დარდი გვკლავს მოგონების, —

რამდენი სისხლი და  
რამდენი მკვდარია...  
ჩვენი სიმყუდროვე  
ზამთარმა არია.

ვილაცამ გაუბერა,  
საშველი სჭირდება...  
დანას მიღერებენ —  
მეც შველა მჭირდება.

და, მართლაც, წამიერად  
მტერი იცელება...  
მე გადამარჩინეს  
ჩემმა მეგობრებმა.



სისხლი იღვრება და  
რამდენი გვამია...  
ჩვენი სიმყუდროვე  
ზამთარმა არია.


მაშ, შევსვათ სადღეგრძელო  
ჩვენი ისტორიის,  
თავისუფლების და  
დიდი ისტერიის!

დე, ჩვენმა სიმღერებმა  
შთანთქას ეზოები...  
(მერე რა გაუძლებს  
ზარებს მეზობლების?!.)

რა მძიმე ღამეა.  
რა მძიმე ზამთარი.  
ჩემი მეგობრების  
გამრავლდა საფლავი.

და დამრჩა მოგონება  
შორეულ ნიღბების,  
ლონდონმა ვერ შეძლო  
გაფანტვა ნისლების.

რამდენი სისხლი და  
რამდენი მკვდარია...  
ჩვენი სიმყუდროვე  
ზამთარმა არია.



ეს სურათი განთავსებული იყო ინტერნეტში, ლონდონის წმინდა  
გიორგის სახელობის ეკლესიის თავფურცლად,  
რომელიც ამ ეკლესიის სახელის შეცვლის შემდეგ გაქრა...



ლონდონი. გია და ქ-ნი ირინე აბაშიძე  
(გიას მეგობრის, კახა აბაშიძის დედა)



## **ღმერთო, გვიხველა!**

ეს არ არის შენი სახლი,  
არც არასდროს იქნება...  
და ვგრძნობთ, დიდი სიუცხოვე  
თავისთავად იქმნება.

ზოგჯერ სიზმრად ვესტუმრებით  
წარსულ ქუჩებს, ქარიანს...  
ჩვენი ძველი მეგობრებიც  
ცოდვილები არიან.

გახსოვს, ცელქი გოგონები,  
მათი მშვენიერება?  
ანდა პირველ პაემანზე  
წასვლის ბედნიერება?

ეს არ არის შენი სახლი,  
არც არასდროს იქნება...  
და ეს დიდი სიუცხოვე  
ბუნებრივად იქმნება.

ღმერთო, ძველი მეგობრები  
ჩვენთვის თავს გასწირავდნენ,  
ჩვენ კი „წარმატებისათვის“  
სადღაც გადავიკარგეთ.

და გაქცევა ჩაგვეთვალა  
ნარმატებულ ნაბიჯად...  
იქნებ, დროა, რომ ვიფიქროთ,  
ეს რა ფასად დაგვიჯდა?..

ეს არ არის შენი სახლი,  
არც არასდროს იქნება..  
საოცარი სიუცხოვე  
თავისთავად იქმნება.

იქნებ, წარსულს დავუბრუნდეთ,  
ვიდრე ძალა გვექნება...  
იქნებ, ბრძოლით მოვიპოვოთ  
ჩვენი ბედნიერება?

ზოგი ნავა, ზოგი — ვერა  
და დარჩება სიშორეს...  
შეიძლება ვინმე მოკვდეს,  
ღმერთო ჩემო, გვიშველე!

\* \* \*

ჩვენ, ორივე, მარტოხელა კაცები ვართ,  
შენ ლუდხანის კუთხეში ხარ განაბული,  
შენ პირდაპირ, მაგიდასთან მარტო ვზივარ,  
სიჩუმეა... და მადა გვაქვს დაკარგული.

ცხადია და, ყველაფერი ნათელია, —  
ჩვენ ვერასდროს ვერ გავხდებით მეგობრები,  
მოხუცისთვის ეს ცხოვრება სხვაფერია  
და არ ვნუხვარ, თუ სულელი გეგონები.

მაგრამ, ოდეს ჩემში გზნება ჩაინვება  
და არავინ მოგვიგონებს მარტოკაცებს...  
მაშინ,

მაშინ,  
მხოლოდ მაშინ შევხვდებით და,  
შესაძლოა, შესაძლოა დავძმაკაცდეთ.

*თქვენო უდიდებულესობავ,  
დიდ თანაგრძნობას გიცხადებთ პირადად ჩემი და  
მამაჩემის, გენერალ დიმიტრი (ჯემალ) ფოცხვერიას,  
დედის — თავადიშვილ ლიანა (ლია) იაშვილის,  
ძმის — დავით ფოცხვერიას სახელით.  
დიდ ბოდიშს ვიხდი ჩემი ქედმაღალი საქციელისა  
და ინგლისური ენის არასაკმარისი ცოდნის გამო.  
და მაინც, გთხოვთ, დამერწმუნეთ,  
ყველაფერი მოდის ჩემი გულის სიღრმიდან!*

\* \* \*

ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს? რატომ მოვიტყუო თავი?  
მე უცხოელი ვარ, ის კი არ იყო ჩემი დედოფალი.  
ის მაშინ გადადოფლდა (მე მეუფლება ასეთი გრძნობა),  
ოდეს „მოვალეობა“ არსებობდა ისევე, ვით „ცოდვა“.

\* \* \*

რა არის სიკვდილი?!  
უდიდესი სიამოვნებააო, — ამბობენ...  
ჩვენ სახარებისეული რწმენით ვიღებთ მას  
და შემდეგ ვკითხულობთ:  
რატომ ვგრძნობთ სიმარტოვეს?!  
ნახვამდის,  
მარტოსულო კაცო,  
ნახვამდის,  
ჩვენ კვლავ შევხვდებით მერე...  
ან შემდეგ...  
მე ზუსტად ვიცი,  
მერე... ან შემდეგ!



\* \* \*

გთხოვთ, გემუდარებით, მომკალით, გეთაყვა,  
მძვინვარე ეშმაკმა რომ აღარ მანამოს...  
მტრების მოკვდინების მიზნდება სურვილი  
და ძველი მნუხარება რად გაგიორმაგოთ?

რარიგ ვიტანჯები... მიშველე, უფალო!  
მე გადავიღალე და ვბრაზობ დღემუდამ...  
თავი ვით მოვიკლა და ვით დავემსგავსო  
შურიან მოციქულს, გამყიდველ იუდას?!.

დღეს გვიჩინებენ: „ღალატი საქმეა“...  
ამგვარად დაგვცეს და დაგვიმონაფეს...  
ჩვენც გვანყობს: „ღალატი უბრალო რამეა“...  
და გაგვწვრთნეს ღალატში და დაგვაოსტატეს.

\* \* \*

მოულოდნელად მომცელეს და მომკლეს სადღაც...  
და, როგორც ადრე, ბრძოლა იყო გაუგებარი...  
როს ფენიქსივით აღვიმართე დაბლიდან მაღლა,  
ჩემი მტრებისთვის დარტყმა იყო გაუგონარი.

გადავიღალე... და ჩემს სახლში მსურს დაბრუნება,  
ჩემს განათებულ სამყაროში, რომ არ დავეცე...  
ღმერთო, მიშველე, ამარიდე დიდი ცდუნება,  
ო, ამ კოშმარებს, ამ ჯოჯოხეთს უნდა გავექცე.

რას ითხოვთ ჩემგან? დავთმე გული და სიყვარული,  
მაგრამ, ო, სულის სიფაქიზე არ შემიცვლია...  
რადგან, ვინც მიყვარს ქვეყანაზე ყველაზე ძლიერ,  
მისთვის ტკივილის მიყენება არ შემიძლია.

\* \* \*

ყოველდღე ვკვდებით და  
ყოველდღე ვიღვიძებთ,  
ვიდრემდე გაუძლებს  
საყრდენი სიმძიმეს.

ჩვენ ვკარგავთ მეგობრებს,  
ოდეს მათ ვღალატობთ  
და ვკვდებით, როდესაც  
ძმაკაცი გვღალატობს.

მოხუცო, შენ იცი, რაოდენ რთულია  
სევდა მარტოსული, ეული არსების.  
ზიხარ ლუდხანაში — უცნობი სრულიად —  
ვიციტ ერთმანეთის ფარული აზრები.

\* \* \*

კვლავ გამარჯობა, ძვირფასო!  
ნღების შემდეგაც ვხვდებით...  
და ამ სევდიან ღამეში  
ძველი შიშებით ვკვდებით.

გეგონა, გადაგავიწყდი  
და სინდისი გაქვს სუფთა...  
მეც შენი გადავინწყება  
ტკივილის ფასად მსურდა.

თითქოს რაღაცის თქმა გინდა  
და გეშინია, მგონი...  
და გაგონებაც არ გვინდა,  
როდის ჩამოჰკრავს გონგი.

მაშ, გამარჯობა, ძვირფასო,  
გამარჯობა და... ნახვამდის?!  
ჩვენს თავს რა ხდება, არ ვიცით,  
ან რა ხდებოდა აქამდე?..

მაშ, გამარჯობა, ძვირფასო,  
გთხოვ, რომ შეიშრო თვალები...  
გამარჯობა და... ნახვამდის?!  
ნუ ტირი, გემუდარები.

\* \* \*

მარტოხელა პოეტო, სიკვდილო და სიცოცხლევე,  
სალამი, მეგობარო, ხელი გამომიწოდე!  
ნუთუ ჯერ არ გინახავს დაცემული რაინდი,  
ცრემლიანი ცოდვილი, მარად მოხეტიალე?!

თითქოს, ერთი შეხედვით, ის საოცრად მყარია,  
ვერც ვერავინ შეაცდენს და ვერც გაანაწყენებს...  
მას ჯავშანი აცვია, მუდამ მზადყოფნაშია,  
ფულს არ სძალავს, არა კლავს და მტკიცედ დგას მიწაზე.

თითქოს გულგახსნილია, არაფერი აწამებს,  
ჰოდა, ჩამოაშორეთ ავადმზერი თვალები...  
ფიქრით თავს დასტრიალებს მეგობრების საფლავებს  
ან იქნებ აგონდება ცოდვიანი წამები.

იქნებ გლოვობს სიყვარულს, — გულის სწორი დაკარგა,  
იქნებ, სულის სილაღე სადღაც გადაეკარგა?..  
ვინ რა იცის, რად ტირის ან რა უხსნის ქრილობებს,  
მაშ, დატოვეთ მარტო და... მალე დაემშვიდობეთ.

\* \* \*

ნუ დაკარგავ შენს სახლს, ძმაო, ნუ დაკარგავ!  
ნურც მნუხარე მეგობრების ხატებას...  
ჩვენ აქა ვართ უცხოები, მეგობარო,  
და არვინ გვცნობს ინგლისელად, ფრანგებად.

წამოვედით ოცნებების საძებნელად,  
მოვიპოვეთ სულის, ხორცის ცხონება..  
მაგრამ, ვერვინ ვერ შეგვიცვლის მშობელ დედას,  
სამშობლოში გავაგრძელოთ ცხოვრება.

მე არ მჯერა, ო, ამგვარი უაზრობის —  
სახლი იქ გვაქვს, სადაც კარგად გვიხდიან...  
ოცნებების ყიდვა არის უზნეობა,  
ოცნებები სამშობლოსკენ მიდიან.

მოდით, ავდგეთ, შინ წავიდეთ, ჩემო ძმაო,  
მივაკითხოთ მეგობრების საფლავებს,  
შეფურიგდეთ ჩვენს წარსულს და ჩვენს მომავალს,  
წავიდეთ და... ნულარაფერს ვინანებთ.

\* \* \*

საფლავში წავიღებ  
ჩემს ანწყოს, ჩემს წარსულს...  
აზრი წაერთმევა  
ცხოვრებას გარდასულს.

მაგრამ, როს შეთვრება  
ვინმე მეგობარი,  
მოვა საფლავზე და  
მეტყვის, როგორ არი...

ვიღაც მომიყვება  
რა მოხდა, რა ხდება...  
აზრს ჩამეკითხება  
და სახტად დარჩება.

ნაბახუსევზე კი  
საქმე გაირჩევა, —  
ვიღაც გამტყუნდება,  
ვიღაც გამართლდება.

მე დაგელოდებით  
და თქვენთვის ვილოცებ.  
თუ გნებავთ, იფხიზლეთ,  
თუ გნებავთ, ილოთეთ.

\* \* \*

მე მძინავს და  
ცა ისეთი ნითელია,  
ჩემს სიზმრებში  
მეგობრები წრიალებენ...  
სისხლში ვცურავ,  
ვიცი, უნდა მალე მოვკვდე...  
— გთხოვთ, გიორგი, არ ნახვიდე! —  
ღრიალებენ.

ჩემი ბინა  
ცოდვებისგან დაილია...  
საფლავები  
მეგობრულად მილიმიან...  
წამიყვანე,  
შემოგეველე, ფანტაზიავ,  
სადღაც,  
სადაც სამუდამო აისია;  
სადაც ჩემი მეგობრები —  
ჯანმრთელები,  
იცინიან,  
სიგიჟე და ხალისია!

ჩემს ბინაში  
ახლა ზეობს მდუმარება...  
მარტო მე ვარ,  
ნალველი და მწუხარება.



\* \* \*

მე უნდა მიყვარდეს ადამიანები,  
თვით ჩემი მტრებიც კი უნდა მიყვარდეს...  
აბა, რა უნდა ვქნა?  
ქრისტეს ხომ უყვარს ისინი...  
განსხვავება უკიდევანოა: მას უყვარს ადამიანები,  
მე კი — უნდა შევიყვარო ისინი, რამეთუ მსურს,  
კეთილგანწყობით მიიღოს ჩემი სიყვარული უფლისადმი,  
ნმინდა სამებისადმი  
და თავად მისადმი.  
მე უნდა მიყვარდეს მთელი სამყარო, კაცობრიობა,  
ღმერთო, გეგედრები, შემინდე ცოდვები, მომეცი შენდობა.

\* \* \*

უნდა დავბრუნდეთ სახლში,  
წარსულისა და მომავლის შიში ღმერთმა გვაშოროს...  
მოგზაურობა სიამოვნებაა, მაგრამ  
უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს წმინდა სამშობლოს.

მოდით, ჩავაწყობთ ბარგი,  
რას გამოვემწყვდიეთ უცხო მხარეში?  
აქაური სექტემბერი კარგია, მაგრამ  
სიკვდილიც მიჯობს დედის მკლავებში.

### დაბადების დღე...

მე ვლოცულობ ჩემი ქვეყნის  
დაბადების დღეზე,  
ბოდიშს ვიხდი ამ ლოთური  
წვეულების გამო...

დღეს სვამს მთელი საქართველო  
პატრიოტულ „ტოსტებს“,  
მაგრამ, თითქოს, წინაპრების  
დავინწყებას ლამობს.

წელიწადში მხოლოდ ერთხელ  
თუ ვიგონებთ საფლავს  
და კვამლიან ოთახებში  
ვიმზირებით სადღაც...

\* \* \*

შენ სურვილები გქონდა ულევო,  
მე დავიჭირე ფარული მზერა...  
კვლავ დავიჯერე შენი ტყუილები  
და ღამე გვექონდა, ვით ბედისწერა.

მაგრამ ამ დილით უნდა გავიქცე,  
გადავიღალე ყალბი ქცევებით...  
იცოდე, ზღურბლთან არ შემაჩერო  
შენი ცბიერი, ფლიდი ცრემლებით.

არ შეგიძლია შენ თანაგრძნობა,  
არც თანადგომა, არც სიყვარული...  
რადგან არ ძალგის გაიზიარო  
ჩემი სიგიჟე, თუნდ სინანული.

საბრალო სული უნდა გავხედნო,  
რათა ოდესმე დავმკვიდრდეთ ზეცად...  
ღმერთო მაღალო, ცოდვა შეგვინდე,  
სასუფეველში მიგვიღე ერთად.

მანამდე უნდა გრძნობები ვთოკოთ,  
როგორც შეშლილნი, გადარეულნი...  
ჩვენი ვნებები, როგორც ჯინები,  
ჩავსვათ ბოთლებში, ვითარც გრძნეულნი.

ახლა კი უნდა გავუჩინარდე,  
გადავიღალე ყალბი ქცევებით...  
იცოდე, ზღურბლთან არ შემაჩერო  
შენი ცბიერი, ფლიდი ცრემლებით.

არ შეგიძლია შენ თანაგრძნობა,  
არც თანადგომა, არც სიყვარული,  
არ შეგიძლია გაიზიარო  
ჩემი ტკივილი, თუნდ სინანული.

მე მაინც მუდამ შენთვის ვილოცებ,  
ვიქნები შენი ფარული მცველი...  
და შენ იქნები უკანასკნელი  
ჩემი სურვილი და ჩემი მკვლელი.

საბრალო სული უნდა გავხედნო,  
რათა ოდესმე დავმკვიდრდეთ ზეცად,  
ღმერთო ძლიერო, ცოდვა შეგვინდე,  
სასუფეველში მიგვიღე ერთად.

ახლა კი უნდა ვნებები ვმართოთ,  
გადარეულნი და დაგეშილნი...  
ციხის კედლები ამოვუშენოთ,  
ბოთლებში ჩავსხათ, ვითარც შემლილნი.

ო, არა! მართლა უნდა ნავიდე,  
ჩემო ძვირფასო, გავქრები დილით...  
გაფრთხილებ, ზღურბლთან არ შემაჩერო,  
ყალბი ცრემლებით, ყალბი ღიმილით.

თუ სიყვარული შენ მიგაჩნია  
მხოლოდ სიტყვებად, მხოლოდ სახელად...  
შენ თანაგრძნობა არ შეგიძლია  
და ორნი ვრჩებით კვლავ მარტოხელად.

\* \* \*

სალამი, შე გამპირო!  
შენ ხომ მხოლოდ შთანთქავ...  
ტკბები რა უნაპიროდ,  
ო, შე ნაძირალა!...

ნახე, რა ჩაიდინე,  
რა უყავი ჩემს სულს?  
ახლა უნდა გაიქცე,  
ვით შეშვენის ავსულს?

მშთანთქე, გამანადგურე  
და შემჭამე ცოცხლად...  
ვაი, შენ, ჩემო თავო,  
რომ იქეცი ტორტად.

\* \* \*

წვიმს და... ისევ დავშორდით  
მწუხარებით ართქმულით...  
დრო გავა და გავხდები,  
ალბათ, სახელგანთქმული...

შემდეგ, ალბათ, იფიქრებ,  
რომ სულელი აღმოჩნდი,  
რომ მოგინყვე ოინი —  
მატარებელს ჩამორჩი.

შემდეგ შეგიყვარდები,  
ცრემლი ტბად დაგეცლება...  
შე ბორგნეულო ძუკნავ,  
ამით რა შეიცვლება?!

\* \* \*

კენ სარა ვივა,  
კენ სარა ვივა,  
მოკლეს ჩემი მეგობარი.  
მაგრამ მათ ეს არა სტკივათ,  
ეს არ არის მათი ბრალი...  
ნავთობსა და სიმდიდრეში  
ჰპოვეს ფუჭი მოსავალი.

და ტრიალებს დიდი საქმე —  
სისხლიანი ბლოკადების...  
უდიდესი ძალისხმევით,  
ოდეს ფული ჩვენკენ მოდის.

იცი, ზოგჯერ, სიზმრად გხედავ,  
ნეტავ, როდის დავმეგობრდით?  
ლამის კომმარს თავს ვაღწევ და  
ეს ჩვენ არ ვართ... და ჩვენ ნაცვლად  
თითქოს ჩამოკიდეს თოკი...



\* \* \*

მწუხარებავ,  
მწუხარებავ ჩემო,  
მე ვარ ერთი დატანჯული კაცი.  
შემიყვარდა მშვენიერი გოგო,  
მან კი, მართლაც,  
მონასავით მგვემა...  
ახლა? ახლა გამოცდა მაქვს მკაცრი,  
რადგან „კარგის“ შევიცანი გემო...

\* \* \*

ორივ მხრიდან იწვის ჩემი სანთელი,  
სამწუხაროდ, მალე შეწყვეტს ციმციმს...  
მაგრამ, ჩემო მეგობრებო და მტრებო,  
უნდა ნახოთ, რა ლამაზად იწვის!...

\* \* \*

ჯონ, ზაფხული მოდის და, როგორ მინდა აგისხნა  
ჩემი გულისნადები... გეტყვი, მხოლოდ ერთადერთს, —  
რომ მე ბედნიერი ვარ, აქ ყოფნა რომ მეღირსა,  
და რომ, ღვთის წყალობაა, ჩვენ რომ შევხვდით ერთმანეთს.

ო, ზაფხული ცხელია, ფრიად ენერგიული  
და ჩვენ გვგვანან ეული ციხესიმაგრეები,  
ინგლისური კოშკები, არაამქვეყნიური,  
დგანან განმარტოებით, ძველი სიმაღლეებით.

ო, ჩვენი ოცნებები და ჩვენი იმედები...  
და სამყაროს სვე-ბედზე წუხილი და ფიქრები...  
მინდა, გითხრა, როს წავალ, ნახავ, დანამდვილებით,  
თუ როგორ გავფრინდები... თუ როგორ გავფრინდები....

\* \* \*

თქვენ მოგმართავთ, ნორმალურო ხალხო,  
მომიტევეთ, მაპატიეთ, გვერდით,  
რადგან რალაც დაბრკოლების გამო,  
თქვენთვის დიდი სადარდელი გავხდი.  
გამიზნულად არ ვიქცევი ასე —  
შეფერხდებით თქვენ ჩემ გამო როცა...  
ჩემი გული სითბოთია სავსე  
და კვირადღის მწუხრის ლოცვას მოჰგავს...

\* \* \*

ზაფხული გადის და,  
იცოდე, იხილავ მას,  
ერთ წუთს შეიცდი და  
გაიგებ ბუტბუტას ხმას.

ის მომღერაღია,  
ტოტებზე ატარებს დროს,  
და თბილ ეკლესიას  
ჰგავს მთელი სამყარო...

\* \* \*

ვაშინგტონს დასძახის მთვარე და  
იცინის, ძლივს ითქვამს სულს, —  
ბილი, წადი შენს ოფისში,  
მონიკას გართობა სურს...

ალბათ, ვართ უზადოდ შეშლილნი,  
პასუხს გთხოვთ ატეხილ მამრს...  
ბილი, პრეზიდენტი კი არა,  
უფრო ჩინგიზ-ხანი ხარ!..

ბილი, მერამდენედ გთავაზობთ  
დავესწროთ სპრინგერის შოუს,  
ჰილი შეებმევა მონიკას,  
მსაჯი კი იქნება ჰაუ!

და კაპიტოლიუმ-ჰილიდან  
მოგწვდება საამო ხმა,  
თუ ორი ზექვეყნის შესახებ  
დააფრქვევ ჭკვიანურ აზრს...

ეგ ჰეროიკული ფრაზები,  
ხომ იცი, სიცვლით გვკლავს...  
ბოროტი ხმები კი ამბობენ,  
რომ დიდი რეგენი ხარ!..

თუ წახვალ, არ დაგვაგინყდები,  
არჩევნის სიმძიმე გდევს...  
შოუს უმთავრესი სამხილი  
ბიბლიოთეკაში დევს...

ჰილი ვაშინგტონში დარჩება,  
ვიხილავთ, ვით სენატორს...  
ბილ, პრესის ნუ შეგეშინდება,  
მოირგებ მრჩეველის როლს.

## უღირსს

თუმცა შენი მტერი  
ჩემი მტერია,  
შენს აზრს ვპასუხობ  
მუდამ უარით!  
ალბათ, ვარ ვინმე  
„ბოროტთაგანი“  
და ავგულობის  
შემწევს უნარი.

მე თვით ეშმაკზე უარესი ვარ  
და სიძულვილი მანწევს ლოდივით...  
და შენ არ იცი, რომ მე გლალატობ,  
რადგან არ ძალმიძს მე მოლოდინი...

როს ყვავილები იფურჩქნებინ,  
ვარ უაღრესად აღელვებული...  
დღეს მაქვს სურვილი სიყვარულისა,  
მაგრამ დავკარგე მე სიყვარული...

არ ვიცი, გრძნობა როგორ დავხატო,  
რა სიტყვით, როგორ, ვით გამოვხატო?!

## ჩემი პრინციპების მართვა...

პრინციპების მართვა აღარ შემოიძლია,  
უძლური ვარ, მატყუარა, ფლიდი...  
ფფარისეველობ, თითქოს ძალზე ჭკვიანი ვარ,  
ფრთებგაშლილი, უცოდველი ჩიტი.

მეგობრებმა არც იცოდნენ, არც იციან,  
რა იმედით ვესწრაფვოდი მიზანს...  
მე კი უკვე დამეკარგა, რა ხანია,  
ჩემი მტკიცე საყრდენი და მიწა.

ვიხიბლები, ცა ისეთი ლამაზია,  
ისე ვრცელი, რომ ვერ ვძლები ფრენით,  
მეშველები, რომ არ მოწყდეს თვითმფრინავი,  
არ დაეშვას, არ დაეცეს ფრთებით.

ძმაკაცი მყავს, მფრინავია, ანტუანი,  
მე კი არ მგავს, ისე სერავს სივრცეს...  
და დავფრინავთ, და დავქრივართ ვარსკვლავეთში,  
და ჩვენ გვმართავს, და გემფარველობს ქრისტე!

სამყაროში უსამართლო ომებია, —  
სამართალი იყო?... არც იქნება!  
იქნებ, ზოგჯერ, უნდა იყო უსამართლო?...  
ვიღუპები, თუმც მე ისევ მე ვარ!

\* \* \*

სალამი, როგორ ხარ, ჩემო მეგობარო,  
მითხარი, რომ დღეს ვარ უმაგრეს ფორმაში...  
მერწმუნე, სხვებს ამას თავად დაფუმტუციცებ...  
შენ კი, ჩამომისხი, ჩემს ჩვეულ კათხაში.

შენს თანხას, ხომ იცი, მე რომ გადავიხდი,  
ვიდრე სევდიანი დავთვრები ძალიან...  
თუმც საბედისწეროა ჩემი ყველა ფიქრი,  
ცხოვრება არა მაქვს ურიგო, ცხადია!

ვერსად გავექეცი, ძმაო, მოგონებებს, —  
ბედნიერია თუ უსაზღვროდ ავია...  
დღეს ნეტავ ვის სჯერა, თითქოს მეგობრები  
მალლა, სამოთხეში, ზეცაში არიან!

თაღლითების საუკუნეა?  
არა, საუკუნის დასასრულია  
და თვალთმაქცთა ჟამია!..



ინგლისის დედოფალთან აუდიენციის შემდეგ.  
გია, მეუფე აბრაამი და მაკა ბაქრაძე



ლონდონი. პაატა ბაქრაძე, დედა და შვილი.





\* \* \*

მან იცის მომავალი,  
ის „სუპერმენია“!  
„ცხოვრება მოსაწყენია,  
მე ვიცი, რა და როდის!“ —  
ამბობს სევდიანი  
და გასაგებია...

ვერ შეცვლის ბედისწერას —  
ეს მისი სისუსტეა!  
ჩვენ გვაქვს სასოება —  
მას, თითქოს, შეჩვენება...  
და ხდება სასწაული —  
თოკად მეჩვენება...

ვექიფობთ... და მას აქვს  
თვალეები ულურჯესი,  
მინდა, დავუჭირო  
ნაკლი უმცირესი.

მე მას გამოვინვევ,  
ვიბრძოლებ სიხარულით,  
ღმერთი მსაჯულია,  
შედეგი — სიყვარული.

ნახვამდის, ამერიკა,  
ნახვამდის!  
ნახვამდის, ჰოლივუდო, კარგად!  
შენი ცრუპენტელა წესები  
არაფრად, არაფრად ვარგა!..

მან იცის მომავალი,  
ის „სუპერმენია“...  
ცხოვრება მოსაწყენია,  
მან იცის, რა და როდის!

რა სერიოზულია ეს შტერული ლექსი,  
ჭიკ-ჭიკ-ჭიკ — ფრინველი გალობს.  
ნეტავ, რას ნიშნავს ეს უცნაური ტექსტი?  
და ვხვდები, ჩიტი რას ამბობს:  
„ჭიკ“, ალბათ, ნიშნავს „მეგობაროს“!

\* \* \*

კვლავ მიტინგია... ვითომ სულაც არ გვედარდება,  
ქურდების მსგავსად,  
ჩვენ მალულად ვუმზერთ ერთმანეთს...  
რა შემზარავი, რა მწუხარე, რა მძიმე დღეა,  
ო, ღვთისმშობელო, შეგვეწიე და დაგვეხმარე.

ო, რა ძნელია, რომ ატარო გულით ლოცვები  
და არეული, ამღვრეული ტვინი, გონება...  
ვითხოვთ სიყვარულს და მშვიდობას, მაგრამ ცივ ომში  
უძნელესია მისი პოვნა და მოპოვება.

\* \* \*

წვიმს და... ისევ დავშორდით  
მწუხარებით ართქმულით...  
დრო გავა და გავხდები,  
ალბათ, სახელგანთქმული...

შემდეგ, ალბათ, იფიქრებ,  
რომ სულელი აღმოჩნდი,  
რომ მოგიწყვე ოინი —  
მატარებელს ჩამორჩი.

შემდეგ შეგიყვარდები,  
ცრემლი ტბად დაგეცლება...  
შე ბორგნეულო ძუკნავ,  
ამით რა შეიცვლება?!

\* \* \*

კაფე „რუჟი“, კაფე „რუჟი“...  
ოფიციაინტი — ირონიული.  
ამინდი, მართლაც, უმშვენიერესი,  
ყავა კი — რაღაც ფანტასტიკური.

\* \* \*

მე ნასვამი ვარ და ვერთობი მაგრად,  
ეს კაფე 38-ია...  
შარდისგან დაცლა შეგიძლია, რადგან  
შესანიშნავი ტუალეტებია...

\* \* \*

მოგიკითხავთ ლონდონიდან, მეგობრებო,  
ჩამოვალ და ყველას ჩაგეხუტებით,  
დრომ რა ნელა, რა უღმობლად ჩაიარა,  
თქვენ არ იცით, თუ როგორ მენატრებით...

\* \* \*

ჩვენ ჩიტებს ვგავართ:  
მე და ჯონი.

## ელვარე ლალი

*მანანა გოგიაშვილს*

ამ ცხოვრებისგან გადარეული  
ვილაც უგონო, სულელი მთვრალი,  
მოდის და უნდა კაცობრიობას,  
ბედის მოსთხოვოს საზღავი ვალი.

თვალეები სისხლით გადაღებილი,  
და მათში მოსჩანს სატანის ალი,  
უნდა ეძგეროს პირველ მსხვერპლს, მაგრამ...  
უეცრად ხვდება ელვარე ლალი.

მაინც არ სჯერა, მაინც არა სწამს,  
ვერ მიაჩვია ცოდვილი თვალი  
არსად უნახავს ცხოვრების გზაზე,  
წმინდა მეუფის ნავალი კვალი.

მაინც დაეჭვდა, ხელი გაშეშდა,  
ეჭვმა დაგლიჯა ბოროტი გული,  
და იმ ნაწილმა, სიკეთე რომ სდევს,  
ცოტა მოუღლვო, მბორგავი სული.

# კინოსცენარები

თარგმნა ლარისა ხვთისიაშვილმა

## ღუელი

ეს ფილმი ეძღვნება ახლახან მოკლულ თუ შემთხვევით გარდაცვლილ ჩემს მეგობრებს:

*ლევან ფიცხელაურს  
დავით ცინცაბაძეს  
გიორგი ნერეთელს  
მალხაზ ფურცელაძეს  
ბადრი ბუცხრიკიძეს*

1920-23 წლებია, ლონდონი. ეტლი ჩერდება და კარგად ჩაცმული კაცი გადმოდის.

საამო ღიმილით ხვდება შავთმიან ქალს, აწოდებს ფულს და ამბობს: „ქეთო, როცა ყველაფერი დამთავრდება, უფრო მეტს მიიღებ“...

ქეთო: ო, ექიმო მარკსტოუნ, ჩემთვის საუკეთესო ჯილდო თქვენი მეგობრობაა... და თუ თქვენ შეძლებდით მის შველას... თქვენ იცით... ფრთხილად იყავით... ნაზად... ის ძალიან ჯიუტია... მაგრამ ყოველთვის ოცნებობდა თქვენ-ნაირ კაცზე... თუ არა, ის თქვენ ნახვას აღარ ისურვებდა... ეს უნდა იყოს თქვენ ან ვინმე სხვა, მას სურს შეცვლა... ის თავისთავს არწმუნებს, რომ ეს სიყვარულისთვის ჩაიდინა... მე თქვენი მხარდამჭერი ვარ, თქვენ იცით... თქვენ იცით „ერთგული მეგობრები“, მათ არ სურთ ეჭვი შევიტანოთ მათ საქციელში. მათი სურვილია ჩვენზე უფრო მაღლა იგრძნონ თავი.



ექიმი: შევეცდები.

ქეთო: თქვენ ხომ იცით... აქ ვერ იპოვით ასეთ ლამაზ, ერთგულ, მორჩილ გოგონას ასე იაფად, მხოლოდ გამოიჩინეთ სინაზე, მოთმინება... ჯერ შეუცვალეთ ცხოვრების ფილოსოფია, ის გამოგყვებათ...

ექიმი: ნუ სწუხართ, მე გითხარით... თქვენ უფრო მეტს მიიღებთ მერე... და მე წარგადგენთ თქვენთვის სასურველ საზოგადოებაში, ჩემს წრეში... ხომ კარგად მოიქცევით?.. თქვენი ინგლისური ოქსფორდში ნასწავლ ინგლისურს ჰგავს... მისგან განსხვავებით თქვენ თავაზიანად მოიქეცით... ნუ სწუხართ, მე გავეთამაშები მას... და გარდავქმნი ამ ლტოლვილს

ქეთო: ოჰ, ექიმო... გმადლობთ...

ექიმი: კარგი, მომავალ შეხვედრამდე... მოკითხვა გადაეცით თქვენს მეუღლეს და დავითს...

\* \* \*

შემოდგომაა, მუქი-ნაცრისფერი ადრიანი დილაა ტყეში. ყავისფერი და ყვითელი სქელი ფოთლებია მიწაზე.

შენაცვლებითი კადრები ეკრანზე: სწრაფად მოძრავი ეტლის ბორბლების ხმა; ახალგაზრდა ქალი ბანაობს (ვხედავთ მის ნაზ ხელებს და ფეხს). ეტლში შებმული ორი ცხენი ჩანს მოპირდაპირე მხარეს. კადრები უფრო სწრაფად იცვლება. ბოლოს ეტლი და ცხენები ხვდებიან ღია მინდორში, ტყის განაპირა მხარეს. ორი კარგი გარეგნობის ახალგაზრდა გადმოდის ცხენებიდან ორი მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდა გადმოდის ეტლიდან. მესამე კაცი, რომელსაც ექიმის ჩანთა მოაქვს, გადმოდის ეტლიდან, ეს კაცი უკვე ნანახი ექიმია. ის მიყვება მათ და რამოდენიმე ნაბიჯით განზე დგება.

ოთხი ახალგაზრდა ხვდება ერთმანეთს მინდვრის ცენტრში. ერთს ხის ყუთი აქვს ხელში. ხსნის ამ ყუთს და ანოდებს რევოლვერებს დუელში მონაწილეებს. პალტოების გახდის

და რევოლვერების არჩევის შემდეგ ორი ახალგაზრდა კაცი ნელა იკავებს თავის ადგილს. ბოლოს, დანიშნულების ადგილზე ისინი შემობრუნდებიან, ასწევენ რევოლვერებს და ორივე მიაშტერდება ერთსა და იმავე ადგილს, სადაც ვხედავთ ხის ორსართულიან სახლს, რომელიც მინდვრის განაპირას დგას. შუქი ჩანს მხოლოდ მეორე სართულზე. ისმის ნელი ზუზუნი... ის... ახალგაზრდა, ნახევრად სველი გოგონა პირსახოცშემოხვეული სევდიანი თვალებით მიშტერებია ამ დუელის სცენას.

ბრძანების შემდეგ ორივე კაცი ისვრის და ეცემა მკვდარი.

ექიმი გულგრილად სინჯავს მათ. ჯერ ერთ კაცს უხელს თვალს, ცდილობს პულსი გაუსინჯოს, შემდეგ მეორეს უსინჯავს პულსს...

ექიმი (ცინიკურად): ჯენტლმენებო, ვფიქრობ ორივე მკვდარია...

სამკუთხედში ჩანს სამი წყვილი ფეხი.

პირველი ხმა (მაღალი დონის შოტლანდიური აქცენტით): ექიმო მარკსტონ, დაგვდეთ პატივი და, გთხოვთ, შეატყობინოთ ლედი ანას, რაც აქ მოხდა... პრინცი გიორგი იაშვილი და მისი ქმარი...

ექიმი: მაგრამ, ჯენტლმენებო.

მეორე ხმა (დახვენილი აქცენტით): გთხოვთ, ექიმო... გადაგვარჩინეთ..."

ექიმი: კარგი... გასაგებია, საბრალო ქმნილებაა... შეწუხებულია, არა?... უმწეოდ არის დარჩენილი... როგორ უნდა გადარჩეს ამ ქვეყანაში?..

სახლის წინ ისმის უხეში ფეხის ხმა. მძიმე ნაბიჯები და ბოლოს ექიმი მაგარი მუშტით აკაკუნებს კარზე.

შოტლანდიელი: სერ არტურ, როგორ ფიქრობთ, ის დაეუფლება ამ გოგოს?

ინგლისელი: ალბათ, თუ არა და... გადაუგდებს რომელიმე თავის უნამუსო მეგობარს“...

შოტლანდიელი: ნაძირალა, ახლადგამდიდრებული ნამ-  
დვილი ნაძირალა! (ნაბიჭვარი!)

ინგლისელი: ბატონო... იცით, ის ამბობს რომ სოციალ-  
ისტია?

შოტლანდიელი: ჰმ... „სოციალისტი“ და მამამისი შიმ-  
შილისგან გარდაიცვალა... ნაძირალა...“

კარი იღება. ჩანს ახალგაზრდა გოგონას სველი, შიშვე-  
ლი ფეხები. ისმის ჩუმი ქვითინის ხმა.

ექიმი: ოჰ... სამწუხაროდ ორივე ნამდვილად მკვდარია,  
გეთაყვა.

ექიმი სიბნელეშია. ტირილის ხმა მატულობს.

ექიმი: მეცოდები, შე საბრალო, სხვებისგან განსხვავე-  
ბით, შენ ნამდვილად გჭირდება კარგი მასწავლებელი... შენ  
ზუსტად გჭირდება დახმარება... მოდი, გამოგცდი.. მე შემი-  
ძლია მოგცე ის, რაც გინდა.... შენც ასევე“...

ექიმი შედის ოთახში და კარი იხურება. კარის უკან ისმის  
ექიმის ხმა...

ექიმი: შენმა ყოფილმა მსახურმა მითხრა, რაც ამ ორმა  
ნაძირალამ მოგიწყო. ჩვენ შევთანხმდით — შენ გჭირდება  
ვინმე მზრუნველი, ვინც გასწავლის ცხოვრებას, შეგიქმნის  
შენ საკუთარ ახალ ცხოვრებას. ჩვენ შეიძლება დავეკონრინ-  
დეთ კიდევ, თუ დამპირდები, რომ იქნები კარგი მოსწავლე  
და გექნება საკუთარი თავის დაფასების უნარი... შეხედე  
ქეთოს, ერთი სოფლელი გოგოა და რა კარგად იქცევა აქ...  
გახდი თანამედროვე... მე გამოვასწორობ შენს არაცივილი-  
ზებულ, უხეშ, გაუთლელ გემოვნებას... შეხედე ამას, რას  
უსმენ? განა ეს მუსიკაა?... ნუ ტირი... იცი, შენ მალე მზად  
იქნები... ჩემთვის... (გაბრაზებით) მოდი აქ შე სულებლო.  
ღარიბო გადმოხვეწილო, მოდი აქ... მოდი აქ... თუ რამე  
გსურდა, ჯერ უნდა გეთხოვა... ჩვენ ყველა მოვკვდებით!..  
შენ გახდები წარმატებული ქალი... მოდი აქ, პარტნიორო!..

ქალის ტირილის ხმა თანდათან ნელდება და შემდეგ გადაიქცევა ვნებიან სექსის ხმაში.

ორი გაჯავრებული მეეტლე დააგდებს მიცვალებულს ეტლში. ორი ახალგაზრდა მოახტება ცხენებს და პროცესია ნელა ტოვებს ამ ადგილს, რომლის იქით დაბურული ტყე იწყება.

განათებული ფანჯარა — ისმის სიცილის და სექსის ხმა.

### **„კაცი, რომელიც...“ 30 წუთიანი დოკუმენტური ფილმი**

შალვა ოთხმოცზე მეტი წლის არის. წარმოშობით საქართველოდან არის. 50 წელია რაც შეფარდ ბუშის ქუჩაზე ცხოვრობს.

შალვამ შექმნა ფანტასტიკური სამყარო თავისთვის: ის არის გონიერი, პატიოსანი, პირდაპირი, სანდო, ერთგული, თავმდაბალი, მორიდებული და მშვიდი პიროვნება. ბნრყინვალე მეხსიერების პატრონი და მაინც არასოდეს ტოვებს თავის სახლს, ურჩევნია დარჩეს ბრმა, იცხოვროს ლონდონის გარეუბანში და იქიდან მართოს თავისი მომავალი გეგმები.

ის 50 წლის წინანდელი ცხოვრებით ცხოვრობს და მოქმედებს იმ თაობის ეთიკითა და ღირებულებებით, რომლებიც აღარ არსებობენ და მაინც მისი შეხედულებები ცხოვრებისეულ რეალურ ინფორმაციაზე და მომავალზე მოდის მისი წარსული ცნობიერებიდან და იმ დროიდან, რომელსაც ის თავისი ფიქრებით უკავშირდება. ცხოვრება რომელიც თავისთვის შექმნა, მისი სიბრმავის ჩათვლით არ ინვესტს მის გულისტკენას, ნალველს, პირიქით, როგორც ის ხშირად აღნიშნავს ხოლმე, მისი ცხოვრება სრულყოფილია და კარგი.

ჩემთვის ეს ფილმი არის შორმჭვრეტელოვანი. შალვას მდგომარეობა, ცხოვრების სტილი და მთლიანად მისი ცხოვრება ემოციებით მავსებს. მე არ ვიცი რა ხდება; იქნებ მეცოდება ან გიჟი მგონია, მაგრამ მას დიდ პატივს ვცემ და მოკრძალებული შიშით განვიცდი მის პირდაპირობას, რადგან ჩვენთვის შალვას მხიარული დამოკიდებულება მისი განმარტოებული ცხოვრებისადმი არის ის, რაც შეიძლება მისგან ვისწავლოთ.

## შალვას ამბავი

1930 წ. შალვა დააჯილდოვეს, როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი ქიმიკოსი საქართველოში. 1938-1939 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ თხოვა, რომ გადასულიყო მოსკოვში და მისი კვლევები იქ გაეგრძელებინა, მაგრამ როდესაც გაიგეს მისი თავადაზნაურული წარმომავლობა, გზა გადაუღობეს. მაშინვე კი იმიტომ არ მოკლეს, რომ ის იყო დიდად განსწავლული და ნიჭიერი ქიმიკოსი.

1942 წელს ყირიმში ომის დროს შალვა გააგზავნეს იქნა სამხედრო ტყვეთა ბანაკში. მან ბევრჯერ სცადა გაქცევა და 1945 წელს აღმოჩნდა დასავლეთის მიერ ოკუპირებულ ზონაში. ის ცდილობდა სამშობლოში დაბრუნებას და შესულიყო საბჭოთა ზონაში იმ საბუთებით, რომელიც ამერიკელებმა მისცეს. საკონტროლო საზღვარზე საბჭოთა გენერალმა დახია მისი საბუთები და უთხრა სწრაფად გაცლოდა იქაურობას. შალვას დღესაც ძულს ის კაცი, თუმცა ალბათ ამ გენერალმა გადაარჩინა შალვას სიცოცხლე. ისტორიამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მილიონობით სამხედრო ტყვეები გააგზავნა გულაგში და განირა სასიკვდილოდ. ალბათ ამ გენერალმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა, როდესაც შალვას უარი უთხრა სამშობლოში დაბრუნებაზე.

იძულებითი გაქცევის შემდეგ შალვამ მიაკვლია თავის ძმას ინგლისში. ისინი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ შეპარდ

ბუშის ქუჩაზე, სადაც შალვა ახლაც ცხოვრობს. ისინი იშვიათად ჩნდებოდნენ საზოგადოებაში. ორივე მხოლოდ ქართველებს ხვდებოდა. ინგლისელებს და რუსებს არა.

გასაოცარია ის, რომ შალვას, როგორც ქიმიკოსს, არასოდეს სურდა მისი კვალიფიკაციით ესარგებლა ამ ქვეყანაში. ნაცვლად ამისა ის მუშაობდა როგორც მემახტე და შავი მუშა. ალბათ, ის ყოველთვის ელოდა საქართველოში დაბრუნებას და არ ფიქრობდა გამხდარიყო აქ ცნობილი პიროვნება.

ახლა კი, 50 წლის შემდეგ ის ელოდება შინ დაბრუნდებას. მისი ძმა სამი წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ შალვას ისევ აქვს დაქირავებული მეორე ოთახი თავისი ძმისთვის, რომელიც ჰგონია რომ არის საავადმყოფოში. მას პენსიიდან გადანახულიც კი აქვს ფული თავიანთი მომავალი გეგმების განსახორციელებლად.

მან ცოტაოდენი ინგლისური ისწავლა წიგნებიდან და არა საუბრებით ინგლისელებთან. ის ხშირად არასწორად იყენებს სიტყვებს, რადგან არ იცის, რომ ინგლისურ ენაში ერთ სიტყვას ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

არავინ იცის საიდან აქვს მას ექიმებისადმი შიში, შეიძლება მისი წარსული ცხოვრებიდან, ბანაკებში ყოფნის დროს განუვითარდა ეს. ის მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ შემდეგ გამოუშვეს, რადგან იქ ცუდად არ იქცეოდა, მაგრამ ნამდვილად აქვს ძლიერი ფესვები. მას შეეძლო განკურნებულიყო სიბმრავისაგან, მაგრამ ოპერაციაზე უარი თქვა. ის ამბობს: „მჭირდება კი რამის დანახვა?“ ის ახლა ყრუვდება კიდევ.

ძველი რადიო არის მისი საინფორმაციო წყარო, მაგრამ ხშირად გაუგებარია მისთვის ის, რაც ხდება მსოფლიოში. მან იცის, რომ საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ ვერ გაუგია საბჭოთა კავშირის გაუჩინარება. მიუხედავად ამისა, ის ბედნიერად ზის, საუბრობს და ოცნებობს საქართველოს მომავალაზე, იმ ქვეყანაზე რომელიც ახალგაზრდობაში დატოვა. მან იცის, რომ საქართველომ თვითონ უნდა

ააშენოს თავისი ქვეყანა და განავითაროს ეკონომიკა. მას ჰგონია, რომ შესანიშნავი გარემოა ახლა იქ. მან არ იცის, რომ საქართველოში ახლა სამოქალაქო ომია. ეს მის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება.

## ოთახი N 6

ოთახი N6.. რამდენი ოცნება და იმედი არის თავმოყრილი აქ... ჩვენ ხშირად არც ვფიქრობთ ამაზე, ვსწავლობთ მხოლოდ გრამატიკას, ან ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმას... ან როგორ ვიხუმროთ ხოლმე...

მაგალითად, ვიცით, რომ ინგლისელები ზრდილობიანები არიან, მაგრამ შემიძლია წარმოგიდგინოთ ინგლისელი — პროფესიული დამრტყმელი, მკვლეელი.

დამრტყმელი: სერ, შეიძლება მიგასიკვდილოთ, გეთავყვა? პირდაპირ უარის თქმა უზრდელობაა და მსხვერპლის პასუხია: რა თქმა უნდა, ძვირფასო, ძალიანაც მინდა, მაგრამ იქნებ სხვა დროს შევხვდეთ, რადგანაც დღეს შეხვედრა მაქვს უკვე დანიშნული და არ შემიძლია მისი გადაგება...

იმედები, იმედები... ხშირად ვიხედები ირგვლივ და თავს ვერ ვიკავებ მათზე ფიქრისგან... მომავალი.... ზოგ ჩვენთაგანს სურს აქ დარჩენა სამუდამოდ. ზოგი სწავლობს ინგლისურს უკეთესი სამსახურის შოვნის იმედით. ან მაგალითად მე... მსურს გამოვიყენო ეს ენა ფილმების შექმნისთვის ან... რაიმე გაუფუკეთო ჩემს საბრალო ქვეყანას, რომელიც ზოგჯერ ვერც კი ამიტანია, მაგრამ თავს ვერ გავექცევი და მიყვარს ჩემი საბრალო, ცოდვილი მეგობრები, ჩემი ქალაქი...

რისი მიღწევა სურს ამ ჭკვიან მაკედონიელ ყმაწვილს... რატომ წუხს?... ან ამ იაპონელ გოგონას, ან ამ კოხტა,

გამხდარ, ფერმკრთალ, მაღალ ხორვატ გოგონას, რომელიც სწავლობს „კლასიკას“, უყვარს ბერძნული ენა, ეჯავრება შინ დაბრუნებაზე ფიქრიც კი, იქ ომია... სიძულვილია... ძალიან კარგად მესმის მისი. ისიც ჩემსავით წიგნის მოყვარულია და ყოველთვის ცივა... მე ხშირად ვჯდები მის გვერდით და მინდა მივცე ჩემი პალტო, მაგრამ... ყოველთვის მგონია, რომ ჩემმა გულწრფელმა შეთავაზებამ შეიძლება შეანუხოს და ამას არასოდეს ვისურვებ...

ერთხელ, როდესაც პატარა ვიყავი, ვილაცამ დედაჩემი გალანძღა... მამაჩემი იქ არ იყო და მე ისე (დაუცველად) უმწნოდ ვიგრძენი თავი... შევხედე დედას... (ის იყო სტუდენტი და თან შეთავსებით მუშაობდა კიდეც) გარეგნობით შესანიშნავად გამოიყურებოდა და იყო დაუცველი... იმ დღის შემდეგ ყოველთვის მსურს დავიცვა ქალები, მნიშვნელობა არა აქვს ვინ არიან, რა ცხოვრებას ეწეოდნენ... ზოგჯერ ძლიერად კი გამოიყურებიან, მაგრამ ისეთი საწყლები არიან სინამდვილეში... მაგრამ ეს სიძლიერე მხოლოდ თავდაცვაა... თუმცა ბევრ წარმატებას ვერ მივაღწიე მათ დაცვაში, ხშირად ვფიქრობ ცუდად არ გამიგონ... ან შეიძლება ჩემი ეგოიზმი მძლევს ხოლმე. ადამიანები... ყველა ჩვენგანი როგორი მგრძნობიარენი ვართ... ამ ოთახში N6... გარეთ.. და ხშირად ისეთი კრიტიკულნი ვართ ერთმანეთის მიმართ... და ვართ მარტონი.

ოთახი N6... აქ ერთნაირი და თან განსხვავებული საფუძველი გვაქვს იმედების, სურვილების, ოცნებების... გვყავს საყვარელი, მშვენიერი და შრომისმოყვარე მასწავლებელი...

...კარგი. მოდი გავაგრძელოთ სწრაფვა სრულყოფისაკენ, მზად ვართ ვასწავლოთ. ისე როგორც ნაიომი გვთავაზობს, გეთაყვა...

P.S.

ეს მოხდა სავაჭრო ქსელში. დედაჩემი ყოველთვის ცდილობს დააკლებინოს ფასი გამყიდველს... თუ საქონელი



ღირს 5 ფუნტი ის ცდილობს დააკლებინოს 5 პენსი მაინც... ეს მისი ჩვევაა. ის კაცი ყიდდა კვერცხებს... მე მას სამი კვერცხი ვესროლე სახეში... ახლა ვნანობ ჩემს საქციელს. ის იყო ერთი საბრალო გლეხი. ვინ იცის, თავს რა გადახდა აქ მოსვლამდე და რატომ იყო ასეთ საშინელ განწყობაზე. იქნებ... ის შეცბუნდა და მაშინვე მოგვიბოდიშა...

მახსოვს მისი სევდიანი თვალები, იქნებ ჩვენში თავისი შვილი, ცოლი ან და დინახა და ჩათვალა, რომ ისინი ისეთივე უმწეონი იყვნენ, როგორც ჩვენ... მე ნამდვილად ვნანობ ჩემ საქციელს... განსაკუთრებით ახლა, როდესაც ამდენი სისხლი მაქვს უკვე ნანახი... რომელიც დაიღვარა „სიკეთისთვის“, „სამართლიანი უფლებებისთვის“ ან „მართლმსაჯულებისათვის“... ასე ხშირად რომ ვიცავთ ხოლმე ჩვენს ნაძალადევ სიყვარულს სხვისი შეურაცხყოფით და ზოგჯერ უფრო ცუდად ვექცევით მათ, ვინც რალაც დაგვიშავა თავდაპირველად... ჩვენი ნასწავლი ინგლისური მართლა შეძლებს ჩვენ გაბედნიერებას? — ალბათ, არა, მაგრამ ყველას გვსურს რალაცაზე ვიყოთ დამოკიდებული, იმიტომ რომ შევქმნათ ახალი საჰაერო ბუმტები... ვკვებოთ ჩვენი იმედები და ოცნებები.

მე: ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო ერთი ცნობილი კომედიანტი. მან ერთხელ თქვა:... „ქალები გამორჩეული მეგობრებიც არიან ადამიანების...“

ჩემს გვერდით მჯდომი მშვენიერი, ფერმკრთალი გოგონა მეუბნება: „გიორგი, ის ძალიან ოპტიმისტი იყო... შეიძლება შენი პალტო ვთხოვო, გეთაყვა?...“

## პარკის დამსუფთავებლები

ამ ფილმს ახლავს მხოლოდ მუსიკა და ხმები. დიალოგი არ არის.

გვიანი შემოდგომაა. ლონდონი. პარკი, 20-25 წლამდე ასკის სამხრეთული გარეგნობის, ყვითელფორმიანი ახალგაზრდა კაცი გვის პარკს. ყვითელი ფოთლები მოფენილია ყველგან. ეს კაცი მექანიკურად აკეთებს თავის საქმეს და თავის ფიქრშია ჩაფლული. ნელი, რომანტიკული მუსიკა, ქალაქის ხმაური, კაფე წარწერით: „ქართული საოცრება! საუკეთესო და ყველაზე იაფი საჭმელი“.

ვილაც კიდებს თავის ფორმას სკამზე, ჯდება და ხარბად იწყებს ჭამას. ეს ის ახალგაზრდაა პარკში რომ იყო. ცოტა ხნის შემდეგ ის ანელებს ჭამის რიტმს და ბოლოს ჩერდება. მუსიკის ხმა ძლიერდება. ეს კაცი გადანვება ზურგზე და თვალებს ხუჭავს.

შავ-თეთრი სურათი. იგივე მუსიკა. კარგი ავეჯით განწყობილი სასადილო ოთახი. დაახლოებით 20 კაცი ზის მაგიდის გარშემო და სადილობს. ერთი 45 წლის კაცი, ღვინის ჭიქით დგას და ამბობს სადღეგრძელოს (მთელ სცენას ახლავს მუსიკა, ჩვენ არ გვესმის ხმები ოთახიდან). თამადა კედელზე დაკიდებულ ძველ სურათზე მიუთითებს. ისმის ზუზუნის ხმა, კადრში ჩანს ფოტოსურათი. ნელა ვაცნობიერებთ ლონდონს, ბიგ ბენს. ერთი, 25 წლამდე ახალგაზრდა, ძველმოდურად ჩაცმული, ბოლო-აპრეხილი უღვაშებით, ფრანგული ბერეტით და ბაცი ფერის ჟაკეტით დგას მოლბერტთან ახლოს და რალაცას ხატავს. მალე ვაცნობიერებთ, რომ ის ძალიან ჰგავს ჩვენთვის უკვე ნაცნობ გმირს, რომელსაც ადრე უკვე შევხვდით და შემდეგ შევნიშნეთ სუფრის ბოლოში, თამადის მოპირდაპირე მხარეს. ეს ახალგაზრდა ღიმილით თავს ხრის, კადრში ჩანს, რომ ის რალაცაზე ეთანხმება თამადას.

განადგურებული, დამსხვრეული სურათი. კვლავ შავ-თეთრი ფონია კადრში. უცებ ისმის ენერგიული, ქართული ცეკვის მუსიკა. ოთახში მყოფი უმრავლესობა ნასვამი, ბედნიერი ხალხი ცეკვავს ქართულს. ამბობენ სადღეგრძელოებს, კოცნიან მთავარ მოქმედ გმირს და უთითებენ იმ სურათს.

კადრში ისევ შავ-თეთრი ფონია. დიდი ქალაქის ხმაური ისმის და ჩვენი გმირი შედის ერთ შენობაში. კარზე აბრია: „ხელოვნების სამეფო კოლეჯი“. მუსიკის ხმა ნელდება. ეს ახალგაზრდა რაღაცას უხნის 40 წლის კაცს და მასზე ცოტა უფროს, ლამაზ ქალს. ის მიუთითებს კედელზე. ჩვენ ვერ ვხედავთ რა არის იმ კედელზე. ზოგჯერ ვხედავთ სურათის ჩარჩოს. სიჩუმეა, რაღაცის ხმა ისმის. ღარიბულად მორთული პატარა საწოლი ოთახი საერთო საცხოვრებლისა. ჩვენს გმირს აცვია მხოლოდ საცვალი და გაჩანაგებული სახით ზის საწოლზე. ისმის სამგლოვიარო მუსიკის ხმა: მის გვერდით ვხედავთ დაბეჭდილ წერილს: „სამწუხაროდ ამჟამად ადგილები არ არის... გვესიამოვნება თუ თქვენ მომავალ წელს. კიდევ ერთხელ შეგვეხმიანებით“... იგივე მუსიკა. ისევ შავ-თეთრი ფონი: ქუჩა. ჩვენი გმირი, ზურგზე სამუალო ზომის ჩანთით და შეწუხებული სახით ნელა მოდის ქუჩაში, ჩერდება ბარის დიდ ვიტრინასთან და იქ იხედება. ბარში ბედნიერი ხალხი ცეკვავს, სვამს და იცინის.

უცებ ისმის ენერგიული, ინგლისური მუსიკის ხმა. ჩვენი გმირი შედის ბარში. ის ბედნიერი ჩანს, სვამს, იცინის, ცეკვავს და კოცნის ახალგაზრდა გოგონას. ჯიბიდან იღებს 50 ფუნტიან ბანკნოტს, აძლევს ბარმენს და უთითებს ბარში მყოფ ხალხზე. ისინი მხიარული შეძახილებით და ტაშის კვრით სწრაფად სვამენ შეთავაზებულ სასმელს.

უცებ იცვლება მუსიკა. ისმის სამგლოვიარო მუსიკის ხმა. აეროპორტი ჩვენი გმირი სასონარკვეთილი უყურებს ფასებს სენდვიჩის ბარში. იღებს ხურდა ფულს ჯიბიდან და აღელვებული ითვლის. ისევ იცვლება მუსიკა. ენერგიული

რიტმი. ჩვენი გმირი გაბედულად ტოვებს აეროპორტს და გადის ავტომატური გასასვლელი კარიდან. მატარებელი ჩერდება სადგურში. ჩვენი გმირი გადმოდის ვაგონიდან. კროიდონი. ფართო გზა. უზარმაზარი შენობა წარწერით: მეშახტეთა სახლი. ემიგრანტთა ოფისი.

ეს ახალგაზრდა შედის შენობაში. ოთახი ოფიციალური დიზაინით არის მოწყობილი. ჩვენი გმირი ესაუბრება ფორმიან კაცს. მაგიდაზე ვხედავთ ამ ბიჭის სურათიან საბუთს. ამ საბუთს აწერია: „თავშესაფრის მაძიებელი“. მუსიკის ხმა თანდათან ნელდება.

კარი. ფერადი კაღრია, ხმაურით იღება კარი. ინდური გარეგნობის 35 წლამდე ასაკის უცხო კაცი პარკის დამლაგებლის ფორმაში შემოდის ამ დიდ ოთახში, რომელშიც მხოლოდ ოთხი სანოლია. ბლუზის მუსიკა იწყება. ეს ახალგაზრდა ესალმება ჩვენს გმირს და ამ ოთახის ორ ბინადარს. სამივე რაღაცას გულმოდგინედ ხატავს. ერთი მათგანი შავი გარეგნობის 25 წლის ყმანვილი ხატავს აფრიკის ჯუნგლებს. 40 წლამდე ასაკის ქერა მამაკაცი ხატავს რუსულ ეკლესიას, რომელიც თოვლით დაფარულ ხეობაში დგას. ჩვენი გმირი ხატავს მთებს, ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს და ეკლესიას. ინდური გარეგნობის ყმანვილი იწყებს ხატვას. მის ნახატში ვხედავთ აზიურ არქიტექტურას. მუსიკა ნელდება და თანდათან ყოველი მათგანის სახის გამოჩენაზე ვისმენთ მათ მშობლიურ სიმღერებს.

ბოლოს ოთხივე მუსიკის ხმა ერთმანეთში ირევა. ქერა ბიჭი სანოლშია და ძინავს. ჩვენი მთავარი გმირი ტურზე თითის მიღებით სხვებს აჩუმებს. კაღრში ჩანს ყოველი მათგანის მოლბერტი და სათანადო მუსიკის ხმა ისმის. დანარჩენი სამი გამორთულია. ქართველი ბიჭი იმ მძინარე ქერა ბიჭის საქმესაც აკეთებს.

ოთახის ნელი პანორამა იშლება. სამივე მხატვარს ყურსაცვამი უკეთია და ყოველი მათგანის გამოჩენაზე, სათანადო მუსიკის ხმა თანდათან ქრება.

ტელევიზორის ყუთი, სიჩუმე. უცებ ტელევიზორი ჩაირთო. BBC ცხრა საათზე ახალ ამბებს გადმოსცემს. ოთხივე უყურებს ტელევიზორს. თავიანთი ქვეყნის ხსენებისას ყოველ მათგანს უფრო მეტი დაინტერესება ეტყობა სახეზე. ახალი ამბები არ არის კარგი. საქართველოში ომია. ნიგერიში კარგად ცნობილი დრამატურგი სიკვდილით არის დასჯილი. ჟირინოვსკი იმუქრება დასავლეთის ოკუპაციით, ბანგლადეშში ქალთა უფლებების დაცვის აქტივისტი დააპატიმრეს. ბოლოს, როდესაც ახალ ამბებში საუბრობენ ვილაც პოპვარსკვლავის სექსუალურ სკანდალზე, ვილაც თიშავს ტელევიზორს... ჩვენი გმირები ჩუმად სხედან მაგიდის გარშემო.

ფანჯარაში დილის შუქია. მღვიძარა რეკავს. რუსი იღვიძებს, შეხედავს საათს და სწრაფად იცვამს. უცებ რაღაცას შენიშნავს კედელზე: „დაბადების დღეს გილოცავ, რუსო ოკუპანტო!“ მაგიდაზე ვხედავთ სადღესასწაულო ნამცხვარს. რუსი სწრაფად ჩაყოფს თითს ნამცხვარში, აგემოვნებს კრემს და გადის.

პარკი. სამივე ხვეტავს. რუსიც შეურთდება მათ. ქალაქის ხმაურს თანდათან ახშობს ხვეტის ხმა. ჩვენი გმირები თავიანთ საქმეს აკეთებენ რიგ-რიგობით. გამხმარი ფოთლები ყველგან ცვივა დიდი სიჩქარით. ისმის შუბერტის „ავე მარიას“ მელოდია. ორმაგი ჩვენება. კადრში ჩანს მოფარფატე ფოთლები და ჩვენი გმირების ქვეყნები: დიქტატორები, ომები, პოლიტიკოსები, ბუნებრივი კატაკლიზმები. მუსიკის ხმა თანდათან გადადის ხვეტის ხმაში.

აეროპორტის ხმები. რეპროდუქტორში ისმის ხმა — „თვითმფრინავი ... მოსკოვისკენ არის“... შავკანიანი ყმანვილი დგას საკონტროლო მაგიდასთან. ქართველი შედის თავისუფალი ზონის განყოფილებაში. თვითმფრინავის ფრენის ხმა. რუსი ტოვებს თვითმფრინავს. ისმის მატარებლის ხმა... სწრაფად იცვლება ბუნების ამსახველი კადრები. ქართველი იყურება მატარებლის ვაგონის ფანჯრიდან. ბუნების ამსახველ კადრებს ცვლის ახალი კადრები, სადაც

ჩვენი გმირები ჩანან. მატარებლის ხმა წყდება და კვლავ ბუნდოვნად ისმის „ავე მარიას“ მელოდია...

კადრში: ქართველი იბრძვის ომში, ბენგალიელი დაატარებს საკვებ პროდუქტებს, რუსი დემონსტრაციაზეა, ნიგერიელი დგას კედელთან და სამხედროები თოფებს უმიზნებენ მას, დაჭრილი ქართველი მეგობრებს გამოჰყავთ ცეცხლის ხაზიდან, რუსს თავს ესხმიან ნაცისტების და კომუნისტების ფორმაში ჩაცმული კაცები, კადრში ჩანს სუბტიტრები.

ბოლო კადრში ქართველი მატარებელშია, მუსიკის ხმა თანდათან ნელდება. ორმაგი ჩვენება: ბუნების ამსახველი მოძრავი სურათები და პარკის დამსუფთაებლები მუშაობის დროს. მატარებლის მაღალი ხმა და ხვეტის ხმა ერთმანეთში ირევა.

ბოლოს უამრავი ხალხი ჩამოდის თვითმფრინავიდან. ყველაფერი წყნარდება. კადრში ჩანს მოფარფატე ფოთლები მხოლოდ, ხმა აღარ ისმის... კარდში ქვესათაურია:

**დასასრული...**

## **უცნაური წარმოსახვა**

შუადღეა. ოთხი წლის ბავშვი ვარ დიდედის სოფელში. მაცვია მუქი ლურჯი, მოკლე შარვალი, რომელსაც ხშირად ვიცვამდი ხოლმე, მაგრამ ყოველთვის უხერხულობას განვიცდიდი, რადგან ფართო იყო ჩემი წელისთვის და სულ ვარდებოდა ხოლმე. ქვედა საცვალი არ მეცვა და როდესაც შარვლის აწევას ვცდილობდი, ჩემი კაცობის ნიშანი ყოველთვის მის ადგილზე იყო. მე მრცხვენოდა ხოლმე (ახლაც მრცხვენია, მაგრამ ახლა ვახერხებ მის დამალვას) ყოველთვის მქონდა სირცხვილის გრძნობა. ზოგჯერ მთელი

დღის განმავლობაში ვებრძოდი ჩემს შარვალს, ვინევედი მალლა და ვცდილობდი კარგად დამემამგრებინა ნელზე, მაგრამ ვერ ვახერხებდი და არ ვიცი რატომ. არ ვაპროტესტებდი მის ტარებას... იქნებ იმიტომ, რომ ის ჩემი ცხოვრების ნაწილი მეგონა... დღესაც არ ვიცი... ახლა წარმოგიდგინო ჩემს თავს რკინიგზაზე — ეს მე ვარ, ბავშვი, რომელმაც იცის, რომ რკინიგზა მის სოფელში არ არის და მაინც მას არ უკვირს მისი იქ ყოფნა. ის მოთმინებით დგას და ელოდება მატარებლის ჩავლას. მან იცის და ხედავს რა ხდება იქ, ვის ელოდება ასე სასონარკვეთილი. ეს არის ჩემი მეორე „მე“. ის ჩემზე უფროსია. ბავშვი „მე“ ძალიან დაბნეულია, თუმცა ის (ბავშვი და მეოცნებე) მატარებელში მყოფი კაცი ნამდვილად დადებითი პიროვნებაა. ის მე ვარ, გაზრდილი, მაგრამ სახეზე არ მგავს. ძალიან განსხვავდება ამ მეოცნებე ბიჭისაგან მესამე „მე“ უკვე 40-45 წლისაა, აცვია პოლკოვნიკის ფორმა და ზის პირველი კლასის ვაგონში. მისი ჭკვიანური, მაგრამ სევდიანი თვალები, მისი შრამი მარჯვენა ლოყაზე, თავდაჯერებული, ნელი მაგრამ დახვეწილი მოძრაობები შთაბეჭდილებას ახდენს დანარჩენ სამ მგზავრზე. ესენი არიან: 30 წლის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მუქი ფერის გრძელი თმა აქვს, 19 წლის ყმაწვილი თეთრ პერანგშია ჩაცმული და ასაკში შესული ჭაღარათმიანი და უღვაშიანი კაცი. ამ კაცს კისერზე ორი ღრმა ნაოჭი აქვს, ამის გამო ის უფრო პატივსაცემ პიროვნებად აღიქმება. ეს კაცი ელაპარაკება „პოლკოვნიკ — „მეს“.

— თქვენ ალბათ ბევრი რამ გამოგიცდიათ ცხოვრებაში, არა? — სხვები თანხმობის ნიშნად თავს უკრავენ.

— რა თქმა უნდა, დიახ, — ალბათ, ეს არის პოლკოვნიკის პასუხი.

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ თავი... შინაგანი ჯარების გადამდგარი პოლკოვნიკი გივი ფოცხვერია, მაგრამ მეგობრები გიორგის ან გიას მეძახიან... ცოტა უცნაურად ჩანს ის, რომ შინაგანი ჯარების ოფიცერი უფრო ხშირად საზღვარგარეთ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას...

— ოჰ, რა საინტერესო და შესაბამისი გვარი გაქვთ (ფოცხვერია ქართულად ფოცხვერს ნიშნავს) ალბათ ბევრი გიბრძოლიათ... აღნიშნავს ახალგაზრდა ქალი და შეშინებული თვალებით უყურებს ამ „ომის გმირს“.

— დიახ! — მოკლედ პასუხობს „პოლკოვნიკი „მე“. ცოტა უხერხულობას კი გრძნობს ამ შეკითხვის გამო.

— იქნებ სიმღერა გსურთ... ვიცი, რომ გიტარაზე კარგად უკრავთ.

— „საიდან იცის?.. მე ვიცი, რომ არასოდეს დამიკრავს გიტარა. სმენა არ მაქვს“ — გაოცებულია ჩემში ბავშვი „მე“, მაგრამ პოლკოვნიკის სწარფი და ზრდილობიანი პასუხია: „დიახ, თუ გსურთ“...

პოლკოვნიკი ასწევს ხელს და ამ დროს „ბავშვი — მე“ თაროზე შენიშნავს ამ ინსტრუმენტს. პოლკოვნიკი გიტარის ხანმოკლე აწყობის შემდეგ იწყებს სიმღერას.

მატარებელი ხმაურით ჩაუვლის „ბავშვ — მეს“ და აღარ ჩანს. კადრში ერთი და იგივე სურათი წრიულად მეორდება. „ბავშვი — მე“ აღარ არის დაბნეული ამის გამო, დრო და დრო ისევ ისწორებს შარვალს და ეშინია, ეს მატარებელი ერთ დღესაც აღარ დაბრუნდება და სამუდამოდ გაქრება.

ვუბრუნდება ჩემს ბავშვობას, რომ ვიპოვო სიმშვიდე... ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ გავხდებოდი სამხედრო პირი, არავის... ამბობს „პოლკოვნიკი „მე“ და აგრძელებს იმ სიმღერას, რომელიც ბავშვობაში გაეგონა და „ბავშვი-მესთვის“ გაუგებარი იყო... უცებ ეკრანზე „ბავშვი — მე“-ს მოგონებები გამოჩნდება, რომელიც ამ სიმღერას თან ახლავს. (ახლა შევეცდები ვთარგმნო ქართულიდან)

სიმღერა

გუშინ, სოფელში

გუშინ, სოფელში

საჯინიბოში, ჩვენს საჯინობოში

ვიღაცეები რაღაცას აკეთებდნენ



ბებიაა,  
ბაბუაა, მიშველეთ,  
ვილაცეები რალაცას აკეთებენ  
ბებიაა, ბაბუაა, მიშველეთ,  
ვილაცეები რალაცას აკეთებენ...  
საჯინიბოში, საჯინიბოში,  
მიშველეთ, მიშველეთ!!!

ბავშვი „მე“ საჯინიბოს კედლის ხვრელიდან აშკარად ხედავს ახალგაზრდა კაცს და ქალს, რომლებიც ალბათ ვნებიანი სექსით არიან გართული.

ბავშვი „მე“ დაბნეულია. პოლკოვნიკი ისევ მღერის. ყველას სიამოვნებს მისი სიმღერა. დრო გადის და დიდი ინტერვალის შემდეგ „ბავშვი — მეს“ ნაცვლად გამოჩნდება მატარებელი.

ამ სიმღერის თანხლების ფონზე ჩანს კადრები რომელსაც ემატება მატარებელში მყოფი პოლკოვნიკის და „ბავშვი — მეს“ დაკარგვის შიში, ბოლოს მატარებელი ჩერდება, ისმის ბავშვის ყვირილი „ბაბუაა, ბებიაა“... და გადარეული გარბის ეკრანიდან.

## **ბანთქაშული სტუმარი** (მოკლემეტრაჟიანი ფილმის სიუჟეტი)

სოფლის პატარა ქალაქი „N“ სავსე იყო ტურისტებით. ამას თუ დავუმატებთ მის მაცხოვრებლებს და ახლომდებარე სოფლებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულებს, ადვილად წარმოიდგენთ რა ხდებოდა იქ.

ხალხით სავსე ატმოსფერო კი სუფევდა, მაგრამ დიდ უხერხულობას ქმნიდა მისი კეთილმოუწყობელი საცხოვრებელი პირობები, რაც სამწუხაროდ არავის აწუხებდა.

ქალაქის მერი, ლედი ფეტკეტი, თავისი მშვენიერი მომხიბვლელით, ენერგიულობით და საორგანიზაციო ნიჭით ყველაფერს კარგად აგვარებდა. ეკონომიურად მარტო ამ ქალაქის მცხოვრებლებმა კი არ მიაღწიეს წარმატებას: მის გარშემო დასახლებული სოფლებიც კარგად იყვნენ უზრუნველყოფილნი. საწოლების სიმცირის გამო (ფაქტიურად ერთი სასტუმრო იყო და ისიც ხოჭოებით სავსე) ახლომდებარე კერძო სახლები სავსე იყო მდგმურებით. ერთ ღამეში ერთი საწოლიც კი საუზმის გარეშე სოფელ „X“-ში, რომელიც 30 წუთის სავალზე იყო დაშორებული „N“-დან, ღირდა 33.99 ფუნტი.

ადგილობრივებს დიდი შემოსავალი ჰქონდათ ვაჭრობით; ისინი ყიდდნენ სუვენირებს და საჭმელებს ღია ბაზრობაზე.

— დიდი ბურგერები, დიდი ბურგერები!!!

— მსოფლიოში უგემრიელესი სოსისები!!!

— ამერიკული, განსაკუთრებული სენდვიჩები ყველაზე იაფად (მაინც რა ექნებოდათ განსაკუთრებული იმ სენდვიჩებს, რომლებიც ამერიკული იყო?..) სანამ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდებოდა ამ ქალაქში, ისინი დიდ ხეირს ნახულობდნენ და მოუთმენლად ელოდნენ ტელევიზორით დაინტერესებულ ტურისტებს. სერიოზული ბიზნესმენები, ფინანსისტები, საინტერესო წინადადებებს სთავაზობდნენ და თავიანთ პროექტებს ენერგიულად პატრონობდნენ. მიუხედავად ამისა, ლედი ფეტკეტიმ გადაწყვიტა ყოველი მათგანის წინადადება გულდასმით შეესწავლა, ჩაეტარებინა საჭირო ექსპერტიზა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცა საბოლოო ნაბიჯი, მაგრამ დიდი ბიზნესი დიდი ბიზნესია და ორი მნიშვნელოვანი ფინანსისტი იპოვნეს საეჭვო ვითარებაში მკვდარი. დიახ, მართლაც ვერ გაექცეოდი ამ ორი მნიშვნელოვანი პიროვნების უეცარი გარდაცვალების მიზეზს, მაგრამ ადგილობრივი პოლიციის შეფს ბატონ დამ ბლადლის ბევრი რამ ანუხებდა: 82 დაჭრა დანით (ორი სასიკვდილო), 100 — არასრულწლოვანთა ჩხუბი, 120 —

გაუპატიურება (გაუპატიურება ყოველთვის დიდი პრობლემა იყო იქ), 56 — ავარია მხოლოდ დასაწყისი იყო იმისა, რომ ხალხმა მოინდომა უკეთესი ადგილიდან დაენახათ თავიანთი გმირი. პოლიციის დამატებითი ძალები ჩამოდიოდნენ ხშირად. ერთხელ საგანგებო ქვედანაყოფიც კი — F.O.O.L.S. იყო ჩამოსული და მაინც დიდ სიძნელებებს აწყდებოდნენ მათ დაჭერაზე. გასაოცარი ის იყო, რომ ქურდობა აღარ იყო. ისინი სწრაფად მიხვდნენ, რომ ვაჭარს უფრო მეტი მოგება რჩებოდა და თან უფრო უსაფრთხო საქმიანობა იყო.

მაშ, ასე. გსურთ გაიგოთ რა ხდებოდა იქ, რატომ გაება ეს მშვიდობიანი ქალაქი (გაუპატიურების გარდა) ასეთ დიდ ხიფათში. გეტყვით რატომაც... აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ მე გავხდებოდი ასეთი პოპულარული და ცნობილი... მე მსურდა, წყნარად დამესვენა. მეგონა, რომ ისეთ რიტმიან და საქმიან ქვეყანაში, როგორც ინგლისია, არავინ მცნობდა, მაგრამ... ეს არის ის ფასეულობა, რომელსაც ჩვენი სახელისთვის ვიხდით... ოჰ, ღმერთო ჩემო... ძალიან ძნელია იყო სახელგანთქმული, ლეგენდარული საიდუმლო აგენტი.

## ასაა ეს!!!

ზაფხულის მშვენიერი, კაშკაშა დღეა. ყვავილებით მორთული მინდორი რომანტიკული მუსიკის თანხლებით. ოც წლამდე ასაკის გოგონას აცვია თხელი, თეთრი, განიერი კაბა. 20-25 წლის ბიჭს აცვია თეთრი პერანგი და შავი, ვინრო შარალი. ჩვეულებრივი ახალგაზრდა შეყვარებული წყვილის სცენა (ერთმანეთს დასდევენ, ეხუტებიან, კოცნიან).

უცებ ისმის ტელეფონის ზარის ხმა. რომანტიკული სცენა ცოტა ხნით ჩერდება, მუსიკა ჩუმდება და ვხედავთ ბნელ

ოთახს, სანოლს და ვილაცას მწოლიარეს. პატარა შუქი ანათებს სანოლის გვერდით მდებარე ტუმბოდან. მძინარე გოგონა ნელა დგება სანოლიდან და იღებს ტელეფონს. ჩვენ ვცნობთ ამ გოგონას წინა კადრიდან.

გოგონა: გამარჯობა... გისმენთ... შენ ხარ!.. რა დროა?.. შე... იდიოტო... (გოგონა ჯდება სანოლზე და აგრძელებს) რატომ მექცევი ასე ყოველთვის?.. რატომ?.. ახლა ხუთი საათია! დიახ, დიახ, საქართველოში ახლა შეიძლება რვა საათია, სადღაც შეიძლება 9, 10, 11, მაგრამ აქ გაერთიანებულ სამეფოში ხუთი საათია, გესმის ჩემი, ხუთი... — გოგონა ისტერიულად ყვირის.

ის დგება, მიდის გრძელ დერეფანში, აღებს ტელეფონს კარს, ოთავს შუქს, შედის და კარს ხურავს. გვესმის წყლის თქრიალის ხმა. გოგონა ისევ ბრუნდება, იღებს სიგარეტს, უკიდებს მას, ჯდება სანოლზე და თან ისტერიულად ყვირის.

გოგონა: „რატომ გინდა დამინგრიო ჩემი ყოველდღიური ცხოვრება?.. დიდი პრობლემები ოჰ... დიახ, დიახ! მე გიქმნი პრობლემებს, ხომ? დიახ!.. მე... და შენ ანგელოზი ხარ... რა არის ეს? მითხარი რა არის ეს? მე გაგაღვიძე ოდესმე!... თუ ეს შენ იყავი!.. არაფრისგან რომ ალიაქოთს ტეხავს... რა არის ეს, რაში მჭირდება ეს... მითხარი, განა ეს კულტურული დამოკიდებულებაა ჩვენს შორის ან რა?.. ნუთუ საქართველოში ჩვეულებრივი ამბავია საყვარელი ადამიანის დილის 5 საათზე გაღვიძება? არა ერთხელ და ორჯერ... მუდამ!!! გახსოვს როდის დარეკე ამას წინათ... ხომ... არასოდეს, კი აბა!.. როგორ შეგიძლია ასეთი ტყუილის თქმა... ასეა ეს!.. ჩემთვის სულერთია ოდესმე დარეკავ თუ არა კვლავ! გესმის ჩემი, ხომ?.. მოდი მოვრჩეთ... მოძებნე ვინმე, ვისაც შეუყვარდება ყოველ ღამე გააღვიძონ 2,3,4,5 საათზე... მეც არ მინდა.. შენი ნახვაც აღარ მინდა... ბედნიერებას გისურვებ!..

ახალგაზრდა კაცის დეფორმირებული, ღიმილიანი სახე ჩანს ფოტოსურათზე, ისმის ქალაქის ხმაური და ვხედავთ

ჩანთას მის ხელში.

გოგონა ხმამაღალი შეძახილით შეახტება ამ ახალგაზრდას, ეხვევა და კოცნის. ისმის სიცილ-ხარხარის ხმა. ნელი მოძრაობა რომანტიკული სცენა. ჩვენ გვესმის მათი ემოციური საუბრის ნაწყვეტები.

— შე ქართველო ნაძირალა!.. ისევ ჩაიდინე ეს...

— ძალიან მენატრებოდი... შევცდი... ჩემი სულელური ხუმრობები ყოველთვის მიქმნის ხოლმე პრობლემებს... კარგი, კარგი... დანყნარდი... ნუ ყვირი...

— არასოდეს მიმატოვო... არასოდეს... ამას არ ვგულისხმობდი... მე ინგლისური ძროხა ვარ...

— მე კი სულელი ქართველი ხარი...

ამ დროს ისინი კარს ხურავენ.

ხმა აღარ ისმის და ვხედავთ გარეთ დარჩენილ ჩანთას.

წარწერები ცარიელ ეკრანზე.

ვილაცის ბანჯგვლიანი ხელი ალებს კარს და სწრაფად შეაქვს ეს ჩანთა ბინაში. ისმის კარის ჯახუნის ხმა.

## დასასრული

### ნიგნიდან „უფალო, შიგვიწყალან!“

თარგმნა *დალილა ბედიანიძემ*

#### უფალო, შიგვიწყალან...

უფალო, რარიგ მტკივნეულია  
მეგობრებისა ჩემის ლალატი...  
ფლიდობა მათი, ვისგანაც არ როს  
არ ელი ლალატს ან და მარადის.

და ეშმაკები მივლიან ირგვლივ,  
იუდებივით შემომხვევიან.  
უფალო, ნუთუ შენც მიმატოვე?  
ვერ შველი ამ ჩემს ტანჯვას ზევიდან?

ძალა აღარ მაქვს, რომ ავიტანო  
ეს ინტრიგები და ეს ტყუილი,  
ეშმათ თამაში წესის გარეშე,  
გული მისკდება ძალგამოცლილი.

და შემინყალე უფალო, გვედრი,  
ჭეშმარიტების მიჩვენე აზრი.  
უფალო, მიხსენ, რომ ჩემი ხვედრი  
განწმენდილ იქნას ღვთაებრივ არსით!

## ღმერთმა ქნას

აბა, მადლობა, შენ, მეგობარო,  
და მოვრჩეთ მას, რაც არც დაგვინყია.  
არც რა და არც ვინ არ არის შემძლე  
ცვლილებებისა.  
არც დახმარება არა მჭირდება.

შენ ნუ ეცდები, რომ მე გამიგო,  
ტუქსვის უფლებას არ მივცემ არვის  
არ გადავუხვევ მე ჩემს ჩანაფიქრს  
და კვანძის გახსნას როგორმე შევძლებ.

ყველას ვუსურვებ, რომ გაიხაროს  
ბედნიერი და კარგი ცხოვრებით,  
ჰქონდეს სიმშვიდე, გლოვა აშოროს.  
ჩემო ძვირფასო, კარგ ბედს გისურვებ,  
ღმერთმა ქნას, ტანჯვა დაგვინყებოდეს!

## ფსიქელთა ლუდი

მყუდრო ადგილი ინგლისურ პაბში,  
გაუთავებლად დასხმული ლუდი.  
აქ ორი ლოთი იქარვებს დარდს და  
ნელა ლულლულებს — არ არის ცუდი.

რაო, ძმობილო? როგორ გაქვს საქმე?  
შენს ცხოვრებაში იცვალა რამე?  
აბა, მაშ თითო ლუდიც დავლიოთ  
დაგემოვნებით, ვიგრძნოთ საიმე!

ეს ხომ ლონდონი არის და ბლინი  
არ შეიძლება, ვერ გაგვიგებენ...  
თვითონ ხვეტავენ ფულებს და ჩვენ კი  
პოლიციაში წესს აგვიგებენ.



## **უფალო, რარიგ მტკივნეულია!**

უფალო, რარიგ მტკივნეულია  
დარდი დახოცილ ამხანაგებზე!  
ო, რა ძნელია სიმძიმე სულში  
აზრისგან, თუ მე რა შემოძლია  
შურისძიებად რომ წამაქეზებს...

უფალო, რარიგ მტკივნეულია  
ომები სულში, ომები ყველგან,  
ვაი-მეგობართ გამყიდველობა  
და სიყვარული — წყეული ძუენა,  
ეშმაკეული ვნებების დელგმა.

### პაპრთა შესახებ...

თავს ნუ მოიკლავ დარდით, ძმობილო,  
თუ მეგობარმა შენ გიღალატა...  
ხალხმა ხომ ქრისტიე ჯვარზე გააკრა!  
არც შენ აგიგებს ლხინის პალატას.

მოდის, და ვლიოთ — ასე სჯობია,  
და დავინახოთ, თუ ხსნა რაშია.  
იქნებ უფალმა შეგვინდოს ცოდვა  
და ხსნა მოგვმადლოს — იგი ცაშია.

ჩვენც ჩავძაღვდებით ოდესმე ალბათ  
და სიყვარული წამია, წამი.  
ნეტავი თეთრი, ლამაზი ცხენი  
სამოთხისაკენ წაგვიყვანს ღამით?  
ის კი თეთრი ვირით შევიდა იერუსალიმში.

## ცხოვრება თვითონ გადაწყვეტს

დათრობა გნებავთ, როს გნებავთ დარდი  
და სიყვარული რომ გაიქარვოთ?  
მაგრამ ამისგან შვებას ნუ ელით,  
თქვენ სისხლს ამაოდ აჩქეფებთ, ნვალობთ!

ო, ბატონებო, თავს ნუ მოიკლავთ,  
სროლა არ არის გამოსავალი.  
ცხოვრება თვითონ გადაწყვეტს ყოველს  
და მიგვანიშნებს, რაა მთავარი.

და შეიძლება ო, როგორც ძველად  
მოგკლან სისხლიან დუელში ალბათ...  
ანდა ზურგიდან ფარულად ჩაგცენ  
ლახვარი, როგორც ძველად და ანდა  
უცბად აგური დაგეცეთ თავში...

და იკურნება ქვეყნად ყოველი,  
თქვენ ამ დარტყმასაც სძლევთ დროსთან დავით  
და სიყვარულში ვის გაუმართლა  
პოეტს? მიაგდე შენც ეგ ნაგავი!

## ცხოვრება დედინაცვალთა

არაფერი აღარ მინდა,  
ყველაფრისგან დავიღალე,  
ჭორებისგან, ფუსფუსისგან...  
მე — სუსტს მინა მიმაქანებს.

ნაცრისფერი ტემზა ბოლავს  
წვიმიანი ზეცის ქვემოთ.  
დედინაცვლად მყავს ლონდონი,  
დე, სიკვდილის ბრწყინვით მგვემოს!

და სულები ხარხარებენ,  
მკვდარ ორაგულს შემადრიან,  
სხვისი ტანჯვით ხარობენ და  
ღმერთის სულ არ ეშინიათ!..

ნეტავ სადმე დამმალა და  
დამპალ ჭაობს მომაშორა...  
ეს სხეული უკვე გაცვდა,  
სული მაინც ვიხსნა სწორად.

## გაუციახელი სიტუზო

— გამარჯობა, მეგობარო,  
როგორა ხარ?  
მე და შენ ხომ  
რა ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს...  
— აბა, მოდი, სათითაოდ  
გავიხსენოთ ყველაფერი,  
ცუდიცა და მთავარია  
კარგიც, კარგიც  
— მაშ, დამისხი! რა მოსვლია  
შენს თმას, ცოლმა თუ გაგპუტა?  
— ოჰ, არა, ცოლს გავეყარე,  
ორი წელი გადის უკვე...  
მან მადრიდში დაახვია  
და ისვენებს ნეტარებით...  
— ვინმე ნაცნობს ხომ არ გაყვა? —  
მოვიღუშე მე ნაწყენი  
— არა, ესპანელი არის,  
მამლაყინა ზღვის გაღმიდან...

და ვალია ალბათ გახსოვს?  
შენ უყვარდი, მაგრამ მერე  
ის მინისტრის მოადგილეს  
ცოლად გაყვა მდიდრად ცხოვრობს.  
სულ გიგონებს და პუტანას  
ახლა აღარ მოგვაგონებს.  
დადის ეკლესიაში და  
ღმერთს ნიადაგ სანთლებს უნთებს.  
დღენიადაგ მადღეგძელებს  
და მინისტრის მოადგილე

მანქანებს ყიდულობს მისთვის.  
ვგონებ, შენზე რაღაც იცის  
და მგონია, შენზე ეჭვობს  
და თუ სადმე შეგხვდა იგი,  
მეგობრობას დაგიპირებს..

— აბა...

— მოგცე ტელეფონი?

ამ დღეებში ჩამოდიან

და სატუმროც ვიცი მათი.

ნინ! ამ საქმეს შენ ნუ ჩაშლი...

— ?!

— გინდა, მოგცე მოსკოვური

შენ იმათი მისამართი?

ერთი-ორი ტკბილი სიტყვა

მისწერე და გაახარე.

ჩამოხვალ და მათ შეხვდები,

შეუბერავთ...

— არა, გმადლობთ!

დაე, იყოს, როგორც არის,

დაე, დავრჩე მე ლამაზად

იმ ქალის მოგონებებში!..

არ ღირს სულის ფორიაქი,

ნარსულს ისე, როგორც ზღაპარს

უკან ველარ დაგიბრუნებ...

— კარგი, აბა, გავიქეცი,

თვითმფრინავზე ვაგვიანებ,

გამიხარდა შენი ნახვა!

ზოგჯერ სულში როგორ თბილა,

როს შემოვა სიჭაბუკე...

ერთმანეთი მოვიგონეთ,

შევხვდით — მერე კი დავცილდით.

სულში სითბო ჩაიდვარა,

სიყრმის სითბო არ ცივდება...

## სიყვარულის დაღი

გთხოვთ, ნურასოდეს ნუ განმსჯით, ხალხო!  
ავი არვისთვის მიქნია, არა,  
ხოლო სიკეთე... თუ ყველას არ ხვდა,  
შემინდეთ, ალბათ არ მეყო ძალა.

და ბრწყინვალეზავ თქვენო, გეთაყვა,  
კოჟრზე თქვენ მეტად ნუ მაჭერთ ხსოვნას.  
მე შეგეჩვიეთ და მოგეჯაჭვეთ  
და მზად ვარ გაეხდე მე თქვენი მონა.

ვით ცუდ სიზმარში, ისე დავდივარ  
და ჩემს ფიქრებში სხვას ვეცეკვები.  
და თანამგზავრი ჩემი დარდია,  
გვირგვინი ჩემი არის ეკლები.

და თქვენი სახე, მსგავსი იმ ქალის,  
ჩემს მწუხარებას ამძაფრებს უფრო.  
როგორც წყეული ოცნების გემი,  
შორს, შორს, მიცურავს უგზო და უფრთო.

გთხოვთ, ნურასოდეს ნუ განმსჯით ხალხო!  
ავი არავისთვის მიქნია, არა,  
ხოლო სიკეთე... თუ ყველას არ ხვდა,  
შემინდეთ, ალბათ არ მეყო ძალა.

ო, ქალბატონო, მე განწყენინეთ!  
გთხოვთ, ამისთვის ნუ განმირისხდებით.  
მე ვდარდობ და მე ვცდილობ, გავიგო  
სიცარიელეს რით სპობენ სხვები...

ნუ წახვალთ... მე გთხოვთ, ნუ აჩქარდებით!  
ქუჩა ბნელია, ვით სულის ბალი...  
იქნება ვცადოთ, რომ კიდევ ერთხელ  
სულში წავშალოთ დარდების დაღი?..



### გართობა სხვისთვის

მე დავიღალე თავხედი ტყუილით.  
სულ არ მიყვარხართ, არა და არა.  
შეხვედრებისას მიწყდება ნერვი  
და ტანჯვით ვხვდები განთიადს, კმარა!

ერთურთს მოვბეზრდით დიდი ხანია,  
თუმცა მწარეა მიხვედრა ამის.  
სიყვარული კი... ეს — წამებაა,  
სხვისთვის გართობა და ჩვენთვის — შხამი.

## სურვილი

ო, გავუფრთხილდეთ ჩვენს მოგონებებს,  
მხოლოდ ესაა, რაც დარჩა ჩვენგან.  
თუ მოგენატრეთ, ნარმომიდგინეთ  
ანფასში, სახე რომ დაილექა.

და ახლა უკვე ვხვდები, მგონია,  
რატომ დავცილდით მტრებად და რა გვჭირს.  
ჩვენ შეგვეშინდა ძლიერი გრძნობის  
და ქორწინების ჯაჭვით შებოჭილს?

და რად იფიქრეთ, რომ „სიყვარული“  
უნდა მქონოდა უფრო ძლიერი?  
რა ვქნათ! გისურვებთ, უფრო სუსტს შეხვდეთ  
და მასთან იყოთ თქვენ ბედნიერი...

## ფარსი

ცხვრის ფარა ბლავის,  
მე — გავისუსე.  
ვილაცას მოსნონს,  
ვილაცა უსმენს.

თუ გამოძახილს  
ჰპოვებს და შვებას,  
მაშ უტვინოებს  
ვარსკვლავად რჩება.

კრეტინებისთვის  
ეს შეიძლება  
და მიხვდებიან  
ეს როგორ ხდება.

და უნიჭობავ,  
იმედს იტოვებ,  
რომ გამარჯვებას  
შენ მოიპოვებ.

მაშ, მოდი! ეცი  
შენ მაგ შენს ჭაპანს,  
ო, არამზადავ,  
მონყვიტე კუში,  
გიმართლებს დამპალს!

## დაპირება საკუთარი თავისთვის

დამნაშავე ვარ... და ვარ სულელი,  
რა სულელი ვარ, მეყოფა, კმარა!  
როგორც ყვეფი უკანასკნელი  
ვჩანვარ და მეტად მე აღარ დავლევ.  
ჭიქას ხელს აღარ მოვკიდებ, არა!

## სიზმარი — წირვა

ქარის ზუზუნი, უგონო გმინვა,  
ქუჩაში ქრატსაც ჩააქრობს წვიმა...  
მცირა, ვკანკალებ, ხორცსრული სტკივა,  
და ესე მუდამ, ყოველი კვირა...

ბუღბუღი, ვარდი... კვლავ ის ოცნება...  
ნავი ნოესი ფერფლად იწვა?!  
მოგონებებში, ბავშვობის, ახლაც,  
ყოველთვის, მუდამ, სიზმარი — წირვა...

## სიკვდილის მაცნა

მოკვდები.

მოკვდები.

თქვენ ახლა

ვერც კი წარმოიდგენთ ამას, ვერც მხედავთ.

თქვენ გგონია გაიგებთ ამიტომ ამას.

მაგრამ გახსოვდეთ,

თქვენ ჩემთვის

ელვარებთ მზის შუქზე მეტად.

მე დამმარხავენ ქართული სიმღერით

დატირებულს და მე ვიგრძნობ შვებას

და მეგობები დამწუხრებული

ამ ჩემს აღსასრულს ამცნობენ ყველას.

ალბათ ძალიან დავენანები

ბევრს და სიკვდილის ჩემის ამბავი

ყველაზე გვიან მოაღწევს თქვენთან,

რომ მწუხარებით დახაროთ თავი...

## ცხოვრება — ამაოება

დაბლა დავეცი, დაბლა დავეცი,  
დავეშვი იმათ დონეზე, დაბლა,  
წყენამ წამართვა განსჯის უნარი  
და დაამარცხცა ჩემს ტვინში დამბლა.

ბორგავს სიავე, ბობოქრობს იგი,  
ველურმა მგოლებმა იქ ვერ შემჭამეს,  
აქ კი ორფეხა არამზადებმა  
და ნაბიჭვრებმა მე დამილამეს.

ყველაზე უფრო ის მტკივა ახლა,  
რომ ცხოვრებაა ამაოება...  
ეს მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე,  
როს შეიცვალა ჩემის დროება,

როდესაც ვხდები კრთომით და თრთოლვით  
ჯვარცმული ქრისტეს მე თანატოლი.

## ბოლო გასროლა

ო, უკვდავებს არ სდევს სიავე,  
იგი წმინდაა, ვით დილის ნამი  
და მოდის, როგორც ლოცვა, ოცნება  
და ქრება ცოდვის წიაღში წამით.

ჩემო ძვირფასო, რაღაც გეშლებათ,  
მარტოა პრინცი თავაზიანი.  
დაბერდა სულით და ახლა ბოდავს,  
შურისძიებით სურს მას ზიანი...

ხომ ნაიკითხეთ „ბოლო გასროლა“  
და ამისათვის მე მზად ვარ ახლა  
არ ვესვრი პისტოლეტს, ვით მოთხრობაში,  
არა, ჩემს ყოფილ ძმობილებს ვნახავ.

აი, ეს სროლა ხომ მოკლავს თვით პრინცს,  
არამზადასა და ქვისგულიანს...  
სასურველია, თქვენ არ შეესწროთ  
ჩემო ძვირფასო, მტკივნეულია...

## პიედესტალი

მე მზად ვარ, ვიყო უკანასკნელი  
დედამინაზე სამარადისოდ!  
მე მზად ვარ, ვიყო უკანასკნელი  
და პირველობა რომ თქვენ დაგიტოვოთ!

და ნუ იფიქრებთ, რომ შემეშინდა...  
არ მსურს, დავეშვა მინაზე ახლა...  
და სხვების კუდში არ მსურს ჩანჩალი  
და მაჩანჩალას არ მერგოს დაღლა!

...მაგრამ როცა წინ ავრალი არის?!  
დავინტერესდეთ, თუ ვინ ვინ გახდა...  
ამიტომ გითმობთ ჩემ პიედესტალს,  
რომ დავინახო, მასზე ვინ ახტა?

და ნუ იფიქრებთ, არ ვარ ამაყი!  
ამბიციების ტბა არის გულში...  
ოღონდ მიზანი, რისთვისაც ვიშვი,  
სინათლის ქმნაა და დარჩა გუშინ.

ერთს შეგთხოვთ ყველას – არც კი იფიქროთ,  
წინ გამიგდოთ და ფეხდაფეხ მდიოთ  
ზურგსუკან ქშენით ნუ მდევთ, ბოზებო!  
ოხ, თქვენი დედაც! — იქნება გხიოთ!



არ მინდა, ვიყო თქვენს შუაგულში,  
თქვენ პილატეზე ხართ საშინელი!  
და ღირსეული წინ იყოს უნდა,  
დათმობას მხოლოდ მისგან მოველი...

თქვენ სისულელეს უწოდებთ ამას...  
თქვენთვის სამყარო ნადიმებს ითვლის  
და ვინ ნადიმობს?! მიმოიხედეთ!!!  
ეს ხომ ისინი, ვინც ერთურთს ღრღნიან  
მინის ცარიელ პიედესტალისთვის.

*უცნობი მთარგმნელის თარგმანები*

\*\*\*

საიდუმლო  
ეს ის არის,  
რაც ჩვენ ვიცით  
და ვართ ჩუმად,  
შემდეგ ვინმე  
კრეტინი კი  
იტყვის ხოლმე.  
ყველა ფიქრობს —  
კრეტინია  
და ეს უკვე  
ახალი საიდუმლოა.

*ზამთარი 86-87წ.*

\* \* \*

და ღერბიანი თეთრი ფურცელი  
დაუნერელიც არის უცვლელი.  
არის უთუოდ დანაშაული  
სითეთრის ბილწვა თუნდ სასწაულით!

*29 ივნისი, 1989წ.*

## **ლომისა და სასწორის ნიჰნით დაგადაუღლთათვის**

სახე მკრთალდება  
და სიკვდილი შენი ჩლუნგდება,  
როს მზეერას ხვდება  
ოქროს პანთერას დამსგავსებულს  
და სხეული კი, თითქოს სხივები  
ოქროსფერი ხელისგულებში  
სივრცეს გააპობს,  
ისე როგორც ზეცას ქალაღდის.

შენ ეცემი როგორც ზეცას ქალაღდს.  
შენ ეცემი და გამჭოლი ქარი  
შავი, მსტვინავი, ჩვენს თავს ზემოთ  
გვერდებს ფურცლავს  
მაგიური დამთხვევებისა.  
იქ გულუბრყვილო სიბრძნეც არის,  
იქ დგას ტაძარი უმაღლესი და მისი გავლით  
დღისით, თუ ღამით ჩვენსკენ წყალი  
მოედინება...

\* \* \*

წელში მოხრილი შენ არ იქნები,  
თითქოს ქალაქში ხარ დამალული,  
მაგრამ მუშტი კრუნჩხვისაგან გაგვიხვედება.  
გაზაფხული აღარ არის და თბილისია დაცემული  
და სოდომის ქუჩებია მიჭრილ-მოჭრილი.

ხალხის მაგიერ სანთლებია მოედანზე  
და მათ ყელებზე — ნაჭედი კვალი.  
ვინც ცოცხალია — სამათხოვროდ მოვა აქ და  
ვინც კი მკვდარია, იტყვის „განსაჯე ხილული თვალით“.

დათო, ლიანა, ავთანდილ, გია,  
ცარიელ ცაში ვინ ლოცულობს ო, ახლა თქვენთვის?  
სული წაიღო დღეს ნოსტალგიამ  
და დაეფინოს ქალაქს ზემოდან  
სამარცხვინო სიკვდილის ჩრდილი.

მე ყრუდ ვქვითინებ, თითქოს მიწიდან  
ვიღაცა უხმოვს შვილს, რომ ვერ იხსნა.  
მოკლულ ცხოვრებას მუქი თვალები  
კვლავ შეჰყურებენ, თუმცა ფარავთ თიხა.

\* \* \*

ყინვიან ღამით, ვით მარმარილოს  
ქვა ჩამოეშვა ციდან ცახცახით  
და შავი ჩიტი, ბასრი წარბები  
მწყურვალ თვალთ ზემოთ — მზის ნიშანია.

მთვარის ნიშანი — ნახევარ ნესვში,  
ტრფიალის ნიშნად — ღიმილი მწარე  
და სიყვარულის მკრთალი ნიშანი  
და სულის ნიშნად ჩანს შენი ხელი.

შენ ჩემკენ იწევ და თითქოს გინდა,  
რომ დაივიწყო ვნებაში ქარი.  
კლოუნის ხმები ჩაგვესმის ყურში  
და ორი თითი უთითებს ჩემზე...

\* \* \*

ცხოვრება, შენი ვით თავის ქალა  
გატეხე — არა, შენ არ გაქრები  
და წვიმას შესვამ, მთლიანად შესვამ  
და არ ხარ, არა ნაბახუსევი.

და თითქოს ჩრდილი შენი გუგების  
შენს ნაკვალევად დარჩება ქვეყნად.  
შიში არ ტოვებს სახეს კაცისა,  
შიში თავისას მოითხოვს მკაცრად.

სადა გაქვს ბედი? სად — ბილიკები,  
საბედისწერო ლაბირინთები...  
იქ, ვით წყვილია, მხოლოდ შენა ხარ,  
გაქვავებული, ვით მძიმე ცოდვა...

\* \* \*

ადამიანთა ზედახორაში  
ქროლვაა ბნელნანილაკების.  
ყველა უცხოა, მიქრის, ფრთებს გაშლის,  
სადავო დღეა შეშლით ნაკვები.

ასობით ფეხი ასფალტს ესობა,  
ასობით ხელი თავისას იზამს.  
მესმის ალტის ხმა — უკეთესობა  
და ხმა უცნობი მიმღერის სიზმარს.

და შავი კანი ნეკნიან სალტის  
და ფარებს შორის ღობურა ციხის,  
გამონაბოლქვი ფეთქდება, ადის  
ვით ბომბი ცაში, შხამიან სიცხით.

ალიაქოთში ქვითინებს ალტი  
ყრმა კი იცინის — ტურფა, თავნება  
და ცივად ბრწყინავს მზეზე ფოლადი,  
მალლა და დაბლა მიექანება.



\* \* \*

და სიღრმე იგი  
მყის რომ გაიხსნა,  
არა, არ კმარა  
ძირს  
დასაცემად.  
კლდეზე  
უბერავს ბრიზი  
ჩურჩულებს.  
აზრი არ იძვრის  
პულსი გაჩერდა  
საფეთქელზე და  
ჩიტი კი ნისლზე  
ნებით ტრიალებს.  
არ ამოსულა  
მზე, მაგრამ გვათბობს  
და ის გაგვითბობს  
ქუთუთოებსაც.

\* \* \*

თოვლიანი ველები,  
სიცივეში ფიქრი.  
და ქარიშხლის ხელები  
წამილებენ იქით.

და შავსა სიჩუმეში  
ჩანს ჩემი გზა, მათრობს  
აზრი — ღვინის ჭიქებში  
შევსვა? და გამართობს?

ბაგეებზე ბინული,  
მწარე ბნელი ღელავს  
და ჭიქაში ყინული  
ყვავილივით ელავს.

და სითეთრე თოვლისა  
ამ სულს დაეუფლა  
და სიმღერა ყოვლისა,  
ბორკილთ ხმის ქვეშ სუფევს.

ცხენი გაუჩინარდა,  
ცხენი მიუწვდომი.  
მწუხარების ტირადამ  
გაიჟღერა ნდომით.

მაგრამ დარჩა ველი  
მძლავრ სითეთრით სავსე  
და ნებსითი ტყვეობის  
ნდომა ადგას თავზე.

წმინდა სტრიქონთ ჟღერა  
და არყის ხის ხმისა  
მიჩენს ბედისწერას,  
ცრემლებს არყნარისა.

## ბაცილეზა

ჩვენ გვაცვილებდნენ მუსიკის და ბოკლების ხმაზე  
და ჩვენ გვანდობდნენ დარჩენილნი ოქროს იმედებს,  
რადგან სჯეროდათ, რომ ოდესმე ჩვენ დავბრუნდებით  
და სიყვარული ჩვენი ამის დისტური იყო.

და ღამლამობით მთელ ქალაქში სროლა ისმოდა  
და მიფრინავდნენ მეგობრების სულები მალლა  
და მუდამ, როცა ნაბახუსევს გაგვეღვიძება,  
არყით ვიგონებთ ჩვენ წასულებს, წასულებს ღმერთ-  
თან...

და არ არიან, არა ომში ალბათ გმირები,  
ვინ — გადარჩება და ზოგი კი მოკვდება ხოლმე  
და არც ჩვენა გვაქვს სხვა გზა, როცა ეს ჩვენი ბედი  
უკანასკნელი შტურვალეებით აბრუნებს ხომლებს...

### ქართული მთეზი

მშობელო მთებო, ისე მიყვარხართ,  
როგორც ქართველს ო, დედა უყვარს.  
ნაზად, უმანკოდ მიყვარხართ მუდამ,  
გულს თქვენი ესმის, გრძნობა მაქვს უხვად.

დედა, მამა და ძმა — ეს სიტყვები  
გარდასულთან სამარადისოდ  
ამგვარად თქმაში — დედა-სამშობლო!  
მარადი ნათლით სული აივსო.

\* \* \*

*ედღვნება ვ. ვისოცკის და ვ. შუკშინს*

მოსკოვი მძიმე ძილით იძინებს,  
უფრო და უფრო ავდება ყინვა,  
შესახვევს სძინავს ორი მეგობრის,  
სად შეხვდნენ ერთურთს, ამშვენებს ბრწყინვა  
მუზეუმს, ბოლო და წყნარ შენობას  
და არ გაღელვებთ თქვენ მოსკოვური  
საზრუნავი და ალიაქოთი.  
თქვენ თქვენი თქვით და ამოიმღერეთ,  
დაძლიეთ შტორმის ო, ბოლო ნოტა.  
დარჩა წიგნები და სიმღერები  
და კინო — სულის ფართე ეკრანი.  
თქვენი დაკარგვის ტკივილით ვხვდებით  
მაგ თქვენს სიდიდეს ახლა, ვით სხვები,  
ვისოცკი, შუკშინ, ყოფილხართ რანი...

## ქართველო, რა გქვიათ?

— ქართველო, იქნებ მითხრათ, რა გქვიათ?  
თუმცა, მოიცათ... იქნება გია?  
— იეს, მიხვდით... ყოფნა მშვენიერია...  
ეცეკვე ჩემს ცოლს... I'll be near...

თოვლის ფიფქების კორიანტელი...  
და მეგობრები ჩემგან ნასული  
და მე ვარ მთვრალი და შფოთისთავი,  
ტანი — ჯანსაღი, დამპალი სული...

მოსკოვი ოქროს გუმნათიანი...  
ვგრიანებთ ერთად, აქ არის ქალიც...  
— იქნებ ნავიდეთ, დავწყნარდეთ ახლა...  
— არა! ჩვენს შორის ქვეყანა არის.

— მაშ კვლავ გადავკრათ და დავაყოლოთ...  
— შენ არ გიყვარვარ. კარგად! ნახვამდის...  
დავუცდი შენს ზარს, იცოდე, ქალო...  
ყრუ სროლა ისმის... ბნელა... ხვალამდის?!

## **ნუთუ გსურთ, დათვრეთ და გაიგლიჯოთ...**

ნუთუ გსურთ, დათვრეთ და გაიგლიჯოთ  
და დაივინყოთ ტრფიალიც, დარდიც...  
ეს არ იქნება საშველი ჭირთა,  
სისხლს ნუ აიძვრევთ, ძარღვში რომ დადის...

რომ ტყვია იკრა შუბლში — ასე მსურს  
გამოსავალი, ვერც ეს გიშველის.  
ჯობს, დაელოდო, სანამ ცხოვრება  
ყველა კითხვაზე გაგცემს მზა პასუხს.

ხვალ შეიძლება, დუელშიც მოგკლან  
და დაიღვაროს მინაზე სისხლი.  
იქნება დანა ჩაგარჭონ ზურგში,  
ძილში დაგახრჩონ შავ ბედის რისხვით?

ო, ყველაფერი კარგად იქნება,  
შავი დღეები ჩამოთავდება.  
დაგმე ეგ ქალი — ნაგავი, არც ერთ  
პოეტს ტრფიალში არ უმართლებდა.



## სული გამნარდა, ჩაქინდრე თავი?

სული გამნარდა, ჩაქინდრე თავი?  
გლალატობს მოძმე, სხვას ვიღას ენდო,,  
რად გიკვირის? ჯვარზე გააკრეს ქრისტეც,  
ცილისნამება შენც გელის ერთ დროს.

სჯობს, რომ დავლიოთ... ჩვენ არ გვიმტყუნებს  
ბოთლი და შვებას სასმელში ვპოვებთ,  
ღმერთმა შეგვინდოს ჩვენი ცოდვები  
და სიყვარული მოგვმადლოს პოეტო...

ღმერთო, მოგვეცი თეთრონი, ვყვირი,  
მოღალატეს კი — ზონზროხა ვირი!

## **ო, ღმერთო, რარიგ მტკივნეულია**

ო, ღმერთო, რარიგ მტკივნეულია,  
მოკლულ მეგობრებს ვიგონებ გვემით,  
მე შურს ვიძიებ დაუნდობელი,  
მკვლელებო, თქვენ ხართ სამიზნე ჩემი.

ო, ღმერთო, რარიგ მტკივნეულია  
მოღალატეთა და მხდალთ ატანა,  
და სიყვარული გროშინ კახპის,  
ვნებას რომ აღძრავს, როგორც სატანა.

განა ტყუილად მქვია გიორგი,  
გენერლობამდე მივალნევ, მჯერა,  
თუმცა წყეული ომი მძულს გულით,  
მე აღვასრულებ ამ ჩემს ვალს ჯერაც.

## ო, უკვდავებას არ სდევს სიავე

ო, უკვადებას არ სდევს სიავე,  
იგი სუფთაა, ვით დილის ნამი  
და აი, ლოცვა – ტკბილი ოცნება,  
ცოდვის უფსკრულში გაკრთება წამით....

რალაც გემლება, ჩემო ძვირფასო,  
მარტოა პრინცი თავაზიანი,  
ოღონდ დაბერდა და ახლა ბოდავს  
და გულით დააქვს ლიქნა, ზიანი.

ბოლო გასროლა — მოთხრობილია —  
პორტრეტზე იყო ზედ წარბის მხარეს.  
მე კი არ ვესვრი არც ვინმეს პორტრეტს,  
ძმებს ვესვრი, — ვინც ცილს მწამებდა მწარედ.

და ამ გასროლით — დაემხოს პირქვე —  
ვკლავ არამზადა და ფლიდ პრინცს იქვე...  
ჩემო ძვირფასო, თქვენ იქ ნუ მოხვალთ,  
იქნება იქით მოწყენა, ოხვრა...

## **ო, მეგობარო, ძვირფასო, გმადლობთ...**

ო, მეგობარო, ძვირფასო, გმადლობთ  
და მოვრჩეთ მას, რაც არც დაგვინწყია.  
ირგვლივ სამყარო არ შეიცვლება,  
არ მსურს, შენვენა რომ გამინიონ...

და ნურც ეცდებით, რომ მე გამიგოთ  
და საკუთარ თავს ხელს არ შევუშლი,  
სასჯელს მე თვითონ მოვნახავ ჩემსას,  
სხვაზე ოცნებას არ აღვძრავ გულში...

ახლობლებს ჩემსას მე მოვუსურვებ  
გზა ჰქონდეთ მშვიდი და ბედნიერი  
და თქვენ, ძვირფასო და საყვარელო,  
ბედი ლამაზი გქონდეთ, ძლიერი...

### **აბა, როგორ ხარ, შე ნაბიჭვარო...**

აბა, როგორ ხარ, შე ნაბიჭვარო?  
გაინტერესებს ჩემი ზრახვები?  
ნუ ცდილობ შენ წვას გათეთრებამდე,  
შენს ვინრო ტახტზე მე არ დავჯდები...

და შეიტენე მყრალ უკანალში  
ვისაც ჭირდები სამასი წელი?  
დახმარებისთვის არ მოგადგები,  
თუმცა სულ მიჭირს და მშველელს ველი.

კმარა სიმღერა, რომ შენ გიყვარვარ  
ხელით წასული და ჩემი გჯერა.  
გასწი! დამსხვრეულ დოქს ვერაფერი  
ვერ გაამთელებს, ვერა და ვერა!

## როს მეგობრები გილალატეხენ...

უფალო, უწყი, რარიგ ძნელია  
გილალატეხენ როს მეგობრები.  
და ერთმანეთზე უარეს ამბებს  
უმზერ ფარფატით ერთად შეკრებილთ...

გონს რომ მოვიდე — დრო აღარ მაცლის,  
ყველა განმიდგა, როგორც იუდა.  
ღმერთო, ნუთუ არ დამეხმარები,  
როცა ცოდვები მტანჯავს, მანამებს...

ძალა აღარ მაქვს, არ მყოფნის ძალა,  
ცბიერებამ და ტყუილმა მომსპო,  
დამცირებისგან მისკდება გული  
და უსამართლო ომში დავმარცხდი.

ღმერთო, მიშველე და შემინყალე,  
ჭეშმარიტების მიბოძე შუქი,  
განდევნე ჩემი მავნე აზრები,  
რათა გადიდო სულით და გულით!

### ოჰ, გამარჯობა შენი, ძმობილო!

ოჰ, გამარჯობა შენი, ძმობილო,  
რასა იქმ ახლა, ან როგორა ხარ?  
დიდი ხანია, არ შეგხვედრილვართ!  
ცოტა გადავკრათ  
და მოვიგონოთ  
წარსული — ჩვენი ავიდა კარგი,  
რაც შეგხვედრია.

აბა, დაასხი!  
შენ გამელოტდი,  
თუ შენმა ცოლმა  
გაგპუტა ასე?..  
— ოჰ არა!  
უკვე ორი წელია,  
რაც გავიყარეთ  
ჩვენ საბოლოოდ...  
და დაუფინეს  
ჩემს ცოლს მადრიდში  
პლაჟი, შოპები —  
და გაახარეს...  
— ეს არის ვინმე ჩვენი ნაცნობი? —  
— მე ვილუშები.  
— არა, ერთი ესპანელია,  
აქ გავლით იყო.

— და ვალენტინა გახსოვს,  
პუტანკა,  
არ გაგონდება  
იმისი სუნთქვა?  
მან მოადგილე მინისტრის ჰპოვა  
და წაიყვანა საკურთხევლისკენ  
და ძველ ცხოვრებას დაემშვიდობა...  
ოჰ, მდიდრად ცხოვრობს,  
არარა უჭირს.  
ღვთისმო შიშია,  
არაყს სვამს მუჭით.  
ზოგჯერ გიგონებს  
და გადღეგრძელებს.  
ქმარი სულელი  
მანქანებს ძველებს  
ახლით უცვლის და იმისთვის აქებს,  
რომ მეგობრები არ ავინყდება,  
გულთბილ მიღებას,  
ის შენც გპირდება...

— რას მეუბნები?  
— სერიოზულად.  
თუ გინდა, მოგცემ იმის ტელეფონს  
ოტელის ნომერს,  
სადაც ის იღებს ძველ მეგობრებს და  
ვალთა-ვალკა  
გდია ლოგინში.



ანდა მოსკოვურ  
მისამართს მოგცემ,  
შეეხმიანე — გამოგიგზავნის  
„მერსედესს“ იგი.

— არა, არ მინდა  
წარსულში ქექვა  
და დარჩეს ლამაზ  
მოსაგონარად...  
წარსული ზღაპრად  
დაე, და მორჩეს...  
აეროპორტში  
მაგვიანდება.  
რა გავიხარე  
მე შენი ნახვით!  
თითქოსდა წამით  
გავაცოცხლეთ ახალგაზრდობა...

გადავხვიეთ ერთმანეთს და  
დავემშვიდობეთ  
და ძმობის სითბო  
სამუდამოდ ჩავვიდგა სულში.

## ო, როგორ მტკივნა და დარდი მასწრწობს

როგორ მომბეზრდა, მომძულდა, ღმერთო,  
არამზადები მეგობრად მთვლიან,  
ღმერთო, შეუნდე, თავს მაბეზრებენ  
რომ შევიყვარო, არ შემიძლია...

ოჰ, რა სევდაა და როგორ მტკივა...  
რომ მოშურნენი მეტენებიან...  
ნუთუ არ გესმით, მლიქვნელობისთვის  
ვერას გადგიხდით, ვაჰმე მტრებიანს...

აიმღვრა გული საზიზღარ გრძნობით,  
ტყუილის ტრფიალში ვერ გაპატიებთ.  
ერთგული ვრჩები, ვრჩები მომთმენი,  
რადგან შენ ერთი მიყვარხარ ძლიერ.

ოჰ, როგორ მტკივა, როგორ მამწუხრებს,  
ამაოდ როგორ მტანჯავს ვნებები,  
მე დავბრუნდები — უძღები შვილი,  
ღმერთო, შენდობით შემეგებები?

მე, მონა შენი ღმერთო, გიორგი,  
ცოდვილი, სუსტი ვარ, შემინყალე,  
და მწარე ტანჯვა და დამარცხება  
შეგთხოვ, წყალობით შენ შემიცვალე!

### რა უფრო ძნელია...

ძნელი არ არის, შუბლს ტყვია იკრა,  
თუმცა ჭირს ემსგავსო მკვდარს შენ ცოცხალი  
და თუკი ბედმა წელში მოგდრიკა,  
დარდით ჩაივლის მრავალი წყალი.

მოკლა ჯანსაღი ყლორტები სულში  
ძნელია, ჩაკლა ახალგაზრდობა —  
იყო წყეული და იყო მრუში  
და სულ თან გდევდეს უკულმართობა.

ამგვარი საქმე არ არის რთული,  
სამაგიეროდ, დიდხანს იცოცხლებ —  
ნათლია — მეფედ და წამში ფული  
გამოგიჩნდება — ქრება სიმარტოვე!

და მეგობრების ოქროს გროვაში  
გრიალი გელის დაუვინყარი  
და შეგაქებენ ყველანი მაშინ,  
როგორც ეშმაკი თუ ხარ მდიდარი.

მაგრამ გულში კი აქვთ სიძულვილი  
მაგ შენს მაქებრებს და მოთაყვანეთ.  
და ჯოჯოხეთში ჩასვლის სურვილი  
დაემუქრება შენს სულს საყვარელს.

როცა სიკვდილის გეწვევა წყევლა,  
შენ გაგანამებს ამგვარი ფიქრი,  
რომ შენ ფეხებზე კიდიხარ ყველას,  
ფული კი ყველას ჭირდება იქით.

და ჩათვლი ყველას მუხანათებად  
და აუტანელ ტკივილით სავსე,  
მათ მეგობრობდი უღალატებლად,  
სიყვარულს და ფულს აყრიდი თავზე?

და მოიგონე — როცა დატოვა  
სიცოცხლე შენმა მოკეთემ ერთმა,  
ბედს დასცინოდი, რომ აღარ მოვა,  
შენ იმ მხსნელისა, დღეს რომ გვყავს ღმერთად...

## ლონდონი, მეჩსნიკური ბარი

პალმები. როგორ გადი-გამოდის,  
გიგონებ, ბოზო, მაგიდას ვუზი.  
ვთქვათ, დავივინყო, რომ ვარ მორწმუნე,  
მაშინ ვიქნები ვით ცეცხლში — ბუზი.

ყოფილ მეგობრებს, იმ არამზადებს  
მოუნდებათ, რომ მთხოვონ შენდობა,  
მე კარგად ვისვრი, როცა მენვევა  
შთანგონება და მუზა მენდობა.

მაქვს იარაღი, ბანდიტ მეგობრის  
ნაჩუქარი და ვხედავ მის სიფათს,  
ის განისვენებს დღეს ტემზის ფსკერზე  
და ელოდება მიღებას ძვირფასს.

ო, მახინჯებო, გველაძუებო,  
ნუ ღელავთ, მე მას არ ამოვიყვან,  
დაგრძილავთ ყველას თქვენ თქვენი ხატა  
მე ნაგვიანებს არ ვიტყვი სიტყვას!

რა მხდალები ხართ და თქვენს შარვლებში  
ჩაჭედილები ნაგავზე ზრუნავთ  
სტუმრები ეშმას სამსჯავროსი და  
ნუ კრთით, გვიანი არის ეგ ბრუნვა.

## ლონდონი — ჩემი დედინაცვალი

არა, არ მინდა აღარაფერი,  
დავლლილვარ ყოფნის მიეთ-მოეთით,  
ჭორით, ინტრიგით და ალკოჰოლით,  
ნახეთ სხვა ვინმე, არა პოეტი.

და ტყვიისფერი ცნება რას ბოდავს,  
წვიმიანსა და მქრქალ ცას შერწყმული...  
ლონდონი — ჩემი დედინაცვალი  
ცდილობს მომიკლას, დამიხშოს გული.

ხარხარებს ჯოგი გახვრეტილ სულთა,  
კმაყოფილია, რომ მომიხელთა...  
სხვის უბედობით იხაროთ, გსურთ და  
არ გემინიათ? უფალი გხედავთ...

აჰ, ნეტავ ამას გადამარჩინა,  
ამ ჭაობიდან გამოვალ ოდეს...  
სხეულს ვერ ვშველი, დაღლილს საშინლად,  
ნეტავი ჩემს სულს ეშველებოდეს...

## მინა ვიყავით და მინად ვიქცევით

მინა ვიყავით, ვიქცევით მინად,  
ოდესმე ყველა მინაში ჩავალთ  
სასაფლაოზე, სად ყველა მინვა,  
ხეს შვილთაშვილნი დარგავენ მრავალს...

და ყვავილებშიც და იმ ხეებშიც  
ჩვენთა სხეულთა იქნება წილი  
და მინას — დედას ჩვენ გამოვკვებავთ  
ციდან სიცოცხლის გადმოვა ჩრდილი.

გაიზრდებიან ხეთა რიგები,  
მათ ქვეშ იქნება ალბათ სკამები  
და იქ გოგონას ეტყვის ჭაბუკი:  
„ჩემო სიცოცხლე, სულ მეყვარები!“

და ის დღეც მოვა, როცა არავინ  
არ გაგიხსენებს სადღეგრძელოთი.  
დაეწვიება ჩვენს ნაშთს დანარჩენს,  
მზე სხივს გადაგვკრავს, სულ რომ ველოდით...

და ეყოლება შვილები იმ წყვილს  
რომ კოცნაობდნენ აქ — გზა გრძელდება  
და გაგრძელდება სიცოცხლე მარად  
და უკვდავება ჩვენ გვიერთდება.

## **როგორ დამლალა ურცხვმა ტყუილმა...**

როგორ დამლალა ურცხვმა ტყუილმა  
და რომ მიყვარხართ, გიმტკიცებთ მუდამ,  
თუმცა არ მიყვარხართ, დაწყვეტილ ნერვებს  
გათენებამდე სიმშვიდე უნდათ.

ჩვენ მოვაბეზრეთ ერთმანეთს თავი  
დიდი ხანია, ვამცნეთ ქვეყანას,  
ო, რა მწარეა სიმართლე ახლა...  
სჯობს, ვითამაშოთ დამალობანა....



**უცნაურია ამ ჩვენს ტაძარში...**

უცნაურია ამ ჩვენს ტაძარში  
ჩვენთან რომ მოაქვთ ჩაი რძიანი  
და დგახარ ასე შუქის ხანძარში  
გაოცებული ადამიანი.

## მე მომეძალა მოგონებები

მე მომეძალა მოგონებები  
და გამანამეს მოგონებებმა  
და შენი მზერა ალერსიანი  
მსურს მოვიგონო წარსულ ვნებებად.

ერთად ვხვდებოდით განთიადს მახსოვს  
წყაროსთან, რაკრაკს გვასმენდა როცა  
და ვამაყობდით, რომ მზემ შენიშნა  
ჩვენს სიცოცხლეში პირველი კოცნა.

მაგრამ გაფრინდნენ ის ჩვენი წლები.  
შენ — ახალგაზრდა, აყვავებული  
საფლავს ჩახვედი და თან წაიღე  
ბნელ აკლდამაში ეს ჩემი გული.

ო, არა, მზეო, შენ არ დაიცავ  
ის სიყვარული, შენ ის გათვალე,  
ბედნიერება ჩვენი დალუპე  
და მარტოობის ამ ჩემსას

მთვარე გაიზიარებს და მე ვარ ახლა  
უძლები შვილი, არა დღის შუქი,  
არამედ ამის შემდეგ მახარებს  
და დამამშვიდებს მე ღამე მუქი.

მოჩვენებებმა მე ჩამიქროლეს,  
ეს ყველაფერი სიზმარი იყო.  
ყველა ეს ტანჯვა მე განვიცადე  
ცუდ სიზმარში და მსურს, დაგივიწყო.

რა ვქნა, რა ვუყო გარდასულ ვნებებს,  
ვით გავაცოცხლო აღერსი წრფელი,  
ასე არავინ არ მყვარებია...  
რაა სიზმარი? არ ვიცი. ველი...

### **სომ კარგად იცით, რომ ვარ ღატაკი...**

„სომ კარგად იცით, რომ ვარ ღატაკი!“  
ფრაერმა ურცხვმა ააგდო პონტი.  
დამპალს მოუნდა პატიოსნება,  
სინამდვილეში ძუნწია, ჟმოტი!

## ჩურჩული მთვარის შუქზე

როგორც ფოთლები  
დაჩურჩულებენ  
მთვარისა თეთრის  
ტუჩები ერთად  
და ის სიტყვები  
ჩვენ გვეურჩება.  
შენ ჩემთან ხარ და  
მე კი ვარ შენთან.  
ჩვენს შორის ვხედავ  
ოკეანეებს,  
მილიარდ ღრუბელს  
ვეალებსები.  
ჯიბეში მე მაქვს  
სიცარიელე,  
ფურცლები მხოლოდ  
ჩემი ლექსების.

### **დახვრეტილია ეს ჩემი გული...**

დახვრეტილია ეს ჩემი გული  
და სიყვარული — გაცრუებული  
და ყველაფერი საზიზღრობაა,  
ბედი არ გვწყალობს, ვარ უბედური.

სიცოცხლე მხოლოდ ტკივილი არის,  
გვირტყამს და უნდა გადავიტანოთ...  
რა ვუყოთ ამ ჩვენს წყეულ ქვეყანას?  
გავიქცეთ? რა ვქნათ? სხვა შეგიყვართ?

### **ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო...**

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო...  
ჩაკლა ტრფიალი, დაალპო ვნება...  
თქმულია, სხვების უბედობაზე  
სატანას ძალა დაეშენება...

## სიავე ბრდღვინავს, სიავე გვახრჩობს...

სიავე ბრდღვინავს, სიავე გვახრჩობს,  
იქ, სადაც მე ვარ შემჭამეს მგლებმა,  
არამზადებმა მე დამიჭირეს  
და ნაბიჭვრებმა მაგემეს გვემა.

ფიცის მტეხლებმა და ცბიერებმა  
მე ზურგში ჩამცეს იღუმალ დანა,  
ათასი ჭირის გამსვარეს ჭუჭყით,  
სული ჩამიკლეს, მიპარვით თანაც.

ღმერთო, მოწყალევ, შენ გადმომხედე,  
შემინდე, შეგთხოვ, ცოდვა, დიადო.  
შურს არ ვიძიებ, ღმერთო, სანამდე  
სიმშვიდეს მე ვერ ვპოვებ წყვდიადში...

ვიცი, დავეშვი ძალიან დაბლა,  
არამზადების გვერდით დავეშვი,  
მაგრამ ჯანსაღმა აზრმა დაჩრდილა  
წყენა, სიმძიმე ჩადგა თვალებში...

სიავე ბრდღვინავს, სიავე გვახრჩობს,  
იქ, სადაც მე ვერ შემჭამეს მგლებმა,  
არამზადებმა მე დამიჭირეს  
და ნაბიჭვრებმა მაგემეს გვემა.

აფსუსს, ცხოვრებავ, განვლილო წყენით,  
ფაციფუცით და დავით განვლილო,  
მე მალე ქრისტეს გზას შეუდგები,  
შეგიერთდები, სივრცევ გაშლილო...

## ორ ფურცელს შორის

აქ ყველაფერი უწინდებური  
არის და მე ვარ ჩანებებული  
ორ ფურცელს შორის მობეზრებული  
ნიგნისა —  
მათზე ჩანს მხოლოდ ხვიშტი!  
მითხუპნილები, მოთხუპნილები  
შემომყურებენ, ვით მაცხილები.  
მე ჩავახველებ და ვიფურთხები  
სიგარეტი და ცეცხლი მჭირდება!  
მომანევინეთ! გამიჭირდება  
მე დავიწყება ყველაფრის რიგით!  
რალას ვეცადო, რად ვიფუსფურო,  
თუკი ბრანნები მერტყმიან ირგვლივ.

## ხის ცრემლის ფარი

სტრიქონთა შორის  
არყის ხე მღერის,  
ბედი ჩანს თრთოლვით  
ხის ცრემლისფერი...

## სხვადასხვა გზებზე

როცა ლონდონის ვტოვებ სამყაროს,  
მე მავინყდება, თან წაგიყვანოთ...

სხვადასხვა გზები გვებოდა ქუფრი  
დედამინაზე — მაშ გვევლოს უფლით!

უფლით! და არა ჩემით. უჩემოდ.  
ჩემი გზა უკვე დასრულებულა  
და ველარ ვივლი მე ძველებურად,

ვერ დავბრუნდები შენთან იმ დღეში,  
ზამთრის ვარსკვლავი, რომ ენთო მრეში...

მე შემძლია, გონებით მივწვდე  
იმ დღეებს — სულის საოხად ვინწევ...

მე არას ვნანობ, მსუბუქი სევდით  
დაუბრუნებელ დღეებს მიველტვი...

და გულით ვხედავ თეთრ თოვლს მე ბალში,  
ღულუნით მტრედი გვერდით ფრთებს გაშლის

და მოიგონებს შორ სამოთხეებს,  
სადაც ის იშვა, რათა ამ დღეებს

მომავალისა, გალიას ვინძლო  
დაუსხლტეს, ტოტზე გამოიღვიძოს.



## ნისლი ჭიქებში

ნისლი ჭიქებში;  
დაასხი ღვინო,  
გვაქვს იდეები  
და მოვილხინოთ!

შენ მწვერვალზე ხარ.  
მიხმობდი რატომ?  
გახვრეტილ ბორბლებს  
ნემსს ვარჭობ მარტო...

მიყვარხარ, როგორც  
ვაკხანალია.  
ასე რომ გათბობს  
ჩემი შალია.

ლექსს დაეღვრება  
სტრიქონთა წვიმა.  
ჩაცხრება მეხი,  
ნუ მელი მლიმარს.

მაგ კულულების  
ქარი მუქია...  
პასუხი — კონვერტს  
ახლავს ლუქიანს,

ოცნებაც — კონვერტს  
რარიგად შვენის,  
რომ გერქვას ჩემი!

## სული გავფლანგა

ჩვენ ვსვამთ დილიდან დაღამებამდე  
და მე მსუნაგმა გავფლანგე სული.  
ღვინო ძარღვებში მიჩქეფს მე ახლა  
და ესაღმება სატროფოსი სურვილს.

და ჩემი გული თქვენ ჩაგიგდიათ  
დატყვევებული ამ მინის ბოთლში.  
მე იქ ისე ვარ, როგორც კარცერში,  
ვით კაპარჭინა ვოლგის საშრობში.

ვით ქოფაკები თივაზე, ყეფავთ,  
გეჯას ხომ ვერც კი მივეკარები,  
დიდი ხანია, სიყვარულს მორჩით,  
შურისძიებამ გახსნა კარები...

და რატომ მდევნით? ვერ გამიგია,  
თქვენი ერთგული ხომ ვარ მე ჯინი  
და თქვენს საშველად მზადა ვარ მუდამ,  
დავიმსახურე, რომ ვარ კრეტინი...

**გთხოვთ, რომ ნუ მლანძღავთ,  
ნუ მრისხავთ, ხალხო...**

გთხოვთ, რომ ნუ მლანძღავთ, ნუ მრისხავთ, ხალხო,  
მე არ ვიყენებ საზიზღარ ხრიკებს  
და თუ ყველასთვის არ მყოფნის სითბო,  
ძალა არ მყოფნის ამისთვის იქნებ.

და დედოფალო ჩემო, თქვენც შეგთხოვთ,  
ნუ მაგდებთ, გრძნობას ნუ შემილახავთ.  
მე ხომ მონა ვარ თქვენი მარადჟამს,  
მარტო ვარ... და ვინ მიშველის ახლა?

და დაგუბებულ ნყვდიადში ვცეკვავ  
მე თქვენთან იქნებ ვალსს საბოლოოს.  
და მინდა, გულში რომ აღგიბეჭდოთ,  
თქვენ კი არ ცეკვავთ, დაფრინავთ მხოლოდ...

ვიცით მხოლოდ მე და მარტოობამ,  
რასაც მიველტვი და ვფიქრობ დარდით,  
თქვენ — კარაველა ჩემი ოცნების  
ზღვას ეფარებით, ნისლი რომ დასდის...

გთხოვთ, რომ ნუ მლანძღავთ, ნუ მრისხავთ, ხალხო,  
მე არ ვიყენებ საზიზღარ ხრიკებს  
და თუ ყველასთვის არ მეყო სითბო,  
ძალა არ მყოფნის ამისთვის იქნებ.

## ო, ქალბატონო, შემინდეთ ნყენა...

ო, ქალბატონო, შემინდეთ ნყენა,  
შეცდომებისთვის ნუ დამსჯით მკაცრად.  
მძიმეა გულში სიცარიელე,  
დედაო მინავ, ვარ მარტოკაცი.

დარჩით, აისი ჯერ ხომ შორს არის  
და ნუ შეერთვით ამ ბედის ხარხარ,  
კოცნით გავფანტოთ ნალველი ჩვენი,  
ო, ღმერთო, რარიგ მარტო ვარ ახლა...

დარდის ღრუბელი თავს დაგვტრიალებს  
და ცაში ყრუ ხმით მეხიცა ღელავს,  
მაგრამ მზის სხივი იბრწყინებს და ჩვენ  
ვნახავთ ამ დილით მტევნების ელვას.

## დავინყაბულია, მიტოვებულია სიყვარული...

აღარ მილიმით უწინდებურად,  
სული შფოთავს და ამ სულში ბნელა.  
გამიუცხოვდი შენ, ო, რა სწრაფად,  
ყალბი სიტყვებით, ცრუ გრძნობით, ხელად

და წელანდელი ჩვენი ტრფიალი  
ჩაქრა, ვით ცაზე სინათლის ზოლი  
და ცხელი სისხლი მე გამეყინა,  
მოგონებები მე დამრჩა მხოლოდ...

და ყველაფერი ფერფლად ქცეული  
არის წარსულში, შორს, ცეცხლი ჩვენთვის,  
ვიცი და მაინც ეს ჩემი გული  
მაგ შენს ხატებას გაუმქრალს ელტვის...



პარიზი. დედა



რომი. დედა



## რაშია ცხოვრების აზრი?

ეს დაწყველილი ჩვენი ცხოვრება  
სად არ გვატარებს ჩვენი გამჩენი.  
შევხვდებით ვინმე ძველ მეგობარს და  
გული გათბება მაშინვე ჩვენი.

თუმცა ამქვეყნად სიძნელეც გვხვდება,  
დაგვეუფლება მოწყენა ხანაც,  
ნულარ განიცდი ყველაფერს ძლიერ,  
ცხოვრების აზრი ეს არის განა!..

მაშ — რაა?  
აღბათ ის არის ჩვენთვის,  
რომ ვართ უბრალოდ ადამიანი,  
ყველას გვანვალებს ჩვენ-ჩვენი ბედი,  
პატარ-პატარა სიხარულები  
შავ ღრუბლებს სპობენ — ჩვენი იმედი!..



## გულს დაეუფლა სითეთრა თოვლთა...

თოვლიანი ველები  
სიცივეში ფიქრის,  
ქარიშხლით დაჭრილი  
ჩრდილი მთვარის მიქრის  
და შავ სიჩუმეში  
ჩემი გზები ნათობს.  
აზრი ჩანს ღვინოში.  
დავაპრო?  
ავანთო?  
და ტუჩებს ემწარათ  
გემო სიბნელისა.  
ყინული ქიქაში  
დნება, ყვავილს ისხამს.

და გულს დაეუფლა  
თოვლი, თეთრი ასე...  
და ვისროლე მღერა  
მე ნალების ხმაზე.  
რაშმა გაიქროლა...  
ველარ დავეწვი...  
თავის გზა აქვს სევდას,  
ნათობს, მოდის ზევით,

მაგრამ დარჩა ველზე  
ყინვის თეთრი ნაყში —  
ნებსითი ტყვეობა  
სიჩუმის წიაღში.

## გამონათება

სიღრმე, რომელიც  
გაიხსნა უცებ  
არა, არ კმარა  
ძირს დასაცემად.  
კლდის ზემოთ ბრიზი  
ქრის აღმაცერად,  
ჩურჩულებს:  
„აზრი ტოვებსო ტუჩებს!“

და საფეთქელი  
ფეთქავს აღარა  
და ჩიტმა ნისლში  
ფრთები დახარა.  
არ ამოსულა მზე, გვათბობს ისე,  
ქუთუთოებსაც გაათბობს ისე.

\* \* \*

...არასოდეს გვინახავს მანამდე, თუმცა, მის წიგნებთან შეხება კი გვექონდა. და აი, ჩამოვიდა... „უჰ, ალბათ, რა მოსაწყენი იქნება უკვე შუა ასაკს გადაცილებულ გენერალთან ურთიერთობა“, — გავიფიქრე და რედაქციის კარზე კაკუნიც გაისმა.

პირველი შთაბეჭდილება?... „როგორი ბუზღუნა ჩანს...“

სანამ დათო და „mon général“ მორიგ წიგნზე საუბრობდნენ, შესაძლებლობა მომეცა, უფრო დაკვირვებით შემეთვალიერებინა იგი.

მამაკაცს თავდაპირველად თითებსა და ფეხსაცმელებზე ვაკვირდები ხოლმე. ისე ახლოს არ ვიდექი, რომ მისი თითები შემეთვალიერებინა, მაგრამ აი, ფეხსაცმელებს კი მოვკარი თვალი — გაპრიალებული, უკანასკნელი მოდის ფეხსაცმელი ეცვა. „უყურე შენ, მოდასაც მისდევს თურმე“, — გავიფიქრე და ახლა სტუმარი თავიდან ბოლომდე შევათვალიერე... პენიანი, გემოვნებიანი... და უცებ თვალები... თვალები, რაღაც საოცარი სითბოთი, ტკივილითა და ამავდროულად სიცოცხლის სიყვარულით სავსენი...

ბატონ ჯემალს ტკივილმა აალებინა ხელში კალამი...

ტკივილმა გაუხსნა მის ნიჭს გზა-კვალი...

ტკივილმა შეაძლებინა პროზისა და პოეზიის ლაბირინთებში ეპოვა საკუთარი თავი...

დიდმა ტკივილმა, რომელსაც საყვარელი ვაჟიშვილის დაღუპვა ჰქვია, ახალი სუნთქვა გაუხსნა მას და...

ტკივილმა მოიყვანა იგი ჩვენთან...

რა საოცარი, იდუმალი, უცნაური სიყვარულით სავსეა ეს ტკივილი...

...ჩვენ დავმეგობრდით!..

*ეკა ჭკადუა*

ნიგნიდან „უფალო, შეგვიწყალებ!“

თარგმნა *დალილა ბედიანიძემ*

**ნუ მიმატოვებ**

ნუ მიმატოვებ ნურც დღის ნათელში,  
ნურც ბნელში ღამის...  
ამ განშორებას ვერ გადავიტან  
ვერც ერთი წამით

და თუ კვლავ ვცოცხლობ,  
ეს — მხოლოდ შენით,  
შენით — ცხადშიც და  
სიზმარშიც გელი,  
ეგ გამოხედვა, ო, როგორ გშვენის...  
ცხოვრების ტალღებს ვით გადავლახავ,  
როცა შენ არ ხარ ჩემს გვერდით ახლა...

შენ ხარ სიცოცხლით, ხალისით სავსე...  
სისულელეა, ვინა თქვა ასე  
თითქოსდა მძიმედ შენ იყო ავად,  
განდევნე სევდა და ტკივილები,  
როგორც მღეროდი,  
ისევ ისე იმღერე თავად,  
აიღე ხელში შენი გიტარა...  
დაე, შენი ხმა ამ გაზაფხულს  
დაენიოს ნაირ-ნაირად...  
ეს ცხოვრება ხომ საუკეთესო ექიმი არის!  
გაიხარე და ჩვენც გაგვახარე!  
და მაგ გულიდან ყველა მარცხი განდევნე მწარე!  
გაიხარე და ჩვენც გაგვახარე!

*1974 წელს ვიას დედა ლიანა, ჩემი მეუღლე და  
მუზა ჩემი მრავალი პოეტური ოპუსისა,  
ავტოკატასტროფაში მოყვა. მისი მკურნალობა და ფიზიკური აღ-  
დგენა თითქმის მთელ წელიწადს გრძელდებოდა...*

## **უშენოდ ვერსად ვირ ვპოვივ ვვიპას...**

უშენოდ ვერსად ვერ ვპოვივ  
შეგებას,  
ყოველთვის მე შინ ვიჩქარი  
შენთან..  
ნუ მიმატოვებენ, თორემ უშენოდ  
დამცვივა ფრთები,  
ველარ აღვსდგები, თუ უშენოდ შთენილი  
ვკრთები...  
ჩვენ ერთი გზა გვაქვს  
ამ ცხოვრებაში,  
დავიღლებით და ჩამოვსხდებით,  
ვისვენებთ გზაში,  
მერე კი ორნი  
გზას გავაგრძელებთ  
და ბევრ გზას კიდევ  
ჩვენ დავაძველებთ.

უშენოდ ჩემი დღეა შავი  
წყვილიაღზე ლამის,  
ჩემო მფარველო ანგელოზო,  
შენ ამინთე განთიადის სანთელი  
წამით!

## ჩვენი წლები დნებიან

ვისი ძალიხხმევით და  
ანდა ვისი ბრძანებით?  
ქრება ყველა სურვილი,  
ჩვენი წლები დნებიან...  
ერთიან სიყვარულად  
როგორ გარდავიქცევით  
და განვლილი ცხოვრების  
სურათები კრთებიან...

## ლიას

განთიადზე გავიღვიძებ,  
გვერდით უკვე აღარ ხარ.  
ქალაქს ანევს ბინდ-ბუნდი და  
მაინც ისევ — აქ არ ხარ.  
და იქცევი ახლობელთა  
ტკბილ დეიდად ძალიან,  
სულ საქმე გაქვს, მარტო ჩემთვის  
არასოდეს გცალია!

*ეს ჩემი „გამოტანჯული ნაყოფი პოეტური ნიჭისა“,  
ექღვნება ჩემს მეუღლეს კნიაჟნა ლიანა იაშვილს!!!*

## სახუმარო

*ექსპრომტად დაბადების დღეზე*

წკრიალებს მისი სიცილი,  
როგორც სხივები მზისა,  
მღერის ის, ვით მოციქული  
ლამაზი სამოთხისა  
და თუ გაბრაზდა, სჯობს, სდუმდე,  
დაგზუგავს ელვით მერე,  
გულმონწყალეა, კეთილი  
მეგობრებისთვის და შინ კი  
მეხნია — დამიჯერეთ...  
ის მადონაა და ვინჩის,  
როგორც ძუ ლომი — ზრუნავს  
ბავშვებზე — ნათესავთათვის  
დედა ტერეზად ზრუნავს  
და შემოიკრებს ახლობლებს.  
გინდა, იცოდე, როგორი  
მეუღლე არის იგი —  
მე გიპასუხებ — ამ კითხვას  
არ უნდა სვამდეთ რიგით!  
და ჩამოთვლილი ამბებით  
მეუღლეობისათვის  
ის, ძმაო, უსაყვარლესი  
მყავს მე — კონგლომერატი!

**ლია!**

(სახუმარო წერილი)

გელოდი და არ გამოჩნდი  
და სადა ხარ, ნეტავ?  
გრძნობა ჰპოვე უფრო ნაზი  
ტრფიალზე პოეტის?  
დაგილაგე ყველაფერი  
და წერილში ვატევ,  
რომ ვარ ნარდის სათამაშოდ  
ბორისთან არბატზე.



## ო, ტკივილამდე ნუ კოცნი ბაგეს...

ო, ტკივილამდე ნუ კოცნი ბაგეს,  
ნუ მკოცნი კოცნით მწველით და ცხელით.  
და ხვევნა-კოცნით ალბათ დამახრჩობ,  
გული ჩემი კი — ვით ცეცხლში, ფეთქავს...

ღმერთო, მაღალო! რა მომივიდა?  
მე დავემონე ჯადოსნურ ალერსს,  
თუ მართლა ასე ძლიერ გიყვარდი,  
აქამდე რატომ არ გამომიტყდი?

შენ აამღვირე, არიე გრძნობა  
და გარეთ ღამეს თქეში ერევა  
და ახლა რა ვქნა, საით წავიდე?  
საით გავექცე ბედნიერებას?  
ამნამს ბავშვობას დავემშვიდობეთ...

## როცა შენთან ვარ — მყის მოდის მუზა

როცა შენთან ვარ, მყის მოდის მუზა  
და განშორება ფრთებს მამტვრევს ძირში,  
მარტოობაში შენ იყინები  
უაღერსობით, დარდით და შიშით....

სიბრძნის წყარო ხარ, გონის ნათელი,  
უსარგებლოა შენთან კამათი  
და სულ ფუსფუსებ და ვერ ისვენებ,  
უსასრულო ხარ — გული წამართვი.

ამიტომ ჩაქრა ჩვენი კერია  
და დავიწყების ფერფლმა დაფარა  
და ჩვენი სახლის იგი მტერია,  
გახსოვს კი ჩვენი სახლი პატარა?..

## ო, მშვენიერო ქმნილება!

ო, მშვენიერო ქმნილება,  
ეგ სახე ჩრდილავს ზეცასაც.  
ია და ვარდი გფენია,  
მე შენი ქება მენადა.

ყვავის ფრთასავით კულულნი,  
ტუჩები შენი — ლალები,  
შუბლზე გიბრწყინავს ვარსკვლავი,  
შენს მღერას ვენაცვალები...

და მაგ შენმა ხმამ წკრიალამ  
ეს ჩემი გული გააპო.  
ხარ ზეციური ქმნილება  
საქები და საარაკო...

როგორ ფრთხილებს ეგ გული,  
ვითარცა ჩიტი პატარა.  
მაგ გულმა ვით დაიტია,  
ამხელა ღელვა ატარა?

## ჩემს მეუღლეს — ლიას

აგერ, ორმოცი წელია, ვხვდებით  
ავსაც და კარგსაც — ჩვენ ვიყოფთ ორნი.  
ვერ ვამჩნევ, როგორ გაფრინდნენ წლები  
მსუბუქ ქარივით, ქროლვით და ქროლვით...

## მაგიდაზე დატოვებული სახუმარო წერილი

მოვედი და ვერ გნახე,  
სად დადიხარ, ნეტავ?!  
მომენატრა ეგ სახე,  
როდის გნახავ მე და —

კი მანყნარებს მე ახლა,  
თუმც არა ვართ ერთად,  
სულით მაინც ჩემთან ხარ,  
სამუდამოდ ჩემთან!

### აკროსტიქი

ლამის ტრფიალმა ტალღად მაქციოს,  
ისე, ვით ია, მიელტვი სივრცეს.  
ამოთქმული ხარ ჯადოსნურ სიტყვით!  
ნაზად მღერი და დამატყვევებლად...  
აი, შენ მღერი დამატყვევებლად...

ისე მაღლა ხარ შენ ჩემს ფიქრებში...  
არ შეიძლება, მზერით დამათრო?  
შემდეგ ღიმილით ნაილო გული...  
ვით განგმირული ვუსმენ შენს სიცილს...  
ისევ, ქალღმერთო, დამარცხებული  
ლამის ტრფიალის ტალღამ ნამილოს,  
ისაა ჩემთვის ძალის ნამრთმევი...



დედა



ოჯახი



## პირველი პაემანი

არასდროს არ დავივიწყებ  
ამ შემოდგომის გვიანს  
და ჩემს საყვარელ თბილისში  
შენთან პაემანს, კარგო.  
არასდროს არ დავივიწყებ  
ჩაქროლილ სიჭაბუკეს,  
მაგ შენს სინაზეს, სიტურფეს,  
მუდამ რომ მინდა ვაქო.

მახსოვს, ამაყი იყავი —  
კნიაჟნას ვით შეჭფერის  
და არ ვიცოდი მაშინ,  
რომ სიამაყე შენი  
მხოლოდ ბუდეა, სადაც  
ეგ სუფთა გული გიზის  
და სული, ასე რომ თრთის  
და რომ სიკეთე გშვენის...

ძვირფასო! — შესახედად  
ჰგავხარ ფარფატა ფურცელს  
და პასუხს ვერ ვპოულობ  
იშვიათ გამოცანის —  
საიდან იღებ ძალას  
ახლობელთათვის, ანდა  
სად ჰპოვებ მათთვის ნუგეშს  
და ნათელს, ძლიერს თანაც?



შენ რომ აქამდე გერგო  
ათასი გაჭირვება  
და გამოცდები, ბევრი  
ბედის დარტყმები ხშირი,  
თვით მეომარი კაციც  
ქედს მოიდრეკდა მათგან,  
ისიც ვერ აიტანდა,  
ო, მკაცრი იყო ქირი.

ზოგჯერ კი ვხედავ, რომ შენ  
ცრემლებსაც ინმენდ ჩუმად,  
მაგრამ მე მიფრთხილდები  
ყოველთვის, არას მეტყვი.  
ზოგჯერ კი მღერი, კარგო,  
რომ დამავიწყო დარდი,  
კი მღერი, მაგრამ გითრთის  
ბაგე ტანჯვათა სეტყვით.

და რომ დავნერო ლექსი,  
ჩემო ძვირფასო ლია,  
მჭირდება შემართება,  
ციური ძალა უნდა.  
სად მაქვს დრო? ასე ლამაზს,  
მომაჯადოებელს ასეთს  
დღედაღამ უნდა კოცნო  
და ეხვეოდე მუდამ.

შეუდარებელ ცოლს და  
შეუდარებელ ტრფიალს  
წერეთლის ლექსით გაქებ  
სულ რომ მინდოდა მეთქვა  
და რუსთაველის შაირს  
მივმართავ, გლოცავ, ღია,  
რომ ჩვენდა სიხარულად  
კარგად გამყოფოს ღმერთმა...

და დამიჯერე, კარგო,  
გჯეროდეს ჩემი ახლა,  
უშენოდ არც სიცოცხლეს  
და არც სიკვდილს აქვს ფასი.  
დედოფალთ დედოფალო,  
ო, მშვენიერო ღია,  
ასეთი შენ ხარ ქვეყნად  
ერთი და არა ასი...

### იყავი ჩემთან...

იყავი ჩემთან და წუთითაც არ მიმატოვო  
და არ გაცივდე — რა ცივია შენი ხელები.  
ქარის ღმუილმა შენ შეგაკრთო, ძალიან მალე  
მოვა მარტი და წეროები მოფრინდებიან...

გამოიღვიძებს... ცხოვრება და მერცხლები ბუდეს  
შესჭიკჭიკებენ.. განა ყველა პილიგრიმები  
დაბრუნებულან — ზოგიერთმა ხომ ვარსკვლავებზე  
ჰპოვა სავანე, უშფოთველად იქ დაემკვიდრა.

ნუ მიმატოვებ მე ამ წუთშიც — არ გაიყინო,  
ო, რა ცივია ეგ ლამაზი შენი ხელები!  
მერცხლები ისევ თავის ბუდეს დაბრუნებიან,  
ბედნიერება არის შენთან ყოფნა უღელში  
ჩვენს ძველ საქმეებს გადავხედავთ ჩვენ სინანულით,  
ჩემი ლექები უსასრულოდ გაგრძელებულან  
და მათი წერა მომავალშიც ჩემი საქმეა  
და შენთან ერთად არაფრისა არ მეშინია.

### არ მიმატოვო...

არ მიმატოვო.. ო, როგორ მცივა,  
გამცვდარ ძარღვებში გაქვავდა სისხლი  
და მარტოობა უდრის დაღუპვას,  
ვცახცახებ, შენ კი დამცინი მუდამ,  
რა გულგრილი ხარ ცრემლების მიმართ...  
ო, არ წახვიდე... ამტყდარა ქარი  
და გაცივდები.. მაშინ იქნება  
შენ მოგენატროს ეს ჩემი სითბოც?  
სითბოს, სინათლეს ამ ბუდის მიერს  
ნუ მიატოვებ... მიყვარხარ ძლიერ....

### ნუთუ მე შევცდი...

ნუთუ მე შევცდი, როს დაგიჯერე  
მართლა არსებობს რომ სიყვარული,  
რომ ცხოვრობს ამა ქვეყნად ის ქალიც,  
კარს შემომიღებს ვინც სიხარულით.

და ამ ცხოვრების უკუღმართობამ  
ჩემი იმედი დალუბა მრუდად.  
მოხერხებულად ვმართავდი ჩემს ბედს,  
ქალებს მე მრავალს ვუყვარდი მუდამ.

მარტოდენ დარდი... დარდილა დარჩა,  
უსინათლობა, უიმედობა  
თითივით მარტო ვარ და წარსულში  
დამრჩა სინაზეც, ტრფიალის გრძნობაც.

თავქარიანო, ქარის სადარო..  
კეთილშობილი გრძნობა შორს დარჩა.  
რატომ გამცვალე მე მასხარაზე,  
მასზე სულელი, უნიჭო არ ჩანს...

და დამატყვევა მე მარტოობამ,  
სადაც მოწყენამ გული დანისლა.  
გრძნობის ტალღები მამათრახებენ  
და აღარ მესმის ხმა ძვირფასისა...

## ნუთუ მერყეობ და არა გჯერა,

რომ მე მიყვარხარ და ვმალავ სურვილს?  
სიყვარულს მალვა უნდაო, უთქვამთ  
და მეც სიყვარულს ვატარებ გულით.

რომ სიყვარული სჯობს დაფარული  
თქვა რუსთაველმა — არ დავუკარგოთ.  
ნუ დაუჯერებ ნურავის ბოდვას,  
მე შენ მართალი გითხარი, კარგო!

და ვინც გაჰყვირის თავის ვნებებზე  
მოედნებზე და სჭირს უთავობა,  
არა რაინდი, ვაჭარი არის  
და ქარაფშუტა არარაობა.

### სად იყავი, სად იყავი მაშინ...

სად იყავი,  
სად იყავი მაშინ,  
საყვარელო, მიპასუხე ახლა,  
როცა დიდმა სიყვარულმა დანვა  
იმედები, ამ გულში რომ დახვდა?

მიმატოვე უცბად,  
უმონყალოდ,  
მე ხომ შენგან მოველოდი შველას...  
ცივა... და გთხოვ, არ ნახვიდე ჩემგან!  
მე შენს იქით  
ველარ ნავალ, ვერა...

## არა ხარ ღია — დედა ტერეზა ხარ

ნათელი აზრით, სულის სიმდიდრით  
შენა ხარ ნაღდად დედა ტერეზა,  
ღია დაგარქვეს მხოლოდ შეცდომით,  
დაბადების დღე როდესაც გქონდა...

უპოვარი და ობოლი გვედრი:  
„შემინდე ჩემი ცოდვები, ყველა!“  
და თუკი ცოტა სითბოს მოვითხოვ —  
მაშ, გაყინული მოვითხოვ შევლას...

და თუ მოვითხოვ შენს ყურადღებას,  
მაშ მარტოობამ დამღრღნა და მომსპო...  
გონება ჩემი სავსეა აზრით:  
„მონყალე ღმერთი ერთიანია,  
რწმენა, სიკეთე კი მთავარია!“

ადამიანის უფლების რღვევას  
კერპთ სამსახურად ვთვლი დაუძლევად,  
კერპთა არჩევა ქელეხის მიზნით  
მთლად დამღუპველი არს ფანატიზმი!



## რომელ ქვეყნებში ნახვადი?

სულ ორი დღეა,  
რაც ჩემო ღია  
შენ გაემგზავრე  
და მე მიხვედრა  
არ შემიძლია  
რომელ ქვეყნებში  
და რომელ მხარეს?

ძალას საიდან იღებ, შენ,  
ღია?  
მე სიჩუმეში ძალა მეცლება.  
რომელ ქვეყნებში ნახვედი ჩემგან?  
კედლებს აწყდება შენზე ოცნება...

და შენი კოცნის გარეშე ახლა  
სიცოცხლე მტოვებს — ცივია სახლი.  
ჩემო ნუგეშო, მე შიში მახლავს  
უშენოდ შეშლის — უშენოდ ნავხდი...

## საიუზილო

წვერი გამითეთრდა და ეშმა მიზის ნეკნში,  
გაზაფხულის იები შევიყვარე ნაზი  
და ზაფხულის ქარისგან დაგიფარე ქალი,  
გაგათბე შემოდგომით, ვითარცა მზემ — ვაზი.

საუკუნის ნახევარს უკვე ვითვლით ერთად  
და ცხოვრების ამ გზაზე ღმერთმა შეგვაერთა...

## სახუმარო

*ლიანას დაბადების დღეზე 2001 წლის 1 აპრილს*

შენ, გაზაფხულზე დაბადებული  
სხივი ხარ მზისა რა დიდებული,  
ირგვლივ სითბოს და სინათლეს აფრქვევ  
და გულს უხარებ შენს ირგვლივ ყველას.

შენ ხსნა ხარ ყველა უბედურისთვის,  
ვინც კი დაჩაგრა შენ ირგვლივ ბედმა  
(ოღონდაც ჩემთვის არც ისე ხშირად  
გცალია, შემნედ ნეტავ მეც მექმნა).

ახლობლებისთვის ხარ, როგორც ფარი,  
ვაჟიშვილთათვის კი — როგორც ბურჯი.  
მეგობარს არვის დააჩაგვრინებ  
(მე არ ვითვლები, ჩემო საუნჯევე).

როგორც დედალი არწივი ფრთებით  
იფარავ მაგ შენს საყვარელ დისშვილთ,  
და მაგ შენს დისშვილ ბიჭებს კი ახლა  
მხარში უდგახარ ლხინში და ჭირში.

გულუხვი ხარ და სტუმართმოყვარე  
აღდგომაა, თუ ახალი წელი  
და კვირის ყოველ დღეს გაგვახარებ,  
მე არ ვითვლები — მე ჩემს რიგს ველი.

მე გადღეგრძელებ ო, დედოფალო,  
ჩემო ცხოვრების და მთელი ბედის.  
ცოტა შენც შესვი ქმრის სადღეგრძელოდ,  
აბა, რა გთხოვო ამაზე მეტი!

## განშორების წამი მე წლად მეჩვენება...

განშორების წამი მე წლად მეჩვენება  
და იცოდე, მომკლავს უშენობა, კარგო.  
ვერა, ვერ ვიცოცხლებ მე უშენოდ ქვეყნად,  
გინდაც მანამებდე, არ მსურს დამეკარგო.

შენთან ყოფნას ვარჩევ მუდამ ჩემდა ხვედრად  
და არ გიღალატებ არასოდეს, ჩემო!  
სიყვარულით ფრთები შეგვესხმება ოდეს,  
განთიადის სხივებს ჩვენ გავუგებთ გემოს.

გულს სიცივე ბორკავს, როცა შორს ვარ შენგან  
და ობლად დარჩენილს მიმწარდება ყოფნა.  
ამ გულს ენატრები, შენ გეძახის, გიხმობს,  
როგორ ვიყო, კარგო, მარტო ამა სოფლად...

ხარ ცხოვრების წყარო და სინათლის მფენი,  
და მიყვარხარ, როგორც ქვეყნად არვის უყვარს  
და იცოდე — გრძნობას სპეტაკსა და წმინდას  
დრო ვერაფერს აკლებს და ჩემშია უხვად.

## როს ერთად არ ვართ...

როს ერთად არ ვართ, ჩემ გვერდით არ ხარ,  
და აღარ მესმის ეგ ხმა საამო, —  
მომეძალება მოგონებები,  
რომ გამითენოს და დამიღამოს!

მე დამიგროვდა შეცოდებები,  
ოჯახს იცავდი შენ, ვისაც გენდე  
და სიყვარულით იხსენი შვილი  
და სასიკვდილო მარცხი განდევენ!

ძვირფასო! ისიც იცოდე უნდა,  
რომ ბედმა საით არ მიკრა თავი,  
მე უშენობა არც მიფიქრია,  
ყოველთვის შენი, შენი ვიყავი!

სულ მჭირდებოდა შენი ალერსი,  
თუმცა ზოგჯერ ამას მაინც ვფარავდი,  
ეგ სიყვარული სულ მჭირდებოდა  
და მეშინოდა მისი დაკარგვის...

შენ ღირსეულნი ვაჟნი აღზარდე —  
დაე, არასდროს ჩაგვიქრეს კერა  
და არაფერი ქვეყნად არ არის  
ჩვენს სიყვარულზე ლამაზი, მჯერა...

### **ჩვენი ზედია, ერთად ვიაროთ...**

მთაზე აველ და შენ შეგეყარე  
ჰაეროვანსა, მაგ თეთრი კაბით.  
შენ არ მელოდი? არ შემომხედავ?  
და არ გამიშლი მაგ მკლავებს სწრაფად?

ყველა დარდს ვძლიე... და შენ კი გახსოვს  
ჩვენი შეხვედრის პირველი წამი?  
ჩამოდი ჩემთან მაგ მწვერვალიდან  
და გამახარე შეყრის სიამით...

ო, გეფიცები, ვით პატარძალი  
შენ იყავ, კაბა ელავდა თეთრად  
და შემეყვარდი სამარადისოდ,  
ჩვენი ბედია, ვიაროთ ერთად.

### გახსოვს, თუ არა...

გახსოვს, თუ არა  
დღე იყო თბილი,  
როცა ერთმანეთს მე და შენ შევხვდით?  
თბილისი იყო შემოდგომური,  
ჩვენ — გაზაფხულში გადავდგით ფეხი  
და იმედები გვივსებდა გულებს,  
შევფიცეთ ზეცას,  
შევფიცეთ ქალაქს,  
რომ ვიცხოვრებდით სიყვარულისთვის,  
ღვთის გულისათვის,  
ბოლო რომ არ აქვს.

გახსოვს, რომ იდგა  
ფანჯარასთან და  
გელოდა ჩემი მოხუცი დედა  
გაყინულ სახლში.  
და წამში განვლეს  
წლებმა, მე ვხედავ...

და არაერთგზის  
უცდია ეშმას,  
რომ გაეტახა ერთობა სულთა  
ჩვენთა, მაგრამ რად სიკვდილს ვებრძოდი,  
შენ ჩემი მხსნელი  
იყავი მუდამ...

ვერ მივალწიე  
ალბათ ყველაფერს,  
ცხიე-კოშკები ვერ აგიშენე,  
მაგრამ ამდენი წლის შემდეგ გვედრი:

„გინდა მანამო შენ ასი წელი,  
გინდ მომკლა — მაინც ჩემი ხარ, თორემ  
სხვა არვინ მყავს და არც არვის ველი,  
ღმერთო, გვიხსენ და ნუ დაგვამორებ!“



## მზე ძალას კარგავს შენი წასვლისას...

მზე ძალას კარგავს  
შენი წასვლისას,  
ჩამწკრივებულან ღრუბლები ბნელი  
და მოსკოვის ცაას ფარავენ, თანაც  
სხივს განთიადის თელავენ ფრენით...

ვართ ვით მორჩილი ვიწრო სენაკში,  
მონატრებაა ცხოვრება ჩემთვის,  
როცა შინა ხარ, როცა ფუსფუსებ —  
დგას გაზაფხული, ყვავილებს ერთვის!

მაგრამ შენ შინაც დაუდგრომელი  
სულ მუდამ ცდილობ სტუმრად გაქცევას,  
ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება  
მეც მომაქციო შენ ყურადღება!

შენი პორტრეტის წინ ვარ, აზრები  
ხან აფრინდება, ხან დაბლა ცმუკავს —  
როგორც უხილავ საქანელაზე  
წინა და უკან, წინა და უკან.

და მაგონდება ბებერი ბალი,  
ყლორტები, დენა ცოცხალი წყლისა,  
ჩვენი შვილები — გია და კახა  
თითქოს იმ ბაღმა რომ გამოისხა.

## **მზეთუნახავო! ჩემი ხარ მუღამ!**

მზეთუნახავო!  
ჩემი ხარ მუღამ!  
ღმერთმა იმისთვის შეგქმნა ამქვეყნად,  
რომ მხოლოდ მე და მე მეკუთვნოდე,  
რომ მიყვარდე და გაგიხდე მე ყმად...

ოღონდ ინებე — მზად ვარ, რომ მოვკვდე,  
არ მეშინია საფრთხის, გახსოვდეს,  
რომ მონად ყოფნას ბრმა ბედისწერის  
მტერს არ ვუსურვებ მე არასოდეს.

აი, ამიტომ პირდაპირ გეტყვი:  
თუ არ იქნები ჩემი არც არსად,  
ამქვეყანაზე მაშ რალა მინდა!  
მოვკვდები, ნავალ ჯერ ახალგაზრდა...

## ისევ მარტო ვარ, ჩემო ძვირფასო!

ისევ მარტო ვარ, ჩემო ძვირფასო,  
სუფთა, მაძლარი უფლის ნყალობით  
და ყურადღებას არ ვაქცევ იმათ,  
ვისაც ეს ახლა ჩემგან ჭირდება,

მაგრამ შენზე და შვილებზე ვფიქრობ,  
დრო ნვეთ-ნვეთობით მიიპარება  
და მარტოობის ტვირთი მაშინებს,  
ძალიან მიჭირს მისი ტარება.

მაგინე, კარგო, რაც შეგიძლია,  
მლანძღე, ოღონდაც იყავ ჩემ გვერდით,  
თუ გაიღიმებ, შენი სიცილი  
დიდი ჯილდოა, არც მინდა მეტი...

მე წმინდა მამებს ჩამოვთვლი, ღია,  
რომ მაგ სულს ჩავწვდე მე საარაკოს,  
რათა გავიგო — ვინა ხარ, რა ხარ,  
და რა სიტყვებით გელაპარაკო...

## ლია

იდეალური დედა ხარ, ლია,  
ნათესავთათვის ლეგენდად თქმული,  
მეგობრობისას, დობის, ძმობისას  
სასიხარულო გრძნობით ძგერს გული...

სიყვარული და სითბო ხარ, ლია,  
მოთმინება და მზე და ნათელი  
და თანაგრძნობა — გულით მდიდარი,  
გულუხვი, როგორც არის ზაფხული...

სანამ შენა ხარ, ამ სამყაროში  
დე, ნუ დაშრება სიკეთის წყარო!  
ან და მარადის შენი ერთგული  
ვარ — შენზე მეტად ვინ შევიყვარო...

## ჩვენი „მოუნყინარი ბალი“

მიგაცილებდი  
ქარის სტვენაში,  
მოსკოვური ღრუბლების ქვეშ,  
ასე ძლიერ  
რომ შეგვიყვარდა...  
და შვება იყო  
დამატყვევებელ მაგ სიტყვების  
შენგან მოსმენა...

მახსოვს, როდესაც  
უნებლიედ მე დავიბენი  
და შენს თვალებში  
მოვინდომე, რომ ჩამეხედა —  
რას მალავ შენ იქ,  
გულის სიღრმეში  
შენ რა გაქვს, ნეტავ?  
სამოთხე მელის?  
თუ ჯოჯოხეთში დანვას გავზედავ?

მას შემდეგ ბევრჯერ  
შენ, ჩემო ღია,  
მე დილაობით  
შენ გაგიბოდი...  
ჩემი ცოდვაა —  
დამამშვიდებელ სიტყვებს შენთვის ვერ ვპოულობდი,  
ჩემი ცოდვაა —  
ვიყავ ზოგჯერ უყურადღებო...

---

„მოუნყინარი ბალი“ — ტყე-პარკი მოსკოვში, რომელიც ეკერის გორკის სახელობის პარკს და ვორობიოვის გორაკებს.

ყინვა ტყვრებოდა  
და მას შემდეგ, ჩემო ძვირფასო,  
უშენოდ ყოფნა  
მეჩვენება მარად ზამთარად.  
სულში ავდარი ჩამიდგება,  
თუ არ ხარ ჩემთან,  
სულში ქარბუქი დაგრიანებს,  
როს არ ხარ ჩემთან...

მაისი თვეა ვარდობისა  
და ჩრდილოეთშიც  
მოდის ხოლმე და  
მზემ გააღო სხივებით კარი...  
ამაოდ ვცდილობ,  
რომ დავუსხლტე მე მარტოობას,  
დავხეტილობ  
ჩვენს „მოუნყინარ ბაღში“ მარტოდა  
უშენოდ მყოფი  
ვგრძნობ, ობოლი და  
ავადმყოფი თურმე ვყოფილვარ  
და გაქურდული  
და მზეს ნისლი აეფარება,  
როცა ვერ გხედავ...

მე ვერ ვიცოცხლებ,  
თუ არ მესმის ეგ ტკბილი მღერა,  
საუკეთესო მომღერლებიც  
ვერ მახარებენ  
და მომგვრიან ხოლმე დარდებს,  
რაც არ უნდა იმღერონ და

მხოლოდ მე ვიცი,  
გული შენი გატეხილია.  
ვიყავი მარტო,  
გაზაფხული როცა მოვიდა  
და მწვანე კაბით  
შენ ჩვენს ბაღში შემოიხედე,  
ვიყავი მარტო  
და შენც მარტო იყავი მაშინ...

ვერ მოგანვდინე  
ვერც სტრიქონი იმ ლექსებისა,  
მწუხარე რომ ვწერდი იქავე  
ალარ მახარებს  
მზის ნათება  
და ჩვენი ბაღი  
დარდს ვერ მიქარებს...

ძვირფასო ჩემო,  
შენს ჩამოსვლამდე  
ჩემს გულში დარდმა  
დაიდო ბუდე...  
ჩრდილივით ვბობლავ  
გაზაფხულის ყვავილებს შორის,  
ქნარის სიმები  
ჩუმია და დარდისგან მრუდე...

## **ამ ცხოვრებას ვერაფერი გავუგე**

ამ ცხოვრებას ვერაფერი გავუგე...  
და იქ, სადაც სიკეთის მარცვლებს უხვად ვთესავდი,  
თავთავები შურისა მოვიმკე და აუგი...

## განთიადი

განთიადია და ცისკრის შუქით  
ლამე იმსხვრევა მდუმარე, მუქი...  
და გადმოგვეყურებს უზენაესი  
მძინარ მოკვდავებს მალალი ზეცით.

და ვერც წმინდანი და ვერც ცოდვილი  
მას ვერ ასცდება, უფალო, გმადლობთ  
ახალი დღისთვის, ამ ნათელ დილით  
უმადურობა არ მსურს მოგაგოთ.

ახალი დღეა ბედნიერება,  
თუმც მძიმე ხვედრად ზურგსუკან გვესმის  
ცბიერთა ქშენა, ჩვენ რომ გვერევა,  
ცხოვრებას — ბრძოლას ნავუვალთ ვერსით.

და მხოლოდ ერთი ჩვენ გვაქვს ნუგეში —  
თვალეზს გავახელთ დილის უბეში  
„და ყველაფერი ნესრიგში არის“  
თავს ვეტყვი... ჩემო ახლობლებო და  
შვილიშვილები, შვილები, ძმებო,  
თქვენ გვეედრებით, სიყვარულს, ძმობას  
შეეგებეთ და სხვა არრა ძებნოთ...  
გამოცდილება და სიჭაბუკე  
დაე, შეერწყას ერთმანეთს უკვე...  
თავს ნუ დაზოგავთ, როს ვნება გვხარჯავს,  
შეუმსუბუქოთ ერთმანეთს ტანჯვა...



### აი, ამ ქალის სიმღერა მეფობს...

მზეთუნახავი, წარმოსადეგი,  
წელი წვრილი და ყელი ყარყარა  
და კულულები, ყვავის ფრთის ფერი  
თოვლივით თეთრ კანს გადაეყარა.

და როგორც ალი, მან მზერა მტყორცნა,  
ჩემს წინ ჩავლილმა შემხედა როცა.

ღვთაებრივია ო, მისი მკერდი,  
გშურდეთ! — ის ფრენით სულ არ იღლება,  
ქალური, ნაზი და მშვენიერი  
აი, ამ ქალის მეფობს სიმღერა...

1992 წლის 17 ნოემბერს მეტრო „დიდუბის“ სადგურთან გაძარცვეს და მოკლეს მხატვარი ანდრო თოიძე, ჩემი თანაკლასელი. ჩემი ვაჟი კახა 1995 წელს დაქორწინდა ანდრო თოიძის ქალიშვილზე თეონაზე და ახლა მე და ანდროს საერთო შვილიშვილი გვყავს, სახელად ნიკოლაი.

### წუხელ დიდუბეში მხატვარი მოკლეს

ის დაიბადა ორბელიანთა უბანში,  
ახლოს სანაპიროსი.  
თავის ცხოვრება მიუძღვნა მხოლოდ  
ფერწერასა და მხოლოდ მხატვრობას...  
ალმა და დაღმა იარებოდა  
მშობელ თბილისში თავის მოღბერტით  
და ადიდებდა ფერების ენით  
მის ძველ კუთხეებს,  
ბაღს ბოტანიკურს  
და მის ბუნებას ათასფეროვანს...  
ჩააწნა თავის ჩანახატებში  
თბილისელების თაობა ყველა,  
ტაძრები, სახლნი აივნიანნი,  
მერე ზეცაში ავიდა ნელა.

## მნარე სიყვარული

რომ დავიჯერე ეგ სიყვარული,  
ნუთუ მე შევცდი, ო, შევცდი მნარედ?  
რომ ის არსებობს ამქვეყანაზე.  
ვინ გამოჩნდება და შემიყვარებს?

ო, ამ ცხოვრების უსამართლობას  
ბევრი სურვილი ჩვენი შეერთვის,  
მე ვენაფები ცხოვრების ბაგით,  
შენ რომ ქალღმერთი იყავი ჩემთვის!

მხოლოდ სევდა და ნალველი დამრჩა,  
ვარ უიმედოდ შეყვარებული.  
გრძნობა, აზრები მე მანამებენ  
და მმართავს დარდი დაგუბებული...

რა უმადური ხარ შენ ქმნილება!  
და მიმატოვე მე რა იოლად,  
გამცვალე ტაკიმასხარაზე და  
გაქროლდი შორს, შორს.. და მე მციოდა....

დროს არად ვაგდებ და ამ პატარა  
სამყაროს მეფე აღარას ვნატრობ,  
ეს გული ღელვით არ არის სავსე,  
ვნებადამცხრალი ვცხოვრობ, ვარ მარტო..

## გავიდნენ წლები და სიჭაბუკე...

გავიდნენ წლები და სიჭაბუკე  
გავიდა ჩემი, ახალგაზრდობა  
თოვლის ქალარამ დაფარა ახლა,  
გაქრა ვარდობა.

და მიკაკუნებს მოულოდნელი,  
ჩამომხმობელი სიბერე კარზე.  
კარს ვაღებ მე და თან ვიღიმები,  
პატივისცემა მე ხმას მინათებს:

„მითხარი, ასე რად გეჩქარება?“ —  
შეკითხვას დავსვამ ო, ბედისწერავ  
სიბერევე ჩემო, მე ხომ ცხოვრების  
გემო არ ვიცი ჯერ და ვგრძნობ ვერრას...

ო, რამდენია ამქვეყანაზე  
განწირული და მზადაც არიან,  
რათა შენ შეგხვდნენ გახარებული,  
რალა მე მომდექ, შენთვის მცალია?

მე ხომ გითხარი, არ მიცხოვრია  
ჯერ საკმარისად და ჯერ მაცალე  
და სიყვარულის იდუმალემა,  
ცრემლების სიტკბო რად შემიცვალე.

და ქარიშხლებშიც არ გამოცდილა  
ეს სული, თუმც არ ტყუის მცინარი,  
რომ ამირჩიე მოხუცი, აბა  
მობრძანდი — უკვე მოჩანს ფინალი...

და გულახდილად ვილაპარაკოთ —  
სამართლიანად ჩვენ ვინ განგვაგოს?

**ო, საქართველოვ! სამშობლოვ ჩემო!**

ო, საქართველოვ!  
სამშობლოვ ჩემო!  
ყოველ განთიადს  
ვხვდები გულში ბედნიერებით,  
ელვრება მზე და  
თბილი სხივები  
საძოვრებს და  
მთების მწვერვალებს...  
ბრწყინავენ  
ნამის მარგალიტები  
და ხევებიდან  
ამოცოცდება ციმციმა ნისლი.  
ლაჟვარდოვანი ზეცა მიყურებს...  
და ღამით კი  
კეკლუცი მთვარე  
ნაზი მზერით მე დამატყვევებს...  
მონადირეებს უყვართ შესვლა  
ულრან ტყეებში  
და ჩანჩქერები  
შხეფებს აფრქვევენ,  
ბროლის ნყაროებს,  
ველები უყვართ,  
მე თქვენ მაცოცხლებთ,  
თქვენ ხართ ჩემი ბედნიერება  
და სიხარული!  
მოგესალმები, სამშობლოვ ჩემო,  
სიყვარულო შენ ერთადერთო!  
ო, ღმერთო,  
ეს რა სილამაზეა —  
ღვთაებრივი განთიადი  
დედამინას ეამბორება...

## საქართველოა მხოლოდ ლამაზი და ახალგაზრდა

ამ სამყაროში ყველაფერი მუდამ ძველდება,  
საქართველოა მხოლოდ ლამაზი და ახალგაზრდა...  
ო, მეგობრებო არასოდეს არ მობერდება,  
თუმცა საფეთქლებზე შეგამჩნიე ჭალარის გაზრდა.

და საათები ანგარიშებს გაგვისწორებენ...  
ჩვენ რა, გინდ მუხლებს ათრთოლებდეს ახლა ცხოვრება!  
განვლილ ცხოვრებას სიხარულით ჩვენ მოვიგონებთ,  
იმას, რაც არსად, არასოდეს განმეორდება...

## წეროთა მწკრივად გაფრინდნენ წლები...

წეროთა მწკრივად გაფრინდნენ წლები  
და ზაფხულს გაჰყვა ახალგაზრდობა...  
და შემოდგომის ქარმა დაქროლა  
ცივად, ქალარით თმები დათოვა.

და ნაოჭებმა დაღარა სახე,  
მარჯვენა სუსტობს, მუხლი — ცახცახებს...  
სიბერევე, ჟღერას შენ ვერ ჩაახშობ  
გიტარების და დაირების,  
რომელიც ვნახე.

ღმერთმა მიბოძა მიღწევა მიზნის,  
კარგ ვაჟთა აღზრდა, გზაზე დადგომა  
საყვარელ ცოლთან ერთად სიხარულს,  
ბედნიერებას მე მოვესწარი.

ღმერთო, კერიას შენ ნუ ჩამიქრობ,  
მეგობრობას და ერთობას გვედრი.  
დე, სიყვარულმა იმეფოს მარად,  
ახდეს ოცნება — არ მინდა მეტი!

## სად არის გაზაფხული?

რა ვქნა, სად არის გამოსავალი?  
ან ვის მივინდო? შევკუმშე მუშტი...  
ანდა რა მიზნით?  
სუფთა მინდორში მისდევს ფიფქს წვიმა  
ფრენით და ფრენით  
და არაფერი, სხვა — არაფერი...

## მე ვერ ვიმღერე, როგორც მინდოდა...

მე ვერ ვიმღერე, როგორც მინდოდა,  
მაგრამ ღრუბელი აღვმართე დროშად,  
სულში აღვბეჭდე მე ყველა ხატი,  
ღვთის წყალობად და ტრფიალად რომ ჩანს...

ამოვიკანრე ზედ გულზე ჯვარი,  
საფრთხეს დავუსხლტი უამრავს რიხით,  
მე გავასწორე ანგარიშები,  
მაგრამ შენს ვალს კი ვერ გადავიხდი...

და როგორც დროშას, ღრუბელს ვწვდი თვალით...  
მე შენი მუდამ მექნება ვალი...



## ქალა მომეცი, ღმერთო...

ნუთითაც არ შეწყვეტილა —  
წვიმა მოდის და მოდის.  
სიცივით ძვლები მეტკინა,  
ქარი ჩადგება როდის?

სიცივემ გული მომიკლა,  
დაასამარა გული...  
ზეცამ ღრუბლები მოიკრა  
და არის გაყინული...

ო, ღმერთო, როგორ მარტო ვარ,  
ღმერთო, მომეცი ძალა,  
რომ ავმა ბედმა დამტოვოს,  
სიჩუმე გამეცალოს...

თუმც სულში შუქი იმედის  
დგება, ვარ მწყობრში რადგან  
და გამარჯვების სხივები  
ამ ჩემს ღამეში ჩადგა.

## **ლომის ნიშნის ქვეშ დავბადებულვარ მე — განთიადზე დაბადებული...**

ლომის ნიშნის ქვეშ დავბადებულვარ  
მე — განთიადზე დაბადებული  
სხივებით მოსილ თბილის-ქალაქში...  
მღვდლებმა წყვდიადში განთიადისა  
იქ აღავლინეს ლოცვის სიტყვები  
ცისარტყელებებ, მწვერვალად მაშინ....

ისინი იდგნენ მუხლებზე ერთად  
ცოდვილ მინაზე დაჩოქილები.  
შავად მოსილი მოჩანდა იქვე  
ქართველი მღვდელი ჯვართ, საამო  
ოქროსფერები დაჰკრავდა სამოსს.

და ტერ-სომეხი მღვდელიც იქ იყო  
და კათოლიკე პატერიც — იქვე...  
ირგვლივ მეფობდა ჰაერში შიში,  
აღბეჭდილიყო მოძრაობებში,  
სახლებში, თვალში და სახეებზე...

რომლის ნებითაც და ბრძანებითაც,  
მამოძრავებელ ძალით მახვილით  
იმ ჟამს, როდესაც მე დავიბადე,  
მტკვართან მუეძინს მოსწყდა ძახილი...

**ყველაფერზე უარს ვიტყვი,  
რასაც სული ვერ აღიქვამს...**

მე მეთავეჯერ გაგიმეორებ —  
გაიგოს ყველამ, გაიგოს ყველამ,  
რასაც არასდროს მიიღებს სული  
და რასაც განჯის ეს ჩემი გული,  
მე უარს ვიტყვი იმ ყველაფერზე  
წუნუნისა და კვნესის გარეშე.  
როგორც რაინდი, მუდამ ვხვდებოდი  
და ვხვდები კოცონს ტანჯვა-ნამების.  
ზეცა კი მარად  
მიფარავდა და  
მონყალე ღმერთიც....  
რადგან თუ ვთესდი განხეთქილებას,  
მცირე არ მქონდა მე მოსავალი  
სიყვარულისა, რწმენის და ძმობის.  
აი, ამ ჩემი ნათესისათვის  
შემინდე ჩემი ცოდვა მრავალი  
ო, ღმერთო ჩემო,  
ო, ღმერთო ჩემო,  
ო, ღმერთო ჩემო...

## დამხრჩვალს არასდროს ასცდება

დამხრჩვალს შეხვედრა არროს ასცდება  
უფალთან, მარად დიდ შემოქმედთან.  
მაშ, გავუფრთხილდეთ ერთი-მეორეს  
აღსასრულის წინ და შემწედ ვექმნათ!

არვინ ვიცით, ვის რა მოგველის,  
ცრემლი დაიქცეს გინდაც მრავალი,  
წასულებს უკან ვერ დააბრუნებ,  
გამოიზოგე შენ მომავალი...

სიყვარულით და ზრუნვით გავითბოთ  
მაშ მომავალი ჩვენი დღეები,  
და ჩვენ რაც უფრო გვეძვირფასება,  
უფრო მოკლეა სიცოცხლეები...

**ვინ თქვა რომ ჩვენი გზა არის გრძელი...**

*ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს  
ნიკოლოზს, დიმიტრის, ანა-მარიას*

ვინ თქვა, რომ ჩვენი გზა არის გრძელი?  
ის მხოლოდ ერთი ბენჯის ხიდია  
და ჩვენი ხვედრი მასზე ჰკიდია...  
გადაჭრი — მორჩა... ვერ გაუძელი...

დღეები გარბის, როგორც კინოში  
და სიყვარულის შენ იცი დარი.  
ჩემი შუქი ხარ. ჩავექრი ჩვენ ორში,  
ვით ყვავი, აქ ვარ წელი ორასი...

და გული მქონდა — სტამბოლის კაჟი  
და ბაიათებს ვმღეროდი ერთხანს —  
ქალები, ზურნა, ღვინო და ტაში...  
სიბერემ ყველა სარკე გატეხა...

და არასოდეს მე არ მიჭირდა,  
ტურფა ფერიას გვერდით დავკარგე  
მე ანგარიში, გულით, ნიჭით და  
სიამაყითაც ვიყავი კარგად...

ახლა დაღლილმა მოვხარე ქედი...  
ვინ თქვა, რომ ჩვენი გზა არის გრძელი?  
ის მხოლოდ ერთი ბენჯის ხიდია...

*მოსკოვი, 1991*  
*საქართველოს პარლამენტმა მიიღო*  
*დამოუკიდებლობის დეკლარაცია.*

## **ასრულდა, რაც კი გვესიზმრებოდა**

*ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს!*

ასრულდა, რაც კი გვესიზმრებოდა,  
საუკუნობით რაც ვიოცნებეთ,  
თავისუფლების დროშა ფრიალებს  
დღეს ამ ზეცაში ო, მენამული.

სუნქვაშეკრულნი თავისუფლების  
სასუფეველში შევედით მტკნარი,  
რომ არც გვჯეროდა, ასობით წელი  
გელოდით და შენ გაგვიღე კარი.

თავისუფლებაჲ! დასცხე, მუსიკავ  
და გამოაღეთ ფანჯარა ყველა,  
ლენეთ კარები ციხე-კოშკების,  
თავისუფლება შეუშვით — შველა!

ერთურთს ვეხვევით — ჩვენ ავაშენებთ  
ჩვენს ახალ ტაძარს, საოცარ ყოფას,  
მტერს ჩვენ შევხვდებით ბასრი მახვილით,  
მეგობარს — სავსე ფიალით — მოყვრად.

ზღვარი სადა აქვს ბედნიერებას  
ტრფიალის, რწმენის, იმედის მიწავ?!  
ღვთისმშობლის წილხვედრ ხარ საქართველოვ,  
ღმერთო, დალოცე ივერნი იმ წამს...

### ნახვედი...

ნახვედი...

რატომ?

მიუწვდომელო...

რატომ?

შენ ხომ მე არც კი მირეკავ...

ფიქრები გტანჯავს?

ო, ვიცი, ვიცი...

ყველაფერს სძლევ შენ და გაიმარჯვებ!

ო, ღმერთო

ნუთუ შენ გენატრები?

როგორ ხარ?

შვიდი ზღვის გაღმა ახლა

შენ რას გაიგებ, მე რა მადარდებს...

დარეკე!

გელი.

დაბრუნდი

ჩქარა!

## შექსპირის 33-ე სონეტის მოტივებზე

*16 აგვისტო, 2000 წ. მოსკოვი  
ჩემო ძვირფასო ვია! დაბადების დღეს გილოცავ!  
გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს,  
ცხოვრებაში გამარჯვებებს!*

ნუთუ ვერა გრძნობ, რომ დღითიდღე შენი ცხოვრება მარადისობას, ვით ნაცარი ჩაჰბარებია, მწუხარ ქელეხთა, სულის განძთა შორის ცხონება შენს ნუთისოფელს ტყუილად გაჰკარებია?

მაშ, მიანიჭე მაგ შენს რჩეულს ბედნიერება ქორწინებისა, დედობისა, რადგან მრავალი გოგო ოცნებებს მაგ შენ ბედთან შერთვას, შერევას, ბედნიერებას და ერთობას ირგვლივ მავალი.

მაშ, გადაწყვიტე! ბუნებას წინ ნუ აღუდგები, კეთილშობილი, ნათელია შენი გონება. აყვავებული მაისია — ის გეუბნება და უნაყოფო ზამთრის არ სურს მას გოგონება.

შენ ხარ მშობლების სარკე... წლები... წარსული... არა!  
შენ ახლაც ხარ და კვლავ იქნები მარად და მარად!



## კატასტროფის წინათბრძნობა

შვილო, ნეტავ კი იცოდე ახლა,  
თუ რა ძალიან შენ მენატრები,  
მთებს დასძლევედი და მოქროლდებოდი,  
გაგეშლებოდა ერთ წამში ფრთები...

ნუთუ დაგაკელ ალერსი, ზრუნვა,  
ნუთუ ვიძუნნე, შვილო სადა ხარ?  
სად განმეშორე, რად მიმატოვე  
უცხო მხარეში სადა ხარ ახლა?

ეს მწუხარება და ეს აზრები  
როგორ ანელებს დღეთა დინებას,  
ცხოვრება რთული ამოცანაა,  
პასუხს ვერ ვპოვებ, მან რა ინება.

შენ მერიდები, მიდიხარ ჩემგან...  
რაო, არა ვართ ჩვენ ერთად კარგად?  
რომ დარდი მწარე გაგიზიარო,  
მესმის, ძნელია და მე შენ გკარგავ.

მესმის, რომ არ ვარ იმისი ღირსი  
ეგ აღსარება ვისმინო ოდეს.  
რა განუხებს და ან რა განვალებს  
მე ვერ გავიგებ ველარასოდეს.

როგორც შენ გინდა. მე — მამაშენი  
შენთან ვერ ვიყოფ უბედურებას.  
დედაშენმა კი რა დაგიშავა?  
რად არ პასუხობ, რად ემდურები?

მაინც ჩუმად ხარ... მღელვარებისგან  
ველარ პოულობს ადგილსაც დედა,  
ნულარ ანამებ, ტანჯვა გაუქრე,  
სიტყვას ნუგეშის ეტყოდე ნეტავ...

მე სიძნელეთა წყვდიადი ვძლიე,  
ასობით ციხე-კოშკში შევედი  
და დამრჩა მხოლოდ ერთი სიმაგრე  
ო, მაგ შენს გულში აუღებელი...

## ნათილო ჩემო, შვილო...

ნლები მიქრიან ულმობელი —  
ვერ დაენევი.  
აჰა, სიბერემ ამ ჩემს ზღურბლზეც  
გადმოაბიჯა.  
გავჭალარავდი, რა ვენათ, დროს უკან  
ვერ დავაბრუნებთ,  
აზრებთან ბრძოლით დავიღალე,  
თავს არ ვგრძნობ ბიჭად...  
სუნთქვა მეკვრის და რა ვენა, როცა  
ძალა არ არის,  
რომ მე — მოხუცი შეგეჯიბრო  
ჩემი ქალარით...  
არა გვჭირდება ჩვენ ლამაზი სიტყვები,  
შვილო...  
ნუგეშიც შენ ხარ, სიხარულიც  
შუქად გაშლილო...

### ნუ მიმატოვებ...

არც მიფიქრია, ნახვილოდი შენ ასე შორად  
და ვერ გნახავდი წლობით დიდხანს, ძალიან დიდხანს.  
მომენატრები.. ღმერთო ჩემო, ო, რა მარტო ვარ,  
ვერ ვეგუები განშორებას — შენ ვის გვერდით ხარ?

ნათელო ჩემო, მოდი ჩემთან, ჩემო იმედო  
და ნუ დამტოვებ ტყვედ ამ მუნჯი ზამთრის ამარა.  
გავიყინები უშენოდ და არ მინდა მეტი,  
ოღონდაც ერთად ვუყურებდეთ ზეცის კამარას.

გახსოვდეს, რომ ეს განშორება კარგს არას ნიშნავს,  
სანამ ცოცხალი ვარ, ერთად ყოფნა მუდამ გვჭირდება  
ვინც ფიქრობს, ძველი მეგობარი დატოვოს, იმ ჟამს  
გონება მისი ნისლს, ტყუილს ვერ შეეჭიდება.

## ჩამოღი და გამასარე!

ჩემო კარგო! შენ წახვედი  
და მირეკავ აღარც,  
ნუთუ შენთვის სულიერთია  
როგორა ვარ ახლა?

ჩვენ რომ ერთად გაგატარეთ,  
ნუთუ გაქრა წლები?  
ვით ქვიშაში წყალი გაქრა  
ის მოგონებები?

ნუთუ შენთვის არასოდეს  
მიჩუქნია სიტბო?  
მაგ ალერსით გამთბარი კი  
ფერფლი დამრჩა თითქოს...

მარტოხელას ღამ-ღამობით  
ცარიელი, ჩუმი  
მხვდება სახლი — რომ დატოვე —  
ბნელი, მოლუმული.

არ იდარდო, მე კარგად ვარ...  
რა ვქნა, რა დავარქვა  
ასეთ ყოფნას აუტანელს,  
ჩვენ თუ ერთად არ ვართ.

არ იდარდო. რაც მოხდება  
პასუხს ვაგებთ შემდეგ.  
ჩამოდი და გამახარე!  
და ახალ წელს შევხვდეთ!

ცივ გაზაფხულს მე ვაჩუქებ  
ჩემს დარდსა და სევდას.  
მე ქარისგან დაგიცავ და  
არ დაგტოვებ მეტად.

## მონატრება

დამიჯერე, ჩემო კარგო —  
მომენატრე ძლიერ  
და დეკემბრის ძლიერ ყინვას  
მარტომ მე ვერ ვძლიე...

არა მნატრობ? მომანვდინე  
ცნობა გასახარი...  
აქ გუშაგად დამაყენე  
უიმედო, მტკნარი...

მამაშენის სევდა-დარდი  
ვერ იგრძენი ვერსით?  
ერთი თბილი სიტყვა მაინც  
მოგენვდინა ჩემთვის.

დამაყენე გუშაგად და  
კარს ჩავკეტავ მდუმარს.  
მარტოობით დალდასმული  
მე მოვკვდები ჩუმად.

რომ გცოდნოდა, განშორებას  
ჯოჯოხეთი მიჯობს,  
ასე არ მიმატოვებდი  
უდარდელად, ბიჭო!

დამიბრუნდი! დამიბრუნდი!  
რომ მხარზე მოგეყრდნო!  
რომ დეკემბრის ყიამათში  
ჩემი შუქი გეყოს...

## სიკვდილი სჯობს განშორებას

სიკვდილი სჯობს განშორებას,  
შენ ეს იცი ჩემზე უკეთ.  
რომ სიყვარულს გავუფრთხილდეთ,  
ეს სიტყვები ითქმის უკვე?

მიჩუმდები ყურმილში და  
მებუტები წარამარა...  
ნუთუ ჩემი არა გჯერა,  
ჩემს სიყვარულს აგდებ არად?

უსაზღვროა შენზე ზრუნვა,  
ეს სიცოცხლე შენ გაჩუქე.  
სიკვდილი სჯობს განშორებას,  
შენ ეს იცი ჩემზე უკეთ.



## სჯობს, გაუსწორო სიმართლეს თვალი...

შენ გაგანამა ათასმა იჭვმა  
და მებრალები,  
ოღონდ არ ვიცი  
უნდა ვეძებო ამის მიზეზი?  
სჯობს, გაუსწორო  
სიმართლეს თვალი —  
როგორც კაცურ კაცს შეშვენის მხოლოდ.  
და სად ვეძებოთ  
ჩვენ გამართლება  
სურვილთა ჩვენთა და ჭირთა ჩვენთა?  
მე ერთი რამე მადარდებს მხოლოდ —  
ვერ ხედავ ჩემში საყრდენს, მეგობარს.  
ნუთუ გგონია,  
რომ მე ვარ მართლა  
ასეთი გულქვა, ასეთი ცივი...  
და შენი გულის ხმა მე არ მესმის?  
ეგ არ იფიქრო...  
სამყარო არის უსიხარულო,  
რადგან ვერ ხედავ  
შენ ჩემში ახლა  
ვერც საყრდენს, ვერც ძმას და ვერც მეგობარს...  
შვილო ნუ ეძებ შენ გამართლებას  
შენთა სურვილთა და ჭირთა შენთა...  
ვიცი, რომ მთელი მაგ შენი გულით  
მშობლიურ კერის მოესწრაფები,  
შენ გენატრება შენი დედ-მამა  
და მშობლიური ეს ჩვენი სახლი...

დანყნარდი, იჭვი განდევნე შენგან  
და ნუ დაეძებ სხვადასხვა მიზეზს.  
დედა და მამა შენ გაგიგებენ  
მუდამ, ყოველთვის.  
დაე, ბნელოდეს სულში, ავდარი  
დაე, იყოს და შენ ხომ ხარ ახლა  
სადაც ჭირდები.  
შენ ხომ ყოველთვის ცხოვრობდი ასე...  
დანყნარდი...  
ჩვენ არ ვეცდებით, რომ „გამოგასწოროთ“,  
ამ ცხოვრებაში  
შენ უკეთესი ხვედრი გეკუთვნის.

**პასუხს ვეძებდით — თუ რაშია  
ცხოვრების აზრი?**

მას შემდეგ, რაც შენ წახვედი ჩვენგან  
შვილო, შენ, ჩემო გია, ტვირთია  
აუტანელი ჩემი ცხოვრება...  
და ხსოვნა ხატავს მუდამ, ყოველთვის  
ლამეს, თოვლი რომ ძლივს დაიტია....  
პასუხს ვეძებდით, თუ რაშია ცხოვრების აზრი?  
კამათით, რწმენით, ურწმუნოებით  
დაუვინყარი იმლამინდელი საუბარი  
მე ძალას მმატებს, რომ ავიტანო დანაკარგი  
და შევურიგდე იმას, რომ ქვეყნად  
შენი კერია ჩამქრალა... კვლავ ცოცხლობს ხსოვნა  
იმ თოვლიანი ღამისა და არაფრის მეტი  
და გულს ანამებს მტანჯველი სენი,  
ტანჯვა გააპობს ქვასაც, ვით წვეთი.

საქმე აღარ მაქვს ამ ქვეყნად ვიდრე  
ჩემი ხვედრია, ზღვარს გადავიდე.

\* \* \*

წვიმა მოდის, მოდის... მოდის,  
წვიმა ცასა ცრის,  
სატანჯველი სიცივეა,  
ქარი ხეებს ხრის,  
გაყინული არემარე,  
ჩაესვენა მზე,  
ცას ღრუბელი დაჰფლობია,  
არსადა სჩანს მზე.  
მარტოდა სჩანს მზე.  
მარტოდა ვარ, რა ვქნა?  
ღმერთო,  
მომეც ძალა მხნე,  
შევებრძოლო სიმატოვეს,  
სიჩუმეს და ბედს.  
მთავარია გულით მხნე ვარ,  
არ დავეცი, არ გამთელა სვემ,  
ღმერთო, ღმერთო, მომეც ძალა,  
შევებრძოლო ბნელს.

მოსკოვი, 4 დეკემბერი, 1996წ.

\* \* \*

ლაღად გაზრდილო – ლამაზო ქალო!  
იად მოსულო ამ ქვეყანაზე,  
ანდაზად თქმულო  
ნაზო ასულო,  
ამაღლებულო ჩემსა ფიქრებში,  
იქნებ მომხედო და დამაპურო...  
აღბათ ჩემს გულში გსურს ჩაიხედო  
შენებრ ამაყი დიდებულ მზერით,  
ვით თვით ქაღღმერთო, ჩემო ასულო,  
იად მოსულო,  
ლაღად ასულო,  
იის ასულო... იის ასულო.

\* \* \*

რა ვაკეთო? რის იმედად  
და რა განწყობით?  
გარეთ ცივა, წვიმა მოდის  
ქარი ნავარდობს.

მოსკოვი, 4 დეკემბერი. 1996 წ.

\* \* \*

**ბამარჯოზა**, მეგობრებო! ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენო უახლოესო სულიერო ნათესავებო, გია (გიორგი) ფოცხვერიას მეგობრებო და ნათლულებო. დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის, რომ პატივი ეცით გიას ხსოვნას... აი, უკვე შვიდი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ არის, მაგრამ თქვენმა შეკრებამ და ჩვენი ოჯახის ტრაგედიის თანაგრძნობამ, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ის ჩვენს გვერდითაა, რომ მის წმინდა სულს ერთი დღითაც არ მივუტოვებოვართ, და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენზე ლოცულობს... გია ჩვენთან დაბრუნდა თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით — პროზით, პოეზიით — და კიდევ ერთხელ ჩაგვახედა თავის სამყაროში, იმაში, თუ რა აღელვებდა, რისთვის ან ვისთვის იყო მზად თავი შეეწირა...

განვლილი შვიდი წლის განმავლობაში თითქმის სამჯერ ვიყავით მისი უახლოესი ადამიანები სიკვდილის ზღვარზე, არაფერს ვამბობ მისი დედის, ლიანას სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. დამერწმუნეთ, რომ გია ჩვენი მხოლოდ შვილი არ იყო. ის ისეთივე გულისხმიერი, ყურადღებიანი მეგობარი იყო ჩვენთვის, როგორც თქვენთვის. მხოლოდ ღმერთმა მოგვცა ჩვენ უნარი და ძალ-ღონე, რომ გამოგვეცა ჩვენი და თქვენი გიას რვა წიგნი (4 ქართული, 3 რუსული და ერთიც ინგლისურენოვანი).

იმის შეგრძნება, რომ მისი წიგნები თქვენთან იქნება, თქვენთან — მის მეგობრებთან, ნათლულებთან — სათუთად მოვლილნი, დიდ სულიერ სიმშვიდეს გვძენს.

გარკვეულწილად სიამაყის გრძნობა გვეუფლება იმის გამო, რომ გიას რუსული გამოცემა მიეძღვნა მის სულიერ მამას, მიტროპოლიტ ანტონს.

ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში, ლონდონში, გიას პანაშვიდზე ვთქვი: „...ალბათ, წმინდა ადამიანის, მეუფე ანტონის სულს დღეს შეუერთდა ჩემი შვილის სულიც, და ისინი ახლა ერთად გვლოცავენ მიწიერებს ზეციდან“...

ამაში ახლა დარწმუნებული ვარ...

კიდევ ერთხელ ვუხდი დიდ მადლობას თითოეულ თქვენგანს...

თქვენი

*ლიანა იაშვილი  
ჯემალ ფოცხვერია*

P.S.

ჩვენი წერილი ნაკითხულ იქნა გიას პარაკლისის გადახდის შემდეგ მისი ლონდონელი მეგობრებისა და ამხანაგების მიერ გამართულ მემორიალურ ლიტერატურულ ვახშამზე, სადაც ნაიკითხეს მისი ლექსები და ჩაატარეს საქველმოქმედო ღონისძიება წიგნების გავრცელების მიზნით.

## თინათინ მღვდლიაშვილი

### სალამი მეგობარო, ხელი გამომინოდე!

ის ჩემი სამყაროს სრულუფლებიანი წევრი და განუყოფელი ნაწილი გახდა.

ეს ცივი ზამთარი მასთან ერთად გავატარე ნისლიან ლონდონში...

ჩვენ ერთად ვთარგმნეთ მისი პოეზია და ავაჟღერეთ პოეტის მშობლიურ ენაზე...

გიორგის ლექსებზე მუშაობის დროს მისი სული ერთი ნამითაც არ მომშორებია... მასთან ერთად ვხარობდი, ვბრაზობდი, მიყვარდა, ვეჭვიანობდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, დავფრინავდი კიდეც... გიორგისთან ერთად მეც დავტიროდი მის უდროოდ დაკარგულ, ძვირფას მეგობრებს, გამუდმებით ვალაგებდი ბარგს და საქართველოში დაბრუნებაზე ვოცნებობდი...

მოკლედ, ჩვენ დავმეგობრდით.

სამწუხაროდ, გიორგი ფოცხვერია მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს... მე კი არასოდეს მიმოგზაურია ინგლისში...

უბრალოდ, ეს იყო მისტიკა.

სწორედ ამ მისტიკურმა მეგობრობამ დამანერინა უკიდურესად გულწრფელი, უშუალო ლექსი — „დახურული წიგნი“, რომელიც გიორგის მივუძღვენი.

ვიმედოვნებ, რომ ეს იდუმალებით მოსილი „დახურული წიგნი“ მალე გადაიშლება ფართო მკითხველის წინაშე და, ღვთის წყალობით, მოწონებას დაიმსახურებს.



## დახურული ნიგნი

*გიორგი ფოცხვერიას*

მორჩა, ყველაფერი მორჩა!  
წარსულს სურნელი აქვს წვიმის...  
არა, საშველი არ მოჩანს,  
შენ ხარ დახურული ნიგნი.

ალბათ, არ უყვარდი, არა!  
რატომ მიგატოვა მაშინ?..  
თითქოს გადაგაგდო ქარმა,  
სადღაც, აბორგებულ ზღვაში.

ხეებს — უსასრულოდ მალღებს,  
არხევს გრიგალი და წვიმა,  
მარტო მთარღვევდი ტალღებს,  
ახლა უსაშველოდ გცივა.

ვიღაც უიმედოდ გიცდის,  
ვიღაც არ აპირებს ღალატს,  
ვიღაც ერთგულია ფიცის,  
მას კი არ უყვარდი, არა!

ლონდონს სურნელი აქვს წვიმის,  
ნისლში ნაპირი არ მოჩანს.  
შენ ხარ დახურული ნიგნი.  
მორჩა, ყველაფერი მორჩა!

*2013 წელი, 1 თებერვალი*

## ლარისა ხვთისიაშვილი

### პია!

მინდა გესაუბრო იმ ორ თვეზე, რომელიც გავატარე შენი ლექსებისა და კინოსცენარების კითხვა-თარგმანსა და შენზე ფიქრში.

შენ გსურს სიყვარულით გიპასუხოს შენთვის სასურველმა პიროვნებამ, მაგრამ სიყვარულის უნარი ხომ ნიჭია და ყველას არ შესწევს მისი ტარება; ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. შენ კი ვერ აგიტანია ის თვალთმაქცური ურთიერთობები, რომელსაც რეალობაში შეეჩეხე. რა სამწუხაროა, რომ ბედმა ისეთ პიროვნებას გადაგყარა ლონდონში, რომელიც შენთვის საბედისწერო აღმოჩნდა. შენი სულიერი სამყარო იმ შემზარავი რეალობის პირისპირ აღმოჩნდა, რომელსაც ყალბი ურთიერთობები ჰქვია. ეს შენთვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა და ამიტომ მუდამ სევდას უტრიალებს შენი ფიქრები.

როდესაც ვკითხულობ შენს წინასწარმეტყველურ, სევდიან ლექსებს, გაოცება და შიში მიპყრობს, მაგრამ ეს ლექსები ხომ იმ დროს იწერებოდა, როდესაც საქართველოში აპოკალიფსის ცხენებმა გადაიქროლეს; როცა შევესწართ საშინელებას: ესროლეს ჩვენთვის სანუკვარ ქაშვეთის ტაძარს, ჩვენი სათაყვანებელი მწერლების ილიასა და აკაკის ძეგლებს და დაგვინგრიეს ჩვენი მშობლიური ქალაქი — თბილისი. რა თქმა უნდა, ამ ვითარებამ შენს ფაქიზ სულიერ სამყაროზე წარუშლელი კვალი დატოვა. შენ ხომ ყოველთვის გულწრფელად წერ იმას, რასაც განიცდი და გტკივა...

შენმა მშობლებმა შენს არქივში ნახეს ინგლისურ და რუსულ ენებზე დანერილი ლექსები, კინოსცენარები და მთხოვეს დავხმარებოდი მათ თარგმანში. ამიტომ გავზე-

დე, ინგლისური ენიდან ბნკარედულ თარგმანს შევეჭიდე და დიდი მონივნებით ვთხოვე ჩემს ახლობლებს, ცნობილ ავტორიტეტულ პოეტებს — თინათინ მღვდლიაშვილს და დალილა ბედიანიძეს დამხმარებოდნენ შენი ლექსების პოეტურ თარგმანში.

კარგად იცი, რა უხვი და მდიდარი ლექსიკის მატარებელია ინგლისური ენა. ერთ სიტყვას ზოგჯერ მრავალი მნიშვნელობა აქვს. ამის გამო დიდი რუდუნებით, დაკვირვებით და რაფინირებული სიფრთხილით მოვინდომეთ გადმოგვეცა შენი თვალსაზრისი, აზროვნების სტილი, განცდები და ინტელექტი.

იმედი მაქვს, შენი კეთილი სული კმაყოფილი დარჩება იმ შრომით, რომელიც გავნიეთ მთარგმნელებმა.

ოჰ, გია, როგორ მენანები!..

*12013 წელი, 15 იანვარი*

## დალილა ბედიანიძე

### არის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

*ეძღვნება გია ფოცხვერიას*

არა, პოეტი არასდროს კვდება,  
ლექსში გადადის სიცოცხლე მისი.  
ერთხელ იქნება, ერთხელ იქნება  
მკვდრეთით აღდგება დღისით და მზისით.

და წამკითხველო, უთხარ შენდობა  
ამა უდროოდ გარდაცვლილ პოეტს.  
არა სჩვეოდა უიმედობა,  
ახალ სიცოცხლეს ლექსებით ჰპოვებს.

და შეინყალე, უფალო, სული  
მონისა შენის, მრავალტანჯული  
ზღაპრული იყო ის უფლისწული,  
არ სჭრიდებოდა მის ლექსს მსაჯული.

ოდესმე ყველა შევხვდებით ალბათ,  
რადგან სიკვდილის შვილნი ვართ ყველა.  
ხსოვნა გულებში სხივებს გააბამს,  
თავს დაგვადგება, ვით ცისარტყელა.

არის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ,  
არდავინყება შენი ხვედრია.  
შენ უკვდავების ბილიკზე შესდექ  
და პოეზია შენი ბედია!.

7. II. 2013

## გულბად ამირანაშვილი

### **გია ფოცხვერია და შალვა ამირანაშვილი სკოლის პერიოდის მეგობრები**

ჩემი შვილი შალვა და ჩემი ბიძაშვილის ჯემალ ფოცხვე-  
რიას შვილი გია მეშვიდე კლასიდან მეთერთმეტე კლასის  
ჩათვლით სწავლობდნენ თბილისის კომაროვის სახელო-  
ბის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში. ისინი პარალელურ  
კლასებში განაწილდნენ, რადგან ჩემი შვილი, დედამისის  
რჩევით, რუსულ ენაზე ეუფლებოდა სწავლა-განათლებას.  
ჩვენგან დამოუკიდებლად, ნათესავი ბავშვები სკოლაში  
დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. ამ მხრივ იციატივა გამოიჩი-  
ნა გიამ, რისთვისაც ახლაც მაღლიერების გრძნობით ვარ  
გამსჭვალული.

თანატოლებისგან განსხვავებით, მხოლოდ მისთვის

დამახასიათებელი და ბავშვობიდანვე თანდაყოლილი კეთილშობილური თვისებებით ყალიბდებოდა გია ფოცხვერია. თავიდანვე ეტყობოდა გამორჩეული გულგახსნილობა და ხალასი ურთიერთობა მეგობრების მიმართ. მშობლები ზრდიდნენ შვილს სიმართლისა და ჭმამრიტების მოყვარულ ადამიანად; და შემდეგში, სწორედ ასეთი თვისებების მქონე პიროვნებად აღიქმებოდა იგი საზოგადოებაში. ვერ იტანდა სიცრუესა და უმართლობას, ორპირობასა და და მლიქვნელობას, პირმოთნეობასა და ფარისევლობას. უგულვებელყოფდა ასეთი თვისების მქონე ყოველ თანატოლს, ხოლო ნამდვილ მეგობრებთან თავგანწირვამდე მეგობრობდა. მოკლედ, აღმატებულად დადებითი ზნეობით დაჯილდოებული გია ფოცხვერია სამაგალითო იყო არა მარტო კლასელთათვის, არამედ მთელი სკოლისათვისაც.

ამ პიროვნულ თვისებათა გათვალისწინებით, სწორედ რომ, ნამდვილ მეგობრებად ჩამოყალიბდნენ ერთმანეთის ნათესავები, ბავშვობიდანვე ცხოვრებისეულ ორომტრიალში კარგად ჩახედული გია ფოცხვერია და ბავშვური თვისებებით შემკული გულუბრყვილო შალვა ამირანაშვილი. ამ საქმის ინიციატორ გიას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ღვთით მინიჭებული სულიერებით დაუემეგობრდნენ ერთმანეთს. ერთი რამ კი ცხადი იყო, რომ სკოლაში და მის გარეთ, გია ფოცხვერია თავისებურად პატრონობდა ჩემს შვილს. ნათესაობა აკეთილშობილებდა მათ და ასევე, სტიმულს აძლევდა მათ მეგობრობას. სუსტი შალვა და ძლიერი გია ნამდვილ ძმებზე უკეთესად ძმობდნენ ურთიერთს.

გია ფოცხვერია თავიდანვე ათლეთურ ახალგაზრდად ყალიბდებოდა და თავს ცდიდა სხვადასხვა სპორტში. განსაკუთრებული მონდომებით ფეხბურთის თამაშს დაენაფა. ზნეობრივად იყო თავაზიანი და თავდაჭერილი, მორიდებული და კულტურული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უბანშიც გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებამახვილობით. სიტყვა-პასუხის დროს იცოდა საქმის სწორად გარჩევა და მოქნილი საუბრით ადვილად ახერხებდა ერთმანეთს დაპირისპირებულთა დაძმავაცებას. თუ საქმე საქმეზე მიდგე-

ბოდა, კარგადაც ჩხუბობდა.

გიას სრული ანტიპოდი იყო ჩემი შვილი შალვა, რომელიც „მამენკინ სინოკ“-ის სახელსაც იმსახურებდა თანაკლასელებში. იგი, ფიზიკურად სუსტი და შესახედაობით გამხდარი, წვრილი ხმით მოლაპარაკე (გვიან დაუბოხდა ხმა) და საერთოდ ყველა რომ გადაუვლიდა, ისეთი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სამაგიეროდ, ფრიადზე დაბალ ნიშანს იშვიათად თუ მიიღებდა. მას ფეხბურთიც უყვარდა, მაგრამ სულ დაცვაში ათამაშებდნენ ან კარში აყენებდნენ. თამაშის შემდეგ ტანსაცმელამოთხვრილი ბრუნდებოდა სახლში, ხან ფეხნატყენი, ხან კი მუხლგადატყაულიც... ჩემი შვილის სისუსტის მიუხედავად გიას და შალვას მეგობრობა არ შენელებულა, პირიქით ძლიერდებოდა კიდეც. ერთხელ შემატყობინეს, რომ სკოლის ყოყონა ბიჭებში გიას განუცხადებია, რომ თუ ვინმემ შალვას ხელი დააკარა, ჩემთან ექნება საქმეო. და სწორედ ამის გამო, მთელი სკოლა თავაზიანად ეპყრობოდა შალვა ამირანაშვილს.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, არც თუ ისე ხშირად შალვა ბრუნდებოდა შინ გიასთან ერთად. ჩემს სიხარულს ვერ ვფარავდი. გიას სტუმრობა ბედნიერება იყო ჩვენი ოჯახისათვის... ვიცოდით, რომ გიას ვაჟკაცობა ვლინდებოდა ნათესავ-მეგობრის დახმარებაში, რაც თავის მხრივ ამალღებდა და აკეთილშობილღებდა მის პიროვნებას. ცოტაოდენ წახემსებისას, ისინი ძნელად გამოსაყვან მაგალითებსა თუ ამოცანებზე ერთად საუბრობდნენ. მათ სჯა-ბაასში იშვიათად თუ ჩაერეოდა შალვას დედა თამარი, განათლებით ფიზიკა-მათემატიკოსი, რომლის ერთი მიზანდასახული სიტყვაც საკმარისი იყო კომაროველთათვის, რომ ყოველგვარი სასკოლო პრობლემა უპრობლემოდ გადაენწყვიტათ.

მე მამაშვილურად ვექცეოდი ჩემი ბიძაშვილის შვილს გიას, ჩემი შვილისგან არ ვარჩევდი. ასე იყო სკოლის პერიოდში. გიას მეგობრული ურთიერთობა ჩემ შვილთან მხოლოდ უთბილეს გრძნობებს იწვევდა ჩემში. ამის გამოც, და იმ ყველაფერი დადებითის წყალობით, რაც გიას ახასიათებდა, ყველგან მემამაყებოდა. ვამაყოფ ახლაც, ამქვეყნად

ხანმოკლედ განვლილი მისი ბრწყინვალე ცხოვრებით. გია ფოცხვერიას არსებობის ტრაგიკულად შეწყვეტის შემდეგაც, მისდამი მამაშვილური სიყვარული არ გამინელდება არასდროს, და ჩემ შვილ შალვას ვფიცავ, თან გამყვება სიცოცხლის ბოლომდე.

გია ფოცხვერია მიზანდასახული სულისკვეთების ახალგაზრდა იყო, სწავლა არც ერთ საგანში არ უჭირდა, მაგრამ ვერ მალავდა ბუნებრივ ნადილს და მის მიერ არჩეული გზისკენ მიუწევდა გული. ეს კი, თავისთავად წარმოადგენდა მის სულიერ საზრდოს, რომლისთვისაც მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს უღალატია. ეს იყო პოეზიის უსაზღვრო სიყვარული და მისწრაფება თანამედროვე ცხოვრებაზე დადგმული კინოფილმების რეჟისურისკენ. მაგრამ მის ამ ნადილს წინ ელობებოდა მამის კატეგორიული მოთხოვნა, რომ მისი შვილი დაუფლებოდა ტექნიკურ სპეციალობას, თანაც პოლიტექნიკურ ინტიტუტში, სადაც თვითონ მიიღო განათლება.

ბავშვობიდანვე გია ჩამოყალიბდა მშობლების უსაზღვროდ მოყვარულ შვილად, მათი სიტყვის პატივისმცემელ და მათი სურვილის ხმაამოუღებელივ შემსრულებელ პიროვნებად. ამიტომ მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია მათ და ახალგაზრდობის შესანიშნავი ხუთწლეული გაატარა თავისი სურვილისა და ნადილის სანინააღმდეგოდ. ეს მაშინ, როდესაც მის სულიერ მისწრაფებას და ცხოვრებისეულ აზრს პოეზია და კინემატოგრაფია წარმოადგენდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ პირადი თავისუფლებით ფრთაშესხმულმა გიამ თეატრალურ ინსტიტუტს მიაშურა და მართლაც ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე.

სულ სხვანაირად განვითარდა შალვას სკოლისშემდგომი პერიოდი. მშობლებმა გადაწყვეტით, რომ შალვას ჯერ ჩაებარებინა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც გამოცდები ივლისში ტარდებოდა. ჩაჭრის შემთხვევაში კი უკვე თბილისში, როგორც გამოცდილ აბიტურიენტს გამოცდები ჩაებარებინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის

ფაკულტეტზე. მაგრამ მოხდა სასწაული და ჩაირიცხა რუსულ უნივერსიტეტში. ჩვენ გაგვიხარდა და გვეწყინა კიდეც, რადგან მას მშობლების გარეშე პირველად უნდა ეცხოვრა მარტოდმარტოს. ახალ პირობებს შეუჩვეველ შალვას დაეხმარა გია ფოცხვერიას ადამიანური შემართების და მისი პიროვნული თვისებების გათვალისწინება. შალვამ მიზნად დაისახა მიმსგავსებოდა გიასთვის დამახასიათებელ ცხოვრებისეულ ალღოს. მართალია, თავიდან სიმარტოვე მაინც გაუჭირდა, მაგრამ გიასთან ურთიერთობით მიღებულმა გამოცდილებამ გაუადვილა შალვა ამირანაშვილს ჩამდგარიყო მისთვის უცხო, სტუდენტური ცხოვრების ფერხულში.

მეგობარ-ძმათა ურთიერთობაში სანყენი მხოლოდ ის იყო, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მათი ხალასი ურთიერთობაც სამუდამოდ შეწყდა. სხვადასხვა პროფესიისკენ მისწრაფებამ და აქედან გამომდინარე ახალმა ცხოვრებისეულმა პირობებმა განსხვავებულ გზებზე დააყენა გია ფოცხვერია და შალვა ამირანაშვილი.

შესანიშნავი იყო სკოლის პერიოდი შალვა ამირანაშვილისათვის, როცა მას მხარს უმშვენიებდა ჩემი ძვირფასი გია ფოცხვერია!

## **ნუთუ არასდროს მომეფარაზი...**

### *ვუძღვნი ჩემი გიას ნათელ ხსოვნას*

შენი ლექსებით აკინძულ წიგნებს  
ვფურცლავ და გეძებ, გიპოვო იქნებ,  
მივუალერსო ფერებით, ისევ  
ზეცით დანამულ შენს წმინდა სიტყვებს.

ისევ დაგნატრი. ობლად დამტოვე.  
რა დაგიშავე, რომ მილალატე!  
როგორც, ოდესღაც ღმერთ-კაცი ქრისტე,  
თითქოს ჯვარს გაცვა პონტი პილატემ!



ლამის თენებით შენ ბედს ძერწავდი  
და ზეციურში წასვლა დამასწარ!  
ბედნიერებას, მანდ თუ ნახავდი?  
ნუთუ ყველაფერს გრძნობდი წინასწარ!

ცხოვრების ნაცვლად შემომატოვე  
უშენოდ ყოფნა, ვით განდეგილი.  
ბედად მარგუნე სულ სიმარტოვე,  
ჩემი სიცოცხლევ შენგან დევნილი.

გული ვერ იტევს დაფარულ მოთქმას,  
გადმოგეხედა ჩემკენ, ეგების,  
რასაც ფიქრობდი, ჩემთვის არც გითქვამს,  
ისე მოძებნე შენთვის ედემი!

შევყურებ ზეცას. აღვავლენ ლოცვას.  
სულს ეფინება ციური ნამი.  
გზააბნეული დაგეძებ მორცხვად,  
რომ სადმე გნახო, თუნდ ერთი წამით!

ნუთუ არასდროს მომეფერები,  
არ დამიკოცნი სევდიან თვალებს,  
შენზე ფიქრებით გამაქვს დღეები,  
ყოველი წამიც დროს მიფერმკრთალებს!

ბნელდება ისევ დღე დაღამებით  
და ზენაარი სულებს ალაფრენს,  
გზას უკანასკნელს გვინთებს სანთლებით  
და ამქვეყნიურს, გვართმევს ყველაფერს.

და მაინც ღამით, ლექსების მწკრივი  
ჩახუტებული ჩემთან ბაასობს,  
მისით ვიშუშებ სიცოცხლის ტკივილს,  
ცხოვრებაც სევდის სპექტაკლს თამაშობს.

ხატად ქცეული ეგ გული ისევ  
ნუგეშის მცემელ ოცნებად ფეთქავს,  
ჩემი არსება შორს მიაქვთ ნისლეზს,  
აქ რაც ვერ მითქვამს, მინდა მანდ მეთქვას.

სულ დავინმინდე. მხოლოდ ფიქრებით  
ვლამბავ ზეცაზე, მოხატულ სახეს,  
სანუთროების ბედს ვევედრები,  
ნუთუ დამიგებს ოდესმე მახეს!

სევდის იარით, გულისტკივილით,  
მარადისობის გზა გამინათე!  
შემომაგებე სიმწრის ღიმილი,  
ჩემი სანთელიც შენვე ამინათე!

2007 წელი 20 სექტემბერი  
თბილისი „კინოს სახლი“  
გიას წიგნების პრეზენტაცია და მისი  
მემორიალური ლიტერატურული საღამო

\* \* \*

*გია ფოცხვერიას*

გულში ჩაიმსხვრა ისევ ტკივილი  
სასუფეველში აფრენილ კაცზე,  
განვლო სიცოცხლე გულისტკივილით,  
და ცხოვრების გზა ზენაარ ცამდე.

თავის ოცნების სხივით შემოსა  
მირონცხებული ბედის სანთელი,  
მან თავის თავის მეგზურად პოვა  
გზადდანათლული ტაძრის ნათელი.

შემოიფარგლა ორმოცდაორით,  
მისი ფიქრები წლებმა დათოვა,  
გადატეხილი სიცოცხლის გზიდან  
მან თავის მზერა შემოგვატოვა.

ჩვენთვის აკინძა სიტყვები მძივად,  
თვითონ იპოვა სულის სავანე,  
და მისი აზრი ფენილი სხივად  
მარადისობის სანთლად ავანთეთ.

მისი ფიქრები დაწურა სევდამ  
არარად ქცეულ მიზნების დარად,  
მაინც აღარ თქვა, რაც უნდა ეთქვა,  
ამოსაცნობად დარჩება მარად.

ერთი წელია, ცარიელია  
მისი სანერი თეთრი ფურცლები,  
როგორც მარგალიტს, ისე სათუთად  
რაც დაგვიტოვა, მას ვუფრთხილდებით.

## მაკა იაშვილი

\* \* \*

ეს რამდენი ტკივილი გულით გიტარებია,  
სიყვარულის მორევშიც შენ არ გაგმართლებია,  
მარტოყოფნა, განცდები ალბათ შენი ხვედრია,  
დამნაშავე ამაში უცნაური ბედია.

ვერ გაუძლო ამდენ დარდს გადალლილმა გონებამ,  
აგირია ფიქრები სამშობლოს მოგონებამ.  
სიშორეში გაიარა ამღვრეულმა ცხოვრებამ,  
ვერ წაშალა მონატრება ჟამთა ცვლამ და დროებამ.

ვიცი შენი სული მოხვდა სასუფეველში,  
ბებიაც და ბაბუაც იქ სამოთხის ველში  
ჩაიხუტე, მოეფერე, აიტაცე ხელში,  
გაიხარე, გაცისკროვნდა აღარა ხარ ბნელში.

ცხოვრებას აგრძელებენ ვინც კი შენი ტოლია,  
ზღვაზე ლალად ნავარდობს ბევრი თეთრი თოლია,  
შენი მშობლების გულში მთელი წელი თოვლია,  
ანუგეშე ზეციდან შენი ჯელი ფოთია.

## მადონა ბაიდაური

იმ დღეს მთელი დღე ვურეკავდი. მადლობა მინდოდა  
გადამეხადა იმ დახმარებისათვის, რომლის მეშვეობითაც  
ჩემი გოგონა საეკლესიო სკოლაში მიიღეს. ტელეფონზე არ  
პასუხობდა. მეორე დღეს კი ეს შემზარავი ამბავი გავიგე!

ის იყო ძალიან ყურადღებიანი, ყველას გვიკვირდა ამ-  
დენ რამეს როგორ ახერხებდა!

მადლობა მის მშობლებს ასეთი კარგი შვილის გაზრდი-  
სათვის!

## გულბათ შველიძე

ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ სიცოცხლე არ  
მთავრდება ჩვენი „გარდაცვალებით“ ამ სიცოცხლიდან  
შემდეგში და ამიტომ მინდა გითხრათ, რომ გიას სიცოცხლე  
არ დამთავრებულა. ამიტომ, როგორც გიორგის ერთ-ერთი  
მეგობარი, მას კიდევ შევხვდები. ეს მხოლოდ დროის ამბა-  
ვია. რაც ჩვენ უნდა გვახსოვდეს ამ ცხოვრებაში.

## ფატმან თადიაშვილი

დიდი ხანი არა, რაც საქართველოდან ჩამოვედი, სულ 6 თვეა. აქ ეკლესიაში გავიცანი გია ფოცხვერია. *ის იყო კაცი, იყო ქართული სულის ადამიანი, ვისთვისაც ქართული ეკლესიის არსებობა ლონდონში იყო აუცილებელი და ყველაფერს აკეთებდა ამისათვის...* მადლობა უფალს, რომ მოვესწარი და გავიცანი ეს არაჩვეულებრივი სულის ქართველი ადამიანი. უფალო, ნათელში ამყოფე მისი სული და მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი მიწა. ნათელი დაადგეს. ამინ.

## მარინე თიგიშვილი

გია, დაუჯერებელი ამბავია ჩემთვის შენი გარდაცვალება. იმდენად დაუჯერებელი, რომ თვალი სულ გეძებს, განსაკუთრებით — ტაძარში. იცი, რა ძნელია უშენოდ გუნდის რეპეტიციების ჩატარება. *საშინელი სიმწარე მოდის იმ კუთხიდან, სადაც შენ იჯექი ხოლმე. ჩვენი ქართული ტაძრის საფუძველში ჩაიდო საძირკვლის ქვად შენი სახელი და გვარი. საბოლოოდ ყველა წარვდგებით უფლის წინაშე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყველაფერში პირველი იყავი. ეს წარდგომაც პირველს გერგო. გეხვეწებო, მომიხსენე ზეციურ საქართველოში.*

ძალიან დიდი ტკივილია და სიმწარით მეორდება შენი სახელი ჩემს გონებაში. მარადისობაში გადასახლებულ, ჩემო მხიარულო, ძვირფასო, ყოველთვის თბილო და ყურადღებიანო მეგობარო, ძალიან, ძალიან მენატრები.

## ქეთი კალანდაძე

*გაურკვეველი სიცარიელეა ვარშემო. აღარავინ მი-  
რეკავს ეკლესიის საკითხებზე სამსახურში, სახლში, მო-  
ბილურზე, დღეში ვინ მოსთვლის რამდენჯერ. დაბნეული  
ვარ და მხოლოდ ახლა ვხვდები, რამდენად მძიმე ყოფი-  
ლა ის პასუხისმგებლობა, რაც ვიას აულია თავის თავზე.  
მადლობაც კი არასდროს მითქვამს. ახლა მაინც გეტყვი,  
ვიავ ბატონო! მადლობა იმ უანგარო სიკეთის, იმედის,  
ქართული წირვა-ლოცვისათვის, ყოველდღიური პატარ-  
პატარა ყურადღებისათვის, ადამიანურობისა და სიცო-  
ცხლის სიყვარულისათვის.*

## თამთა თურმანიძე

მე ინგლისში სულ ახალი ჩამოსული ვარ. პირველად გია აქ, ძველი ახალი წლის დღესასწაულზე ვნახე. **ის იყო მთე-  
ლი ცერემონიის და შემდეგ სუფრის სული და გული.**

მეორე დღეს მამაჩემს ველაპარაკე ტელეფონით. ისეთი კარგი დრო გავატარე, ისეთი კარგი ქართველები არიან აქ, ერთად შეკრული, ყველას უხარია ერთად ყოფნა-თქო. მამამ მითხრა, ალბათ, კარგი მეთაური ჰყავთ მაგათ, ღირ-სეულია და ის კრავს ქართველებსო. ასეთი ვნახე მე გია. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

## მარინა ლაბაძე

პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრჯერ მინახია რუ-სულ ეკლესიაში და ერთხელ დამპატიჟა ქართულ წირვაზე ავტობუსში. ძალიან კეთილი და მორწმუნე ადამიანი იყო, მენყინა რომ გავიგე გიორგის გარდაცვალების ამბავი.

## ლუდუშაური ნატა

გია ფოცხვერია ყოველთვის მეხმარებოდა. თუ ოდესმე რაიმე მიკითხია, ყოველთვის დამხმარებია. ზიარება პირველად გიას წყალობით მივიღე.

მართლაც საუკეთესო და ძალიან კეთილი ადამიანი იყო. დიდ პატივს ვცემდი. ყველას გვიყვარდა.

ღმერთმა გიას სული ნათელში ამყოფოს. ამინ!..

ყოველთვის მემახსოვრება, მთელი ჩემი ცხოვრება არ დავივიწყებ. გიას სურათიც მაქვს. ჩემს მეგობრებსაც მოვუყევი გიაზე. მართლაც კარგი ადამიანი იყო.

## კახა კაპანაძე

გია იყო ჩემთვის მეგობარიც, ძმა და სულიერი მამაც. ბოლოს, გია იყო ჩემს დაბადების დღეზე. ძალიან მოიღბინა, თუმცა არ სვამდა. ეს იყო 25 თებერვალს. შემპირდა ჩემი შვილის დაბადების დღისთვის დალევდა და იქეიფებდა, მაგრამ არ დასცალდა. ნათელი და სანთელი მის საფლავს. ის ყოველთვის ჩვენს გულებში დარჩება და ყოველთვის მოვიგონებთ.

## გიორგი ლომთაძე

გიას ჰქონდა საოცარი უნარი ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირების.

## ანონიმური

გია უდიდესი ადამიანი არის და დარჩება ყოველთვის ჩვენს გულებში, იმიტომ რომ ყოველთვის უნდოდა ყურადღება გამოეჩინა ყველას მიმართ.

## ნიკოლოზ ბათირაშვილი

ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ გია დიდ საქმეს ემსახურებოდა ღმერთის წინაშე.

## ირინა კვალიაშვილი

ძალიან მაკლია მისი ღიმილი.

## თამარ კახიძე-მანიჟაშვილი

გია ფოცხვერიასთან ხანმოკლე ურთიერთობა მაკავშირებდა. ვწუხვარ, რომ ასე იყო, მაგრამ ამ მოკლე ხანში მან დიდი გავლენა იქონია ჩემს სულიერ მდგომარეობაზე. ის იყო ადამიანი, რომელიც უცებ ჩაგითრევდა თავის კეთილშობილების მორევში. მე მამამისს პირადად გადავუხადე მადლობა ასეთი კეთილშობილი ადამიანის გაზრდისათვის.

## ანონიმური

გია პირველად გასული თვის ქართულ წირვაზე ვნახე, უამრავ ქართველს შორის გამოირჩეოდა უდიდესი ყურადღებით თითოეული ქართველისადმი. მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ადამიანი, რომელიც ლონდონში მყოფ ქართველებს პატრონობდა.

უდიდესი დანაკლისი იგრძნობა დღეს. მის გარეშე ჩატარდა წირვა. მიხარია, რომ აქ არიან ქართველები, რომლებიც დიდი პატივით აგრძელებენ გიას წამოწყებულ საქმეს — ინგლისში ქართული ეკლესიის აშენებას. ყველა ქართველთან ერთად ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და იცოდეთ, რომ აქ გია ყოველთვის გვემახსოვრება.



## მამუკა მოსულიშვილი

გია ფოცხვერია იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გაცნობის პირველივე წუთიდან შემაყვარა თავი. ის იყო ადამიანი, რომელიც ყველას ცხოვრებით ცხოვრობდა, ყველას ჭირი სჭირდა. უკეთილშობილესი და უსაყვარლესი ადამიანი. ჩემთვის ძალიან დიდი დანაკლისია მისი წასვლა ამ ქვეყნიდან. ძალიან დიდი საყრდენი გამომეცალა ხელიდან. ის იყო არა მარტო ჩემი მეგობარი, არამედ დამრიგებელიც და ჩემ გვერდში მდგომი ყველანაირ გაჭირვებაში. ბარაქა, თქვენ მშობლებო, რომ ასეთი შვილი გაზარდეთ და აჩუქეთ ამ ქვეყანას, მაგრამ ის ახლა ჩვენს გვერდზე აღარაა, ის ღმერთანაა და ეჭვი არ მეპარება, რომ იქიდან ჩვენზე ლოცულობს.

## ლია გოგსაძე

ძალიან დიდი მადლობა გიას მშობლებს, იმიტომ რომ არსებობდა გია და ასე მგონია და ასეა რომ სულ იარსებებს ჩემთვის და ყველა ქართველისთვის, ვინც აქ არის.

## მაია ბერაია

მიუხედავად იმისა, რომ გიასთან არ მქონდა ახლო ურთიერთობა, *არასოდეს დამავინწყდება ეკლესიის კარებთან მდგომი, ყოველი ქართველის დანახვაზე სიხარულის და იმედის თვალით მომზირალი. ყოველ ქართველზე უზომოდ მონატრებული გია ფოცხვერია. ქართული წირვა-ლოცვა ჩემში გიასთან ერთად ასოცირდება. წარმოუდგენლად მეჩვენება დღევანდელი დღე გიას გარეშე.* კარებთან მოსულს გული ძალიან დამწყდა. საუბედუროდ, გია აღარ არის, მაგრამ ადამიანის ვალი გიამ, ჩემის აზრით, ბოლომდე პირნათლად მოიხადა. მან ისეთი სიტბო და

სიყვარული დატოვა და დანერგა ქართველებში, ეს მე მგონი უდიდესი ბედნიერებაა. გიამ იცოცხლა ისეთი ცხოვრებით, რაც ერთეულების ხვედრია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ამინ!

## ლალი კოლელიშვილი

2002 ახალი წლის საბავშვო ზეიმზე, რომელიც საელჩოში ჩატარდა, გიამ შექმნა სასაცილო პერსონაჟი (რომელიც თვითონ განასახიერა) და მეც როგორც კოლეგას მიმალეზინა მონაწილეობა (ვიყავი მისი დამხმარე კატა). ბავშვებს ვამღერებდით და ვათამაშებდით, როგორც ტყის სტუმრები. შემდეგ კონსულს — კოტე სურგულაძეს ჩააცვა თოვლის ბაბუის ფორმა და ასე გაახალისა სადამო. მაქვს ვიდეომასალაც და ფოტოებიც თბილისში!

## ანონიმური

გიას გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული მრევლისათვის და არა მარტო მხოლოდ ქართველებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მასთან პირადი ურთიერთობა არ მქონია გარდა სალმისა, ბევრი კარგი რამ მსმენია მასზე საერთო მეგობრებისგან.

## ეკა ნანდოშვილი

მე ვიცნობდი გიას. ის იყო ძალზე თბილი და კეთილშობილი ადამიანი. როდესაც სულიერად ძალიან მიჭირდა და დათრგუნული ვიყავი, მანუგეშებდა და მეუბნებოდა: „აქ ასე იცისო, ორ თვეში ერთხელ ყველას ემართებაო“. ძალიან გამაოცა ასეთმა უცნაურმა სიკვდილმა. უფალმა წაიყვანა და ნათელშია მისი სული. დაიმკვიდროს სასუფეველი და ილოცოს იქიდან ქართველების გასაერთიანებლად. უფალს უყვარს გია და შეისმენს მის ლოცვას.

## ქეთი ჯაფარიძე

გია ფოცხვერია, რა ვთქვა ცოტა მიჭირს...  
მე შენს დატოვებულ „შტრიხებს“ ვხედავ გარშემო, შენ  
კვალი დატოვე, შენი ცხოვრება დარჩა როგორც „სახე“... ეს  
ბევრს არ შეუძლია.

## დათო მამაცაშვილი

მახსოვს ყოველთვის შენი კეთილი გვერდში დგომა და  
მაკლია შენი კეთილი მეგობრობა, ჩემო გია. ნათელში ამყოფოს  
შენი სული!!!

შენი მამაცა

## კახაბერ აბაშიძე

მომენატრე ძმაო!  
მომენატრე, როგორც მიტოვებულ შვილს ენატრება  
დედა. მომენატრე როგორც იქნა. როგორც იქნა გადავძლიე  
დარტყმა, მერე წყენა. მომენატრე შენ, ისეთი როგორიც  
იყავი, ისეთი როგორიც გინდოდა ყოფილიყავი. ისეთი რო-  
გორიც მე ვიცოდი რომ ხარ. ერთი რჯულის, ერთი სახურ-  
ავის ქვეშ ნაცხოვრებთ, სხვადასხვა მხრიდან მომავალთ  
რომ ერთის გვჯეროდა. გამიარა, გამიარა წყენამ, მივხ-  
ვდი შენი დაკარგვით რა დავკარგე. მომენატრე. მინდა  
დაგიძახო, იმიტომ რომ სულ მეჩვენები ქუჩაში. იმიტომ  
რომ შენ ქუჩებზე დავდივარ. იმიტომ რომ შენი მაღლი დამ-  
აკლდა.

მომენატრე! მომენატრე იმიტომ, რომ ჩემთვის ქვეყნის  
სმა ყოფილხარ — დავკარგე.

შენც მიგტირი და იმასაც, რაც დავკარგე.

მომენატრა უტირილოდ ტირილი შენთან. მომენატრა, იმიტომ რომ ვერ გხედავ.

მომენატრა ხუმრობები, მარტო შენ რომ იცოდი. მომენატრა ის ამბები ზეპირად რომ მიყვებოდი.

მომენატრა შენი ხედვა — ერთი მხარი შემოგდებით რომ დაგქონდა, შავი კუდი, რომ მინდოდა დაგკარგოდა.

მომენატრე — მაინც შენთან ვამბობ მარტო, სხვას სიმათლეს სიცოცხლეში ვერ გავანდობ!

## თამრიკო დოლიძე

ყოველთვის როდესაც მახსენდები. რუსული ეკლესია, სანთლების გასაყიდი ადგილი ყოველთვის ჩუმად, ყოველთვის მზად ყველასთვის სითბო, დახმარება შეგეთავაზებინა.

მიხარია, რომ შენი დიდი სურვილი ასრულდა, გია. ***ჩვენ დღეს ჩვენი ეკლესია გვაქვს, ვლოცულობთ ქართულად, ერთმანეთს ვეფერებით ქართულად და მჯერა, რომ შენ ამაში დიდი წვლილი მიგიძღვის.***

ნამდვილად ადრე იყო, ძალიან ადრე...

თბილი, კეთილი, ალერსიანი გია ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

31.03.13. ლონდონი

## სათუნა შავგულიძე

როგორ გაფრინდა წლები... შვიდი წელი გავიდა გიას გარდაცვალებიდან. *მე კი, დროდადრო ისე წარმომიდგება თვალწინ, თითქოს გუშინ შემხვდა თავისი განუყრელი ხელჩანთით ქართული ეკლესიის დაარსებისათვის საჭირო საბუთებით რომ ჰქონდა სავსე...* სულ ღიმილიანი მახსენდება — როგორ ხუმრობდა, როგორ ცეკვავდა... შემდეგ, გადავშალე მისი წიგნი. ნავიკითხე მისი ყველა ლექსი და გული დამწყდა... გული დამწყდა, რომ თურმე სულ არ მცნობია ადამიანი, რომელსაც ეს ლექსები ეკუთვნის. მის სულში ჩავიხედე, მისი გრძნობები გავიზიარე, მისი ტკივილი მეტკინა და გამახსენდა ოთარ ჭილაძის სიტყვები: „ვერ მივაჭედე სულს სახელური, რომ გამოაღოს ყველამ კარით“. ნეტავ, მართლაც შეგვეძლოს ერთმანეთის სულებში ჩახედვა... რამდენად მეტი სიყვარულითა და თანაგრძნობით მოვეკიდებოდით ერთმანეთს!.. ეხლა კი, ვკითხულობ გიას ლექსებს და საშინლად მწყდება გული, რომ მისი გახსენების, მისი წიგნებისა და ნააზრევის მოფერების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია... როგორც ყოველთვის, დაგვაგვიანდა უნიჭიერესი, უსათუთესი და მარტოსული ადამიანის გულში ჩაკვრა და მოფერება...

### „ცოდვილი“ ჩაინდი

*გია ფოცხვერიას ხსოვნას*

ცოდვილი ვარო, ევედრები უფალს მუხლმოყრით...  
 გინახავს ვინმე უცოდველი ამ ქვეყნად, ნეტავ?...  
 დააბიჯებდი ვით აჩრდილი მდიდარ-უპოვრის  
 და ნატრულობდი თბილისის ცას ყველაზე მეტად...

ცოდვილი ვარო! წამიყვანე უფალო შენთან,  
აკი, გისმინა ზეციერმა უხმო ძახილი,  
მაგრამ, ნეტავ, რად არ გისმინა ამასთან ერთად  
სხვა სანატრელი, სხვა ოცნება და სხვა წადილი?..

წვიმიან ქუჩებს შენი ფიქრი ნისლად დასდევდა  
და აწყდებოდა ნოსტალგია დახშულ დარაბებს,  
პატარა ოთახს მარტოობის ბინდი ავსებდა  
და აღარ გთხოვდა მარტოსული გული არაფერს...

როგორ გწყუროდა მშობლიური ლოცვის ჩურჩული,  
როგორ ებრძოლე გაუკვალავ უცხო ლაბირინთს...  
ცხელი გრძნობებით გაარღვიე მთები ყინულის  
და დაგვიტოვე ეს ტაძარი ქართულ სანთლებით!..

ან, უფალთან ხარ! სასთუმლად გაქვს სამშობლოს მიწა,  
მისი სურნელი შენს ოცნებას მუდამ თან სდევდა,  
აუხდენელი სიყვარული გულს აღარ გინვავეს  
და ცოდვილ რაინდს აღარ დაგსდევს ცოდვების სევდა...

29 მარტი, 2013 წელი. ლონდონი

## Ed Walsh

Today we celebrate the life of a man who had vision and the strength of purpose to achieve its realisation.

Here is the best place to remember him. He was the first among us to recognise the necessity of establishing a permanent Georgian church in London.

Hi inspired and motivated others to walk together by devoting his life to this task.

In the sacredness of this space, I believe, he is with us in worship.

Gia, may you live forever in our memories; may your modesty and kindness never be forgotten.

## ედ ვოლში

დღეს ჩვენ წირვა-ლოცვით აღვნიშნავთ იმ კაცის ცხოვრების გზას, რომელსაც ჰქონდა მიუწვდომელი ოცნება და ძალა, რომ მიეღწია მისი მიზნების განხორციელები-სათვის.

*ეს საუკეთესო ადგილია მის მოსაგონებლად. ჩვენს შორის ის პირველი იყო, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა მუდმივმოქმედი ქართული ეკლესიის დაარსება ლონდონში.*

*მან შთააგონა და შეაგულიანა სხვები, რომ ერთად ევლოთ იმ გზაზე, რომელსაც მან მთელი პირადი ცხოვრება მიუძღვნა. მჯერა, რომ ის ჩვენთან ერთად ლოცულობს ამ წმინდა ადგილას.*

გია, გისურვებ სამუდამოდ ცოცხლობდე ჩვენს მოგონებებში და არასოდეს იყოს დავინწყებული შენი მოკრძალებული ღვანლი და კეთილი საქმე.

**John Bazlinton**

### IN MEMORY OF GIVI POTSKHVERIA 1965-2006

Our friend George  
So noble and so debonair  
A natural gentleman forsooth.  
A helping hand  
A timely joke  
... and a grin from ear to ear.

Our friend George.  
A steadfast friend for evry hour  
- for every twenty four  
He could almost be an Englishman,

Our friend George



გიას სულის მოსახსენიებელი პარაკლისი და შემდგომი  
ლიტერატურული საღამო ლონდონში. 2013 წლის 21 აპრილი





But of course he's not – he's Georgian!  
- the oldest tribe on earth.  
Before you see'em coming  
You'll hear their drums 'a drumming  
... just run for all your worth!

His fiercesome clan tells many a tale  
of conquering warrior kings  
and of all those frightfully grisly things  
that cause faint hearts to quail.

But saint Nino walked her holy way  
The Robe of Christ to gain  
Her healing prayers were not in vain  
The Georgians learnt to pray.

Now the charm of a man is his kindness  
- except when there's a dragon around  
When truth is being riven no quarter is given  
by the sword of... our friend George

But after battles are fought and peace is restored  
There's one thing you'll never forget  
- the joys of dining and livind and wining  
with the toast from... our friend George.

March 2006

## ჯონ ბაზლინტონი

### გიორგი ფოცხვერიას (1965-2006)

ჩვენი გიორგი,  
მეგობარი კეთილშობილი,  
სიცოცხლით სავსე,  
ჭემმარიტად სათნო ჯენტლმენი.  
ყოვლადმონყალე, თუმც თავის დროზე  
დიდი ხუმარა ყურებამდე გალიმებული.

ჩვენი გიორგი,  
საიმედო ჩვენი ძმობილი,  
უსათნოესი პიროვნება,  
რომელმაც შეძლო ყოფილიყო თვით ინგლისელი.

მაგრამ, გიორგი,  
რა თქმა უნდა, იყო ქართველი!  
უძველეს მოდგმის ღვიძლი შვილი დედამინაზე,  
ერის, რომელსაც ვიდრე იხილავთ,  
შორიდან გესმით მათი დოღების დაკვრის სიმძლავრე  
და ამ სიმძლავრეს გსურს რომ გაექცე!..

მისი მამაცი ტომი აღგვიწერს  
ძლევამოსილი მეფეების ბრწყინვალე წარსულს  
და თავზარდამცემ, შიშისმომგვრელ  
დროებას ავსულს.

და ქრისტეს კვართის საძებნელად  
წმინდა ნინო ეწვიათ როცა,  
ფუჭი არ იყო ნინოს სტუმრობა  
და ქართველებმა ისწავლეს ლოცვა!

დღეს მამაკაცის ღირსებაა დიდსულოვნება,  
მხოლოდ დრაკონთან სიახლოვე არის წყეული,  
რადგან სიმართლე სეუმუსრავთ ჩვენი მეგობრის,  
ხმლით განუგმირავთ, სამწუხაროდ, არის ძლეული!

დასრულდა ჟამი დავისა და დადგა მშვიდობა,  
მაგრამ ერთი რამ არასოდეს დაგვავიწყდება,  
როს სადღეგრძელოს თასით ხელში სვამდა გიორგი  
და მხიარული, მიმზიდველი თავდავიწყება.

### **თინათინ მღვდლიაშვილის თარგმანი**

*სერ ჯონ ბაზლინტონი, ვიკონტთა უმცროსი შტოს ჩამომავალი, იყო ვიას უახლოესი მეგობარი. ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა, მაგრამ ფაქტია, რომ 10 წლის წინათ ვიამ იგი მონათლა მართლმადიდებლურად (ანგლიკანური ეკლესიიდან). ვიას გარდაცვალებიდან მთვის შემდეგ კი უეცრად გარდაიცვალა...*

## Jane Collingridge

I have known George since he first came to the Russian Orthodox Church. He was a very special person and always ready to help/ He started a Georgian church School at the Russian Church where I taught children the English Language in addition to the language school. I was with him on the Parish Council as well (at the Russian Orthodox Church). His contributions were always wise and gentle and came from a deep faith. It was good to have a point of view of other nationality not Russian or English. Finally he helped me at the funeral of my mother (August the 5 th 2006). He and my son (Dimitris) were good friends.

## ჯეინ კოლინგრიჯი

მე ვიცნობდი გეორგის იმ დროიდან, როდესაც ის პირველად მოვიდა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ის იყო განსაკუთრებული პიროვნება და ყოველთვის მზად იყო ვინმეს დასახმარებლად. *მან ქართულ საეკლესიო სკოლას დასაწყისი მისცა რუსულ ეკლესიაში, სადაც მე ენის სკოლაში მუშაობასთან ერთად დამატებით ვასწავლიდი ინგლისურ ენას ბავშვებს. მე ვიყავი მასთან რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებულ სამრევლო საბჭოშიც. მისი დახმარება ყოველთვის იყო გონივრული, კეთილი და მოდიოდა დიდი შინაგანი რწმენით. ის იყო კარგი წარმომადგენელი სხვა ერისა, არა რუსისა ან ინგლისელისა.* ბოლოს ის დამეხმარა დედაჩემის დაკრძალვაზეც (5 აგვისტო, 2005). ის და ჩემი ვაჟი დიმიტრი კარგი მეგობრები იყვნენ.

## Michelle Napp

My cousins in America adopted two Georgian children this time last year. George made them feel so welcome in our Church (Ennismore Gardens) finding a CD of Georgian music (Church and folk) and his wonderful welcome when they stopped over for some hours on a Sunday before flying to Georgia for the first time. Ruth Anne cannot still believe that

George has passed and many of us did not need much sleep the days after his parting and other woke with him clearly in their minds. His Christian "way" and ways affected us all and the concept of a Georgian Church being the light, the special, unreplicable light of Christ in the Georgian way is essential for all of creation – a witness unique of the Holy Spirit who is everywhere present and fillest all things. Thank you for thinking of this.

### მიშელ ნეპი

გასულ წელს ჩემმა ბიძაშვილებმა ამერიკაში იშვილეს ორი ქართველი ბავშვი. გიორგიმ ისინი გულთბილად მიიღო ჩვენს ეკლესიაში (ენისმორ გარდენში), უშოვნა ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის კომპაქტდისკები. ის შესანიშნავად შეხვდა მათ, როდესაც ისინი ერთ კვირა დღეს რამდენიმე საათით შეჩერდნენ მასთან, სანამ საქართველოში გაემგზავრებოდნენ. რუთ ანას არ შეუძლია დაიჯეროს, რომ გიორგი აღარ არის და ბევრ ჩვენთაგანს არ გვეძინა მთელი დღეების მანძილზე მისი გარდაცვალების გამო და ფიქრით სულ მასთან ვიყავით.

### Rumwold Leigh

I only knew Gia for a short time but was very impressed with him as a leader of his community and a zealot for orthodoxy and its advancement.

### რამვოლდ ლეი

მე ხანმოკლე დროის მანძილზე ვიცნობდი გიას, მაგრამ ძალიან მოვიხიბლე მისი უნარით ყოფილიყო თავისი ხალხის ლიდერი, ფანატიკური ორთოდოქსი და მისი პროგრესის მსურველი.

### Steven Lacey

George was an ambassador for Orthodoxy and helped bring many people together.

### სტივენ ლესი

გიორგი იყო მართლმადიდებლობის ელჩი და დაეხმარა ბევრს, რომ ყოფილიყვნენ ერთად.

გულბად ამირანაშვილი

**მზა დამსხვრეულ სარკეში**

*პოლიტიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გია ფოცხვერია (1964-2006) დაუფლა მეორე პროფესიასაც — სარეჟისორო კინოხელოვნებას. ამ მიმართულებით სწავლა განაგრძო უნივერსიტეტში (ინგლისი), სადაც მოიპოვა ფილოსოფოსის მაგისტრის ხარისხი კინოსა და მედიის განხრით. პროფესიონალურ მოღვაწეობასთან ერთად მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ქართულენოვანი მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსება ლონდონში. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი მანვე გადადგა, მაგრამ სიკეთით მოსილი საქმე შუაგ ზაზე ბედმა შეუწყვიტა. მისი სულიერი ცხოვრების კრედოს პოეზია წარმოადგენდა და მწუხარებაზე მეტია, რომ უკანასკნელი ლექსის წერის დროს აღეგლინა უცხოეთის ცად. გია ფოცხვერიას მაგიერ სიცოცხლე განაგრძეს საქართველოს სიყვარულით გაყვლითილმა მისმა ლექსებმა და მოთხრობებმა, ნოსტალგიით შეზავებულმა მხატვრულმა ჩანაწერებმა, ძველი თბილისის სურათებზე კინოსცენარებმა, რომლებმაც ახლახან იხილეს დღის სინათლე.*

ძველთაგანვე ნათქვამია, ყველა წიგნს თავისი ბედი აქვსო, — და ალბათ ეს ასეც არის, მაგრამ საოცრად გულსაკლავი ბედი ერგოთ გია ფოცხვერიას წიგნებს. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ საზოგადოების წინაშე მათი წარდგენა ავტორის გარეშე მოხდა.

ბუნების კაპრიზებს, გარდაუვალს, მაგრამ უაღრესად უსამართლოს, ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით, მეტად უძლური ვართ, მაგრამ შეიძლება თავი იმით ვინუგეშოთ, რომ წიგნებიდან ჩვენამდე აღწევს გიას ნაფიქრი და განცდილი, და იგი, ამ წარმოსახვითი ფორმით კვლავ ჩვენს გვერდითაა.

მათ, ვინც გიას ახლოს იცნობდა, ბუნებრივია, ამ წიგნებისადმი თავიანთი პირადსუბიექტური დამოკიდებულება ექნებათ და ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ ამ პირადსუბიექტური განწყობების მიღმა ნებისმიერ ტექსტს აქვს თავისი მნიშვნელობა, რადგანაც ის არამარტო გარკვეული პიროვნების (როგორც ავტორის!), არამედ გარკვეული ეპოქის ასახვასაც წარმოადგენს.

გია ფოცხვერიას პოეტური ნაწარმოებებიც, მათი დასრულებული თუ ფრაგმენტული სახით, კარგად ასახავენ მთელი იმ თაობის განცდებსა და მისწრაფებებს, ვინც გასული საუკუნის მინურულის კატაკლიზმებს შეეწირა. ამავე დროს, ეგ განცდები და მისწრაფებანი შორს სცილდება ერთი თაობის ჩარჩოებს და ჩვენს სინამდვილეში გაცილებით მასშტაბური ხდება.

მეტად ბევრია დანერგილი სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის პოეტთა შესახებ. კიდევ უფრო მეტი დაინერება. მაგრამ ალბათ ყოველთვის უკმარი იქნება პოეტური ფენომენის ფსიქოლოგიური კონსტიტუციის დადგენა, ეს იმიტომ, რომ პოეზია სიტყვაში განსხვავებული გრძნობაა, ხოლო შეგრძნების უნარი ყველა ადამიანს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აქვს. ეს საკითხი დიდი ხნის წინათ ლაკონიურად იყო გადაჭრილი: პოეტი ჩვეულებრივი ადამიანად არც მიაჩნდათ. რა თქმა უნდა! რომელი ჩვეულებრივი ადამიანი გაუძლებდა თოთხმეტი გრძელი წლის მანძილზე იმ უზარმაზარ სულიერ ტკივილს, რომელიც გიას ნაწერებიდან ჩანს, და რომელსაც სამშობლოს სიყვარული? არა! სამშობლოს მონატრება? არა! რომელსაც ბერძნულად *nostalgos*, შინ დაბრუნების ტანჯვა ეწოდება:

მე ჩაგისვამთ გულში ყველას,  
 ყველა სანატრელს.  
 აგიშენებთ სასახლეს და ციხესიმაგრეს.  
 ყვავილების ნერგით მოვრთავ  
 ყველა ოთახებს

და დაგირწევთ სიყვარულით  
ნაქარგ აივნებს.  
ოცნებების ხიდებს გავდებ  
ფერად ლაჟვარდებს.  
რაც არ უნდა შორს არ ვიყო  
მაინც მოვალწევ,  
დანაპირებს შევასრულებ,  
ვერ გიღალატებთ!

უცხო ქვეყნის გარემო სევდით ავსებდა მის სულს, ხოლო გავლილი დღეების მოძალემა კიდევ უფრო ამძაფრებდა სამშობლოს მონატრების განცდას:

ჰაიდ პარკის შიშველი ხეები,  
გაშავებული მყარი ტოტები,  
იდუმალებით დაღონებული  
მიჩურჩილებენ: „შენც იქ მოკვდები“.  
ჩემი ცოდვების ტრიალებს ნუსხა,  
არ გამომივა თავის დაძვრენა,  
თქვენ ჩაგრული ხართ თქვენს ქვეყანაში,  
ჩემს სულს კი უნდა  
სამშობლოსაკენ ბოლო გაფრენა.

აქ სურათია საინტერესო: მიწას მიჯაჭვული ხეების ჩურჩული ფსიქოლოგიური პარალელიზმის იმპერატიულ ბუნებას ასახავს: „შენც!“... პოეტი თითქოს ემორჩილება გარდაუვალ განაჩენს, მაგრამ ამ მორჩილებაში ფოლადის დრეკადობაც ჩანს: „ჩემს სულს კი უნდა სამშობლოსაკენ ბოლო გაფრენა“.

მოგზაურობისა და თავგადასავლების მოყვარულის-თვის რა თქმა უნდა არც ნისლიანი ალბიონი იქნებოდა უინტერესო და არც მოქუფრული ლონდონი, მაგრამ თბილისის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“-ზე აღზრდილს მუდმივად თან ახლდა სამშობლოს მონატრების ისეთი განცდა,



რომელიც ვერავითარი სიტყვით ვერ გამოიხატება. და მაინც, შემოქმედი ადამიანის ბუნება იბრძოდა ამ განცდის სიტყვიერი ხორცშესხმისათვის:

დაჭყეტილი თვალები, ნაცარი კედლის,  
ისევ სიმარტოვე ლონდონში ჟღერს,  
წვიმიანი ქუჩა, არსად წასასვლელი,  
უნდა ესაუბრო სევდიან წვიმის წვეთს.  
სადღაც მიმინო, კვლავ კვეთს ცისთვალა მზეს,  
იქ, სადაც ყვავილების სიმღერები ჟღერს.  
და ჩვენი ცისფერი, შეშლილი პიპია  
ანყვეტილი ვნებით ეთამაშება კლდეს!  
და ჩემს ოპტიმიზმს აბა რა გამოლევს.

დიახ, ნისლიანი ლონდონის ნაცრისფერ რეალობაში გამოკეტილს კვლავ და კვლავ სამშობლოს სურათების მოძალება აძლევდა იმის ძალას, რომ სულის სიღრმიდან იმედის ნაკადი გამოეწვია და თავისუფალი ამოსუნთქვით ეთქვა: „ჩემს ოპტიმიზმს რა გამოლევს“-ო. ამ ოპტიმიზმის წყარო კი ისევ და ისევ მისი ხალხი და მისი ქვეყანა იყო:

თქვენზე ვლოცულობ და მენატრებით,  
ლონდონში წვიმს და არ დგება დარი,  
როცა ჩამოვალ, ერთი თხოვნა მაქვს,  
სახლის გამიღოთ მე ცოდვილს კარი.  
ჩემს სამშობლოში გაზაფხულია,  
აქ ისევ ცივი თარეშობს ქარი.  
და ჩემს დაკარგულ უაზრო ყოფას  
არ უჩანს კიდე, არ უჩანს ზღვარი.

აქ კვლავ პესიმისტური ნაკადი მძლავრობს სამშობლოს გაზაფხულზე, და ლონდონის წვიმა და ცივი ქარი ისევ ნოსტალგიის არტახებს უჭერს:

მე, ნოსტალგიით დატყვევებული,  
მძიმედ ვისუნთქავ ლონდონის ჰავას,  
ქარი მოსული საქართველოდან  
მიმღერის თბილად მე იავნანას.

ყოველი ეპოქა თავის კვალს ტოვებს ადამიანის ცნობიერებაზე და გია ფოცხვერიას პოეტურ ნაწარმოებთა არაკლასიკური, ამორფული ფორმები ზუსტად შეესაბამება ეპოქას, რომელშიც ცხოვრებაც ნილად ერგო.

ეს ამორფული ფორმები იმ საზოგადოების ანარეკლია, რომელიც ვერ გარკვეულა სოციალური კატაკლიზმების გამომწვევ მიზეზებში და მასის ფსიქიკიდან გამომდინარე, შეგნებულად თუ შეუგნებლად ტანჯავს და ტკივილს აყენებს მას, ვინც ვერ თავსდება მასისათვის მორგებულ ჩარჩოში და სწორედ ამ მიზეზით დისკომფორტის გამომწვევ მიზეზად იქცევა.

აუხდენელი მიზნების მხოლოდ ოცნების სფეროში დარჩენა პოეტს კრიტიკულად განაწყობს წარსულისადმი და ამ განწყობის სიძლიერე თითქმის მთლიანად ახშობს პოეზიისათვის დამახასიათებელ ატრიბუტიკას და ნათელი, კრიტიკულად გამჭვირვალე, მაგრამ პროზაული ფორმით დგება მკითხველის წინაშე:

გახსოვთ, ვიბრძოდით პატარა ჭკუით  
ჩვენი რწმენისთვის და სამშობლოსთვის...  
ჩამოდი მალე, რომ მეუბნებით,  
რა გინდათ, ისევ ტყვია ვისროლოთ?  
უაზრო ბრძოლა აღარ მოგვბეზრდა?!

ამ უაზრო ბრძოლის გროტესკულ ასახვას ვღებულობთ, როდესაც პოეტი ყველასთვის ცნობილი ხალხური სიმღერის რეფრენის მაღალ ტონალობას დისონანსად აბამს ბრძოლის მიზეზსაც და ბრძოლის შედეგსაც:

„ჰერი, ბიჭებო, ჰერიო“,  
ჩვენ დავანგრეთ ერიო.  
ჩვენი სიგიჟის გულისთვის  
დაიწვა ბაიოს ველიო...

მოსახდენიც მომხდარია და არმოსახდენიც! ისტორიის ჩარხი უკან აღარ დაბრუნდება და დანგრეულსა და დამწვარს აღდგენა არ ელის. ეს იცის პოეტმა და ამის ცოდნა სტანჯავს. მაგრამ ტკივილს კიდევ უფრო ამძაფრებს ცხოვრებისეული რეალობა: ის მართლა თავის ფიქრებში და სხვები სხვანაირად ფიქრობენ. მას არ შესწევს ძალა, გავლენა მოახდინოს არსებულ სინამდვილეზე, ყოველივე ეს კი თრგუნავს მის შინაგან ძალას და მელანქოლიისთვის მყარ ნიადაგს ქმნის: „რა უნდათ ნეტავ, ვიცოდეთ ერთი, გული მიკვდება, უბედურები... სჯობს ისევ ჩუმი ვატარო ტვირთი, ვის დაუმტკიცებ, რას დაუმტკიცებ... ვის ემდურები?!“

და უცებ, ამ პასიური და ბედს დაყოლილ-დამორჩილებული განწყობის გვერდით შემართული მახვილივით ომან-იანი სტრიქონები:

დარეკა ნაგავმა,  
მოიკითხა ამბავი.  
მოუნდა, რომ დასცეს  
ლონდონში კარავი.  
იტყუება ისევ  
და უძვრება ყველას.  
თუ შემხვდება სადმე,  
არ ელოდოს შველას!  
ვერ გაძლება ვერაფრით,  
ბანძს რომ კოშკი აუგო.  
ღორმუცელა საცოდავს  
აღბათ უნდა გაუგო.

მაგრამ ასეთი სტრიქონები მეტად იშვიათია და გია ფოცხვერიას პოეზია ძირითადად სევდიან კილოზე მომართუ-

ლი. თვით ისეთ ლექსებშიც კი, რომლებიც აშკარად სასიმი-  
ლერო მოტივებზეა აწყობილი, მაინც სამშობლოს ძალით  
მონყვეტილი ადამიანის სულიერი ტკივილი ისმის:

„სოროში ვარ, სოროში ვარ... დავიმაღე აქ, გადავცურე  
ზღვა, რომ დავხუჭო თვალები, დავინახო ცა... მეგობრების  
ლოცვებით დამილოცეს გზა. იქნებ სადმე ვიპოვო ოცნებებ-  
ის ტბა. მიყუყული ფიქრებში და გიტარის ხმა, დაკვნესე-  
ბულ სიმღერით სიმარტოვის კვლა.“

ნებისმიერი დროისა და ხალხის პოეზიაში პესიმისტუ-  
რი განწყობის საფუძველს ავტორის მკაცრი ასკეტური  
ტენდეციები განაპირობებენ. ამის შედეგი იყო რეალური  
ცხოვრების ფასეულობათა დეკლარაცია და განცდილი  
ტკივილების გამძაფრებული აღქმა:

დაღლილი ბლუზი ამაოების,  
ამქვეყნიური ცოდვა და ოხვრა,  
დანანევრებულ ტვინის ხნულებში  
დასაფლავებულ იმედის პოვნა.  
დადგება დრო და ბედნიერების  
ნუთები მოვა სამარადისო,  
როდესაც მოვა ჩემი ბატონი,  
ტკივილს მომირჩენს და ცრემლს შემეშრობს.  
მზიანი დღე და მცხუნვარე სხივი,  
მძიმედ სასუნთქი ჰაერი შმორის,  
მტვერში გაბურულ გამხმარ სხეულში  
მაინც ტრიალებს სურნელი შორის.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის უმეტეს სტრიქონებში  
ძლიერი მელანქოლიის ანარეკლი მოჩანს, დროდადრო ამ  
განწყობის მიმართ ამბობსაც აქვს ადგილი ძალით თავს-  
მოხვეული მარტოობის წინააღმდეგ, თუმცა სევდის სრულ  
ნიველირებას მაინც ვერ ახერხებს:

როდის მოხდება ნეტავი,  
ცა რომ გააპობს ზღვას

და მოგონება ნეტარი,  
რომ აგითრთოლებს ხმას?!  
აღბათ შევხვდებით ოდესმე,  
აღბათ შემოგხვევ მკლავს  
და ცრემლებისგან შემკული  
გულში ჩამირგავ თავს.  
ტკივილი გარდაუვალი  
ააგიზგიზებს ალს,  
ფერფლსაც კი დასწვავს თავიდან,  
აღარ დატოვებს კვალს...  
გვიან იქნება, ამიტომ  
ვერ მოვიტყუებ თავს,  
მოვტრიალდები, გავქრები,  
ამაში ვნახავ ხსნას...

ვკითხულობთ გია ფოცხვერიას პოეტურ მემკვიდრეობას და ძალაუნებურად ოდესღაც ნათქვამი სენტენცია გვახსენდება: ჩვენი ცხოვრება ღია ჭრილობიდან განუწყვეტელი სისხლის დენა იქნებოდა, პოეზია რომ არ ყოფილიყო...

აღბათ ასეც არის! უცხოეთში ყოფნით გამონვეულ სევდას ისევ ქართული სიტყვა ედებოდა მაღამოდ, მაგრამ ვაი, რომ ტკივილის განკურნება მაინც შეუძლებელი იყო და ეს ტკივილი — მთელი ძალით — სრულიად აღწევს მკითხველის გულამდე.

*ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“  
28 დეკემბერი 2012*

Давид Маргалитадзе

## **МУЖЕСТВО ОТЧАЯНИЯ ГИИ ПОЦХВЕРИЯ**

«Мы собрались здесь, чтобы отдать последнюю дань светлой памяти достойному сыну Грузинской православной церкви Георгию Поцхверия — патриоту своей Родины, честному и искреннему прихожанину. Господи, со святыми упокой его светлую душу!» Этой цитатой из поминальной проповеди Католикоса-Патриарха Всея Грузии, Святейшего и Блаженнейшего Илии II, произнесенной на панихиде Гии Поцхверия в тбилисском кафедральном соборе Сиони 4 апреля 2006 года, мы решили начать разговор о коротком и трагическом пути поэта и прозаика, режиссера и сценариста, чье сердце сгорело в далеком Лондоне от боли за участь Грузии.

А поводом для этого разговора стал выход в свет книги стихотворений Гии Поцхверия «Господи, спаси и сохрани!», написанных на грузинском и русском языках, в переводах и под редакцией Владимира Саришвили. Книга была издана отцом Гии — Джемалом Поцхверия, генералом КГБ советских времен, автором мемуаров «Человек в черных очках», публицистического сборника «Доколе?!» — в жанре политологических исследований, а также автобиографической художественно-документальной повести «Путь восхождения». Такая вот коллизия: на склоне лет представитель самой богоненавистнической организации в истории человечества обретает свет истины и становится верным прихожанином церкви. А после потери сына пребывает в постоянном молитвенном диалоге с миром вечным, где ждет с ним встречи... Собственно книгу предваряет посвящение памяти митрополита Сурожского Антония, духовного пастыря и наставника Георгия (Гии) Поцхверия. Интереснейшая биография этого архиерея заслуживает хотя бы краткого изложения:

Митрополит Антоний Сурожский (в миру — Андрей Блюм) родился в Лозанне. В годы Второй мировой войны был участником французского сопротивления. До 1948 года занимался врачебной практикой. В 1948-м был посвящен в сан иеромонаха. 27 января 1966 года был возведен в сан митрополита Сурожского в Лондоне и утвержден экзархом Русской православной церкви в Западной Европе. Он руководил лондонской епархией вплоть до 2003 года, но в 1974 году сложил полномочия экзарха РПЦ в Западной Европе в знак протеста против высылки Александра Солженицына из СССР. В 1990 году группой экзархов РПЦ выдвигался кандидатом на престол Патриарха Московского и Всея Руси, но, как отмечает Джемал Поцхверия, по надуманным причинам не был допущен на выборы. Именно по рекомендации митрополита Антония Георгий Поцхверия в 2000 году был избран в церковный совет Лондонской кафедральной церкви. В лондонский (и последний) период своей жизни Гия обратил 25 человек в православную веру. Среди этого «отряда» его крестников есть даже один темнокожий житель Лондона.

В книге использованы работы известного художника Игоря Каменева. Одна из репродукций — портрет матери Гии «Княгиня Иашвили Лиана Григорьевна в костюме от Вячеслава Зайцева» — являет собой прекрасный образец психологического жанра живописи, пропитанного утраченным современным обществом духом аристократизма и приправленного цветовой гаммой, напоминающей эстетику художников из прославленного объединения «Мир искусства» времен дореволюционного русского декаданса.

Гия ушел из жизни в 42 года — возраст, роковой для многих служителей Муз. Но успел он за это время действительно много. Вехами его биографии стали сначала тбилисский Политехнический институт, затем режиссерский факультет Тбилисского института кино и театра, курсы режиссуры московского ВГИКа. С 1993 по 2006 год длилась «лондонская пора» его жизни. С 1998 по 2003 год Гия учился в Кентском университете, где защитил диссертацию, получив степень магистра, а затем доктора философии (по специальности кино; масс-медиа).

Гия Поцхверия оставил богатое творческое наследие.

Он — автор сценариев и режиссер трех фильмов: «Реквием» (1992), «Мусор» (1993), «Любовь в Лондоне» (2000). В 2007 году вышел в свет двухтомник литературных произведений Гии на грузинском языке (поэзия, проза, сценарии). В 2008 году изданы роман Гии Поцхверия «Хочу взглянуть на мир сверху» на русском языке в переводе Ирины Зурабашвили и сборник стихотворений «Господи, помилуй!» на русском языке в переводах Владимира Саришвили.

Но, как рассказал нам Джемал Поцхверия, главным делом жизни Гия считал свой вклад в открытие в Лондоне грузинской церкви Святого Георгия, где он был первым председателем церковного совета. А разве можно было забыть доверие, которое ему оказал Илия II — ведь Гия сопровождал Святейшего Патриарха в качестве переводчика во время аудиенции у королевы Англии Елизаветы II...

По рекомендации сразу двух епархий — Российской православной церкви и Грузинской православной церкви — в Лондоне Георгий Поцхверия 25 декабря 2005 года получил подданство Великобритании. А спустя три месяца, в ночь с 22 на 23 марта 2006 года, Георгий скончался.

Гия Поцхверия был благородным, интеллектуальным представителем своего народа, патриотом Грузии. Он верил в дружбу и посвятил свою короткую жизнь истинно рыцарским идеалам. Незадолго до смерти, предчувствуя приближение рокового порога, он написал такую «автоэпитафию»: «Вы лукавите, о блистающий мрамор!!!/Вы подменяете факты, вы вводите в заблуждение.../Я знаю, я просто уверен,/Что любовь великая в сердце моем/Борется с великой любовью,/А вы всем лжете,/Что был я холодным и равнодушным...»

Трагической эмоциональности исполнено и письмо Джемала Поцхверия «Отец — Сыну — в Вечность!», предваряющее поэтические циклы Георгия. Приведем фрагменты из этого послания:

«...Самое главное то, что на своем жизненном пути ты сумел взрастить добрые всходы любви, тепла, преданности... Ты всегда был рядом с теми, кто нуждался в поддержке, ты всегда протягивал ближнему руку помощи... Находясь далеко от Родины — на туманном Альбионе, в Кентерберийском графстве, в древнем городе Кентербери (в соборе, где



находится резиденция архиепископа англиканской церкви) при объявлении докторантов во всеуслышание прозвучало твое имя, ты прославил наш род, будучи провозглашен в числе лучших студентов... Тогда, находясь в Англии, я осознал, что это был триумф не только нашего рода, но и торжество самобытного грузинского гена. В то время, почти 15 лет назад, это был единичный пример победы личности, заявившей о себе благодаря собственному интеллекту и таланту. Сейчас, в наши дни, каждый год молодые люди уезжают учиться и работать за границу; для этого существуют специальные программы, гранты и фонды. Тогда же это было почти невозможно, и только единицам удавалось продолжить учебу в Европе, и ты был одним из них. Те, кто потянулись за тобой, успешно учатся в европейских и американских университетах, ведут научную работу, одним словом, служат великому национальному делу. Кто-то из них вернется на родину, завершив курс обучения, кто-то останется, но и там будет достойно представлять Грузию, прославляя и множа наш интеллектуальный и творческий ген. Но первыми... Первыми были твои ровесники, и среди них — ты. Вам было труднее других — выдерживать жесткую конкуренцию, приехав из нищей, разоренной, израненной гражданской войной, голодом, отсутствием света и других элементарных условий, страны. И вы сумели стать первыми ласточками, вас заметили, вас оценили...

Ты с несколькими оказавшимися в Англии соотечественниками, единомышленниками, не жалея сил и энергии, пройдя множество барьеров, оживил в Англии ветвь Грузинской православной церкви. И, благодаря вашим усилиям, ныне в Лондоне звучат грузинские церковные песнопения, вечные и неувыдаемые, как само православие... Эти песнопения объединяют грузин, уехавших учиться или искать работу на чужбину. Эти божественные звуки, подобно маяку в ненастную ночь, возвращают надежду на то, что соотечественники не рассеются в этом бескрайнем мире, и что они рано или поздно вернутся к своим корням, не забыв слова, завещанные нам великим Ильей Чавчавадзе: «Язык, Родина, Вера».

Сын мой, Гия, ты взял на себя миссию лидера горстки первопроходцев на пути утверждения грузин на европейском интеллектуальном и культурном пространстве. Это была

важная, знаковая миссия, и ты достойно справился с нелегкой ролью предводителя. В глубинах моей памяти до сих пор звучит твой радостный голос: «...Папа, сегодня в Лондоне прошло грузинское богослужение с песнопениями!»... Я надеюсь и верю, что начатое тобою дело продолжат люди, достойные подобной чести. До этого ты заслужил доброе имя и авторитет в лоне епархии Русской православной церкви, где русские люди, потомки русских эмигрантов, избрали тебя членом церковного совета. Никогда не забуду особое отношение к тебе истинно святого православного архиерея, митрополита Антония, который считал тебя своим учеником. Надеюсь, ваши души на небесах объединились и молятся за нас, грешных. Я верю в это...

До чего же непредсказуема, необъяснима и парадоксальна наша жизнь, сынок! Я не знаю, какие силы удержали меня в этом подлунном мире, ведь за шесть лет, прошедших после твоей кончины, я трижды уходил в тоннели клинической смерти, и был в нескольких мгновениях от вечности, где ты уже обрел свой вечный приют...

Но Господь, наверно, судил по-иному — он поручил мне собрать, систематизировать и издать твои сочинения в оригинале и в переводе на русский язык. Господь послал мне в помощь людей неравнодушных, истинных профессионалов, талантливых литераторов.

Неоценимую помощь в подготовке материалов для этого издания оказал мне Вахтанг Джавахадзе, один из старейшин грузинского писательского сообщества, верный ученик, биограф великого Галактиона Табидзе, автор книги «Неизвестный», где собраны ценнейшие сведения о короле грузинской поэзии XX века. Кропотливо, не жалея сил и энергии, работала над переводом твоей прозы Ирина Зурабашвили. Новую жизнь твоей лирике — жизнь на русском языке — подарил наш талантливый поэт и переводчик Владимир Саришвили. Нет меры благодарности моей, и всего нашего рода, за проделанный ими труд. Предстоит еще многое сделать для издания твоего творческого наследия на английском языке (стихи, сценарии и рассказы).

А еще я ежедневно молю Господа о том, чтобы наши души встретились в вечном своем пристанище, чтобы милосердный

Господь наш простил мне грехи мои, и мы смогли бы воссоединиться с тобой»...

Второй раздел книги составляют стихи самого Джемала Поцхверия, где воспоминания молодости, городская лирика и праздничные экспромты перемежаются мучительными размышлениями о судьбе сына, чаще всего в эпистолярном ключе...

А вот что пишет в своем «Слове переводчика и редактора» Владимир Саришвили, много лет работавший над переводами поэзии Гии Поцхверия, которые высоко оценил автор знаменитого «Чонкина» Владимир Войнович и другие известные литераторы: «Одиноким, страдающим, но непокорившимся и непокоренным предстает Гия Поцхверия в своем творчестве. Строки его лирики исполнены зачастую горького недоумения, в котором явственно звучит один из великих вопросов русской литературы — «За что?». Но вот на другой ее великий вопрос — «Что делать?» — стихи Гии ответа не дают. Он и не искал этого ответа, он не был ни борцом, ни моралистом, ни «пастухом электората». Он стремился постигнуть мир через идею, психологический анализ, запечатленное мгновение... Он был поэтом и философом, он оставил нам стихи, которые лежат перед читателем и ждут его душевного отклика»...

«АиФ Тбилиси»

№ 51 (535)

от 19 декабря 2012 г.

Вера Копылова

**«...И ДЛЯ ДРУГИХ —  
УЛЫБКИ ГОРДЫХ РОЗ»**

*Вышла книга стихов поэта  
Гии Поцхверии. Посмертно*

Земной свой путь пройдя до середины, далеко не каждый способен “взглянуть на мир сверху”. Может быть, это дано тем, чья жизнь обрывается как раз на середине... Грузинский поэт, писатель, сценарист Гия Поцхверия скончался в 2006-м, ему было едва больше сорока. Его книга прозы называется “Хочу взглянуть на мир сверху”. Теперь вышел и поэтический сборник.

К сожалению, часто так бывает: поэт обретает вес в глазах окружающих только после смерти. К тому же Гия Поцхверия скончался от разрыва сердца вдали от родины, в Лондоне, где занимался наукой в течение многих лет.

Эта пронцаемость границ, открытость невидимому мира есть как в самых светлых стихотворениях Поцхверии, так и в смертельно мрачных. Добавить к этому чисто грузинское, национальное: яркую, яростную любовь к друзьям, матери, родной земле. Пожалуй, с этого же начинается Булат Окуджава. Читая стихотворение Гии Поцхверии “Я приду”, нельзя не вспомнить Окуджаву:

Всех в сердце поселю, кто мне любим,  
Дворец построю с валом крепостным,

Все комнаты украшу я цветами,  
Увью балконы радости ростками,  
Поставлю свечи я по всем углам,  
Пусть гимн любви поют здесь вечно птицы...

Мудрость и сила в сочетании с лиричностью души — то сочетание, из которого рождались самые великие поэты мира. К сожалению, Гия Поцхверия не успел. Да и в переводе на русский его стихи звучат гораздо более усеченно, чем на родном грузинском. Многих слез стоило родителям покойного сына издать этот поэтический сборник и назвать его именно так — “Господи, помилуй”.

...И для других — уют тбилисских улиц,  
И для других — улыбки гордых роз...

«Московский Комсомолец»  
№ 25252 от 14 января 2010 г.

## გია ფოცხვერიას

ამ ცხოვრებიდან ნავიდა ერთი კარგი ქართველი მართლმადიდებელი კაცური კაცი... ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სხვებზე ზრუნვით იყო დაკავებული, კაცი, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული თავის ქვყანაზე, ოჯახზე და მეგობრებზე... ნავიდა ისე, რომ ვერ და არ დაგვემშვიდობა... ნავიდა ჩვენგან მხიარული, დარდიანი, ლექსებითა და მოთხრობებით დატვირთული სამეწიკანი პოეტი და მწერალი, ჩვენი საამაყო ძმა და მეგობარი.

„ფოცხვერა“ ნავიდა და დაგვიტოვა მოუწელებელი ტკივილი...

ღმერთმა ნათელში გამყოფოს ჩვენი „ფოცხვერა“!

*გოგი ლორთქიფანიძე  
თბილისელი მეგობრების სახელით*



და... ის წავიდა...

## ბოლოთქმა

დღეს უკვე 2013 წლის ზაფხულია, ჩემო გია (გიორგი). ვამთავრებ ჩვენი, შენი და ჩემი ლიტერატურული პალიტრის უკანასკნელ, მეცამეტე ნიგნს (ქართულ ენაზე გამოვა შენი ინგლისურენოვანი ნიგნი „ლონდონი ჩემი ბედისწერის“ ქართული თარგმანი და ასევე ჩემი რუსულ ენაზე სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები ქართულ ენაზე).

ამ (უშენოდ გატარებულ) შვიდ წელიწადში დიდი სამუშაო გავწიე ღმერთისა და შენს წინაშე. შენ მომეცი ძალა ზეციდან, რომ ეს შრომატევადი საქმე დამესრულებინა.

ჩვენ ვუტოვებთ ამ ნიგნებს მომავალ თაობას — შვილებსა და შვილიშვილებს. იმედია, ათეული წლების შემდეგ, კვლავ იხილავენ ჩვენი თხზულებები მზის შუქს და ხელახლა დაბეჭდავენ მათ, რათა ზეცაში ასულ ჩვენს სულებს სიხარული და სიმშვიდე მოჰგვარონ...

შვილო, გია, მე და შენმა დედამ მოვალეობა გარკვეულწილად მოვიხადეთ სინდისისა და შენს წინაშე... ახლა არაფერი გვედარდება გარდა შენი ძმის — კახისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის...

მე და დედა, უკვე დიდი ხანია მზად ვართ, რომ შევუერთდეთ შენს წმინდა ზეციურ სულს.

მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ მომცა ძალა და გონი, რომ ეს ლიტერატურული „მემორიალი“ დამედგა შვილისთვის — თუკი სიცოცხლეში ვერ შევძელი, მისი მინიერი სიკვდილის შემდეგ მაინც...

*ჯემალ ფოცხვერია*

## ლონდონის ქართული ეკლესიის სახელის შეცვლის თაობაზე

ჩემო ვია, გამოვიდა თუ არა შენი წიგნი ინგლისურ ენაზე (ლექსები, კინოსცენარები) დაუუკავშირდი შენს უახლოეს მეგობრებს ლონდონში — მაკა ბაქრაძესა და კახა აბაშიძეს, რომლებმაც ითავეს შენი ლიტერატურული საღამოს გამართვა და პარაკლისი გადაგიხადეს მეგობრებთან ერთად ქართულ ეკლესიაში.

მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ შენი და შენი მეგობრების მიერ დაარსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისათვის სახელი შეუცვლიათ. ამ ეკლესიის კომპიუტერული ვებ-გვერდიდან გაუქრიათ შენი სურათი და შენს შესახებ დაწერილი შესანიშნავი, თბილი სტატია...

ვიას (გიორგის) ლონდონის ქართული ეკლესიისთვის მიზანმიმართულად წმინდა გიორგის სახელის მინიჭება უნდოდა, რადგან მისი თქმით, ზოგადად, დასავლეთ სამყაროში, და კერძოდ, ინგლისშიც, ქართველებს წმინდა გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისმცემლებად მიიჩნევენ და სწორედ მის სახელთან აიგივებენ...

ვიას (გიორგის) ღვანლი ლონდონის ქართული ქართული ეკლესიის დაარსებაში შესანიშნავად გამოხატეს მისმა, როგორც ქართველმა, ისე ინგლისელმა მეგობრებმა წიგნის მემორიალურ ნაწილში განთავსებულ მოგონებებში...

ვის და რატომ დასჭირდა ეს საძავლობა? ეკლესიის ჩრდილამოფარებულ უსახურ შენს მტრებს? აბა, როგორ შეიძლება დავიჯერო, რომ ეს შემთხვევით მოხდა? არა შვილო, შემთხვევით არაფერი ხდება. ვილაცას სურდა (და მიაღწია კიდეც), რომ შენი სახელი ამოეღოთ ლონდონის ქართული ეკლესიის ისტორიიდან (იურიდიულად და ფაქტობრივად), რათა თავისი ამბიციები დაეკმაყოფილებინათ და ადგილი დაემკვიდრებინათ ლონდონში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნის ის-



ტორიაში. მიეთვისებინათ ის, რაც შენ და შენმა მეგობრებმა შექმენით.

აი, ასეთი ვართ ქართველები — ამპარტავნები, შურიანები და ხშირად პლაგიატებიც. ამიტომ გვადგას კარგი დღე და გვჭირს ისტორიული სენი გაუტანლობისა...

პირადად ჩემთვის გულსატკენია, რომ ლონდონში შენს ახლობლებში, მეგობრებში ამ უმსგავსობაზე არავინ აიმაღლა ხმა... ხმა არ ამოიღო მრევლმა, რომელიც გაფასებდა და, ალბათ, უყვარდი კიდევ...

რატომ? ეს ადვილი ასახსნელია — შენ უკვე ამეკვეყნად არ იყავი და რატომ უნდა ენწყენინებინათ „ახალი ქართული ეკლესიის“ დამაარსებლებისთვის? საუბედუროდ, ცხოვრებაში ასე ხშირად ხდება...

მეუფე აბრამი რომ წავიდა, შექმნეს ახალი ეპარქია, გამოჩნდნენ მდიდარი სპონსორები, იყიდეს ეკლესიისთვის მილიონ ვირვანჯა სტერლინგად ღირებული შენობა (შენ კი ერთი ოთახიც გენატრებოდა, რომ ქართული გალობა ჩაგეტარებინა) და დააარსეს ახალი ეკლესია სხვა სახელით... ეს უკვე სულ სხვა ეკლესიაა, რომელსაც შენს დაარსებულთან არავითარი კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს თავისი შინაარსითა და შეიძლება მიზნებითაც...

მე ვიცი, ცოცხალი რომ ყოფილიყავი, დიდხანს მაინც ვერ შერჩებოდი იმ სამსახურს (ქართული ეკლესიის მრევლთა საბჭოს თავმჯდომარისა), რადგან შენი ხასიათის თვისებების გამო, მალე ზედმეტი აღმოჩნდებოდი... ერთი კი ვიცი, ამასაც აპატიებდი მათ... იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შენი წმინდა სული ახლაც ლოცულობს მათი ცოდვების მონანიებისათვის... ღმერთი იყოს მათი ამ ქმედების მსაჯული...

მაპატიე, შვილო, მე ჩემი ცხოვრების აზრი ასეთი მაქვს, და ასე ვსჯი და ვფიქრობ.

ნახვამდის...

შეხვედრამდე...

ჯემალ ფოცხვერია

## სარჩევი

### გია (გიორგი) ფოცხვერია

ნიგნიდან „ლონდონი — ჩემი ბაღისწერა“ .....14  
ლექსები თარგმნა *თინათინ მღვდლიაშვილმა*

კინოსცენარები.....55  
თარგმნა *ლარისა ხვთისიაშვილმა*

ნიგნიდან „უფალო, შეგვიწყალებ!“ .....77  
ლექსები თარგმნა *დალილა ბედიანიძემ*

### ჯემალ ფოცხვერია

ნიგნიდან „უფალო, შეგვიწყალებ!“ .....147  
თარგმნა *დალილა ბედიანიძემ*

**IN MEMORIAM**.....212

პერიოდული პრესიდან.....244

გია (გიორგი) ფოცხვერია  
ჯემალ ფოცხვერია

ლონდონი  
ჩვენი ბედისწერა

თბილისი  
2013



**გი (გიორგი) ფოცხვერია**  
დაიბადა 1964 წლის 16 აგვისტოს, თბილისში. 1988 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. შემდეგ საქართველოს კინოსა და თეატრის აკადემია. 1988 წელს ჩააბარა მოსკოვის კინო ინსტიტუტის სარეჟისორო კურსებზე. 1997-2000 წ.წ. სწავლობდა ინგლისის კენტის უნივერსიტეტში, სადაც დაიცვა მაგისტრის და დოქტორის დისერტაციები.

2005 წელს გახდა ინგლისის მოქალაქე. არის ავტორი კინოსცენარებისა და დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა „რეჟიჟიმი“ „ნაგავი“, „სიყვარული ლონდონში“.

გიორგი ფოცხვერია ასევე ავტორია ნიგნებისა — პროზისა და პოეზიის ოთხტომეული, რჩეული (ქართულ ენაზე); ლექსების კრებულისა „Господи, помилуй“, „Господи, спаси и сохрани“; აგრეთვე რომანისა „Хочу взгянуть на мир сверху“.

2012 წელს გამოვიდა მისი ლექსებისა და კინოსცენარების კრებული ინგლისურ ენაზე „London My Fate“ („ლონდონი ჩემი ბედისწერა“).

გიორგი ფოცხვერია იყო ერთ-ერთი დამაარსებელი წმინდა გიორგის ეკლესიისა ქ. ლონდონში და მისი პირველი საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარე.

1993 წლიდან 2006 წლის 23 თებერვლამდე (გარდაცვალებამდე) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ. ლონდონში. 1996-სა და 2002 წელს გახლდათ აუდიენციაზე ინგლისის დედოფალ ელისაბედ მეორესთან, როდესაც დელეგაციაში ახლდა სრულიად საქართველოს პატრიარქს, ილია II-ს და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ ავრამს (გარმელიას).

გიორგი ფოცხვერია იყო თავისი ქვეყნის უანგარო პატრიოტი და გულშემატკივარი, ღმერთო აცხონე და გაანათლე მისი წმინდა სული.



**ჯეაქლ ფოცხვერია**  
დაიბადა 1939 წლის 3 აგვისტოს, თბილისში. 1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1966 წლიდან 1994 წლამდე მუშაობდა საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტისა და რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამინისტროში, სადაც გაიარა გზა ოპერატიული რწმუნებულებიდან სამინისტროს სამმართველოს უფროსის — მინისტრის მრჩევის

თანამდებობამდე... სპეციალობით იურისტი საერთაშორისო სამართლი განხრით.

1994 წლიდან პენსიაზე გასვლის შემდეგ, მუშაობდა ბიზნეს კორპორაციებში — „მიკროდინი“, „ნორილსკის ნიკელი“ „პრეზიდენტ სერვისი“ და „ABM“.

2008 წელს გამოსცა ნიგნი შემუარები — „შავი სათვალეები ეკეთა“ (ჩეკისტის ჩანაწერები); 2010 წელს პოლიტიკურ-პუბლიცისტური ნაშრომი „როდემდის“; 2012 წელს შემუარების მეორე ნიგნი „ჩემი ცხოვრების აღმართი“.

ამავე წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული რუსულ ენაზე.